პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან დღის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმომწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებათა, გარდა განცხადების ფასისა, იხდება 10 % საქალაქო გადასახადი. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დ ღ ი უ რ ი

- კომუნისტების გამარჯვება საფრანგეთის მუნიციპალურ არჩევნებში.
- თავდასხმა ლიტვის პრემიერზე ვოლდემარასზე.
- უმუშევართა დემონსტრაცია ლოძში.—შეტაკება პოლიციასთან.
- სოფიაში (ბულგარეთი) დააპატიმრეს საპირველმაისო კომიტეტის 24 წევრი.
- ანტიგერმანული მოძრაობა პოლონეთში.
- დონბასის მემაღაროეები ამხ. სტალინთან.
- 7 მაისს შესრულდა მეშჩადეთა კავშირის 10 წლის თავი.

ხუთშაბათი, 9 მაისი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 103 (2449)

ვისი ხელი მუშაობს?

გერმანია კვლავ სდგას უდიდესი საშინაო და საგარეო პოლიტიკური სიძნელეების წინაშე. გერმანიის კაპიტალიზმს, რომლის განვითარებაც შებოჭილია ვერსალის მკაცრი პირობებით, არ ძალუძს თავი დააღწიოს გახშირებულ კრიზისებს. ომითა და ინფლიაციით განადგურებული ბურჟუაზიული გერმანია სავსებით დამოკიდებულია უცხოეთის კაპიტალისაგან და ამიტომ მასზე მტკივნეულ გავლენას ახდენს მსოფლიოს კონიუნქტურის ყოველგვარი მერყეობა და ყოველგვარი გართულება ფულის მსოფლიო ბაზარზე.

სარეპარაციო კონფერენციის დამარცხებამ პარიზში გერმანიის ვალიუტის მარტო შერყევა არ გამოიწვია მსოფლიო ბირჟებზე. პარიზის მოლაპარაკებამ ნათლად გამოააშკარავა, რომ არსებულ პირობებში შეუძლებელია გადასწყდეს სარეპარაციო პრობლემა, ამ მოლაპარაკებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა საგარეო პოლიტიკის მთელ იმ ხაზზე, რომელსაც გერმანია უკანასკნელ წლებში იცავდა. ერთხელ კიდევ გაცრუვდა ყველა იმედი იმისა, რომ მსოფლიო იმპერიალისტურ ომში გამარჯვებულ ქვეყნებთან შეთანხმების გზით შეიძლება მიაღწიოს გერმანიამ ვერსალის ხელშეკრულების ყველაზე უფრო მძიმე პირობების გაუქმებას. პოლიტიკურ სფეროში გერმანიას სრულებით არაფერი მისცა როგორც ლოკარნოს პოლიტიკამ, ისე შეთანხმების პოლიტიკამ.

როცა ერთა ლიგაში მარცხით დამთავრდა გერმანიის მოთხოვნები ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ, ამას თან მოჰყვა პარიზის მოლაპარაკების დამარცხება. გერმანია მოექცა იმ ქვეყნების მთლიანი ფრონტის წინაშე, რომელნიც დარაზმულნი არიან იმ საერთო სურვილით, რომ ყაჩაღურად გამოგლიჯონ გერმანიას ყოველივე ის, რაც ვერსალის ზავით დააკისრეს მას. საფრანგეთის ომის შემდგომი ლოზუნგი, რომელიც დროებით მიყუჩდა, ლოზუნგი, რომ „გერმანიამ უნდა აანაზღაუროს ყველაფერი“, ახალი ძალით წამოიჭრა და ამჟამად გამარჯვებული იმპერიალისტური ქვეყნების საერთო ლოზუნგად გადაიქცა.

მაგრამ პარიზის მოლაპარაკების მარცხით დამთავრებისათანავე გერმანიას წილად ხვდა იმედების კვლავ გაცრუება. „განიარაღების“ ჟენევის კომისიამ გერმანიის ლოკარნოს პოლიტიკას ახალი მახვილი ჩასცა. გერმანიის პოლიტიკოსების იმედი, რომ ჟენევაში გამოიყენებდნენ გუშინდელი მტრების წინააღმდეგობას, ამაო გამოდგა. გერმანია შეიარაღების საკითხში ისეთსავე მდგომარეობაში ჩავარდა, როგორც პარიზში. იგი ჟენევაში მოექცა იმ ქვეყნების მთლიანი ფრონტის წინაშე, რომლებიც სცდილობენ გერმანიის მონაწილეობის მიუღებლად შეუდგნენ მსოფლიოს ახალ განაწილებას ახალი ომის საშუალებით.

ცდა იმისთვის, რომ ვერსალის ხელშეკრულება გამოეყენებიათ მისი ავტორების წინააღმდეგ, მორიგი ილიუზია გამოდგა. შეიარაღების შეზღუდვა მომავალშიაც სავალდებულო ხდება მხოლოდ დამარცხებული ქვეყნებისათვის, ე. ი. პირველ რიგში—გერმანიისათვის. ამ საკითხში, ისევე, როგორც ყველა დანარჩენ საკითხში, გერმანიას ნათლად და გარკვეულად განუცხადეს, რომ ვერსალის ხელშეკრულება უცვლელად დარჩება და ყოველგვარი ცდა მისი დარღვევისა ან თუნდაც გვერდის ახვევისა ჩაითვლება გალაშქრებად იმპერიალისტური მსოფლიო სისტემის თვით საფუძვლის წინააღმდეგ.

როგორც პარიზმა, ისე ჟენევამ სავსებით ნათლად მოახდინეს ლოკარნოს პოლიტიკის გაკოტრების დემონსტრაცია. როგორც პარიზმა, ისე ლოკარნომ მკაფიოდ გვიჩვენეს, რომ ლოკარნოს პოლიტიკის გამო გერმანია გარიყული დარჩა მსოფლიოში.

გუშინდელ მტრებთან შერიგების პოლიტიკამ, რომლის მთავარი მატარებლები და სულის ჩამდგმელები იყვნენ და კვლავ არიან გერმანელი სოციალ-დემოკრატები, არაფერი არ მოუტანა გერმანიას, გარდა საშინელი ვალდებულებებისა, რომლებიც მძიმე ტვირთად აწევს უპირველეს ყოვლისა გერმანიის პროლეტარიატს.

იმის ცდამ, რომ მდგომარეობა ეხსნათ ბურჟუაზიული რაციონალიზაციის სისტემის გატარებით, მიუხედავად ენერგიული ზრუნვისა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მხრივ, რომელიც არა შიშის, არამედ სინდისის გავლენით ასრულებს თავიანთი ბატონ-პატრონების ბრძანებას, ვერ გამოუნახა გამოსავალი შექმნილ მდგომარეობას. ამ რაციონალიზაციის გამო გერმანელი მუშები მილიონობით გადასროლილ იქნენ ქუჩაში და სამუშაო ხელფასი უკიდურეს მინიმუმამდე შემცირდა.

კლასობრივი ბრძოლის გამწვავებამ გამოიწვია გაფიცვების უდიდესი ტალღა კაპიტალის შეტევის საპასუხოდ. სოციალ-დემოკრატია ამ შემთხვევაშიაც მთელი ძალღონით შეეცადა, რათა დაეძლია მუშათა კლასის წინააღმდეგობა და აეძულებია იგი მიეღო მისთვის ნაკარნახევი პირობები.

ამ პოლიტიკის შედეგები ნათელია ყველასათვის და ამაოა გერმანელი სოციალ-დემოკრატების ყოველგვარი ცდა — დაუმალონ ეს შედეგები გერმანიის მშრომელ მასებს. გერმანია კვლავ შევიდა ურთულესი სიძნელეების პერიოდში, იგი კვლავ მოემწყვდა ჩიხში.

და კვლავ, როგორც იმ წლებში, რომლებიც უშუალოდ მოჰყვა 1918 წლის სამხედრო განადგურებას, გერმანიის სოციალ-დემოკრატია სცდილობს გამოვიდეს „სამშობლოს მხსნელად“. კაპიტალიზმი განსაცდელშია, მაშასადამე, გერმანიის სოციალ-დემოკრატიისათვის ნებადართულია ყველა საშუალება კაპიტალიზმის გადასარჩენად.

პარიზის სარეპარაციო კონფერენციის დაწყებამდე გერმანიის ბურჟუაზიის ყველაზე უფრო რეაქციონური ნაწილი შეეცადა ემოქმედნა საერთაშორისო კაპიტალისტური მსოფლიოს კლასობრივი სოლიდარობის გრძნობაზე. გერმანელი ნაციონალისტების ბელადმა გუგენბერგმა მაშინ ამერიკელ კაპიტალისტებს მიმართა ღია წერილით, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ ვერსალის ზავით დაწესებულ სამხედრო კონტრიბუციის მთლიანად გადახდევინება გამოიწვევს გერმანელი ხალხის ისეთ სასოწარკვეთილებას, რასაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს გერმანიის ბოლშევიზაციის უშუალო საფრთხე.

გერმანიის სოციალ-დემოკრატებმა ხელი ჩასჭიდეს გერმანიის ბურჟუაზიის ყველაზე უფრო რეაქციონური ნაწილის ამ იდეას, მაგრამ არ დაკმაყოფილდა ასეთი „საფრთხის“ შესაძლებლობის წმინდა თეორეტიული წინასწარმეტყველებით. ისინი შეეცადნენ მოეხდინათ ამ საფრთხის დემონსტრაცია. მათ გამოიწვიეს გერმანიის პროლეტარიატის აქტიური გამოსვლა. მათ სწორად ივარაუდეს, რომ ბერლინის პროლეტარიატი არ მოითმენდა მრავალი წლების შეუპოვარი ბრძოლით მონაპოვარის — თავის კლასობრივ დღეს ქუჩაში გამოსვლის — უფლების წართმევას.

ისინი დარწმუნებულნი უნდა ყოფილიყვნენ, რომ გერმანიის პროლეტარიატი არ დაემორჩილებოდა პოლიციის ამ განკარგულებას და, აკრძალვის მიუხედავად, ქუჩაში გამოვიდოდა.

ეს მათ იცოდნენ და სწამდათ. ამიტომ იქცეოდნენ ასე ჯიუტად, თუმცა ბურჟუაზიულმა პრესამ მრავალჯერ გააფრთხილა ისინი. ბერლინის ქუჩებზე დაღვრილ სისხლს უნდა დაენახვებინა მთელი კაპიტალისტური მსოფლიოსათვის, რომ ბოლშევიკური საფრთხე გერმანიაში რეალური ფაქტია.

გერმანიის სოციალ-დემოკრატებმა ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთს მიაღწიეს. მართლაც, მათ განკარგულებას შედეგად მოჰყვა ის, რომ ბერლინის მუშების საპირველმაისო გამოსვლას ბერლინის სოციალ-დემოკრატიულმა პოლიციამ თოფები და ტყვია-მფრქვევები მიაგება. რამდენსამე ათ მოკლულსა და რამდენსამე ას დაჭრილს სოციალ-დემოკრატების ტაქტიკური მანევრი საკუთარ სიცოცხლედ და საკუთარ სისხლად დაუჯდა.

მაგრამ ეს ერთად-ერთი „გამარჯვებაა“, რომელიც სოციალ-დემოკრატებს თავიანთ დავთარში შეუძლიათ ჩაიწერონ. მაისის დღეებში დაღვრილი სისხლი მუშებისა ვერ გაანთავისუფლებს გერმანიას ვერსალის ზავის ულლისაგან და ვერ გამოიყვანს მას ბურჟუაზიული სამყაროს შიგნით შექმნილი იზოლიაციის მდგომარეობიდან, საიდანაც იგი ვერ გაანთავისუფლა ლოკარნოს პოლიტიკამ. გერმანიის სოციალ-დემოკრატები ამ ფასადაც ვერ დაიმსახურებენ თავიანთი ბურჟუაზიის მადლობას „სამშობლოს გადარჩენისათვის“.

ამას ვერ უშველიან ის ლეგენდებიც „მოსკოვიდან მოსული ბრძანების“ შესახებ, რომლებსაც ფართოდ ავრცელებს რეფორმისტული პრესა.

გერმანიის სოციალ-დემოკრატებს გაუკოტრდათ იმპერიალისტურ სვავებთან მორიგების პოლიტიკა და ეხლა მიმართავენ ძველ, გაცვეთილ მეთოდს—ლაპარაკს „მოსკოვის ხელის შესახებ“, რომელმაც, ვითომ, ბერლინის მუშების გამოსვლა მოამზადა. მაგრამ პასუხისმგებლობის თავიდან აცილების ასეთი უნიადაგო ცდა უკვე ველარავის დააჯერებს. ინგლისელი შუბლმაგრებისაგან შეთვისებული მეთოდი—საკუთარი მარცხისათვის პასუხისმგებლობის გადაბრალება მოსკოვზე—ისეთსავე შედეგებს გამოიღებს, როგორიც გამოიღო გუგენბერგისაგან ნასესხებმა მეთოდმა—საერთაშორისო ბურჟუაზიის დაშინებამ რევოლიუციის საფრთხით.

გერმანიის სოციალ-დემოკრატია დამარცხებას განიცდიდა მთელი ხაზით. მისი შინაური პოლიტიკის—შეთანხმების პოლიტიკის—შედეგი იყო მუშათა მასებს მასიური ჩამოშორება, რაც ნათლად გამოააშკარავეს საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების უკანასკნელმა არჩევნებმა. მის საგარეო პოლიტიკას—საერთაშორისო იმპერიალისტებთან შეთანხმებას აუცილებლად უნდა მოჰყვეს დიდი უკმაყოფილება გერმანიის ბურჟუაზიისა, რომლის ინტერესების დაცვაც გერმანიის სოციალ-დემოკრატებს სურთ.

გერმანიის ბურჟუაზიული პრესის უკვე პირველი გამოხმაურება ნათლად ადასტურებს, რომ გერმანიის ბურჟუაზიას კარგად ესმის, თუ ვინ აგებს უშუალოდ პასუხს ბერლინის სისხლისმღვრელი ამბებისათვის. სოციალ-დემოკრატები ვერ დამალავენ, რომ გერმანიის გადარჩენის პატრიოტული ლოზუნგებით მათ ფაქტიურად სურდათ საკუთარი თავის გადარჩენა აუცილებელი გაკოტრებისაგან. მაგრამ მაისის დღეები ამ გაკოტრებას უფრო დააჩქარებენ.

„იზვესტია“, 8 მაისი.

ლიტვინოვი განიარაღების კომისიის სესიის შედეგების შესახებ

„სესიის მუშაობა ნიშნავს უკან დახევას განიარაღების საკითხში“

კამათი რეიხსტაგში ბერლინის ამბების გარშემო

მენშევიკი ზევერინგი იწონებს პოლიციის მოქმედებას

განიარაღების კომისიის სესიის უკანასკნელი სხდომა

ჟენევა, 7 მაისი. 5 მაისს შესდგა განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის მეექვსე სესიის უკანასკნელი სხდომა. საზღვაო სახელმწიფოების წარმომადგენლებმა პასუხი გასცეს ამერიკის დელეგატის გიბსონის წინადადებაზე საზღვაო განიარაღების შესახებ. მათ სიტყვა აიღეს მხოლოდ იმისათვის, რომ ეთხოვნათ საზღვაო განიარაღების საკითხის განხილვის გადადება და ამერიკის წინადადების გარშემო დისკუსიის გადატანა თვით მთავრობებში.

საპასუხო სიტყვაში გიბსონი დასთანხმდა, რომ მიზანშეწონილი იქნება მოუმზადებელი დისკუსიის დაჩქარებაო.

თავმჯდომარეს პოლიტისს უკვე უნდოდა მიღებულად გამოეცხადებია გადაწყვეტილება საზღვაო საკითხის განხილვის გადადების შესახებ, მაგრამ ამ დროს წამოდგა ლიტვინოვი, რომელმაც განაცხადა:

„მე სიტყვას ვიღებ მხოლოდ იმისათვის, რომ ჩემი დუმილი არ იქნას გაგებული ისე, თითქოს საბჭოთა დელეგაცია ეთანხმება წინადადებას, რომელსაც იგი სრულიად არანორმალურად სთვლის, ე. ი. წინადადებას საზღვაო განიარაღების საკითხის მოსამზადებელი კომისიის ფარგლებიდან გადატანის შესახებ. თუ საზღვაო სახელმწიფოები უარს ამბობენ წინადადების განხილვაზე თვით კომისიაში, ჩვენ, პარტნიორების უუნარობის გამო, ველარავის ვებრძოლებით და ისღა დაგვრჩენია, რომ დავადასტუროთ ეს ფაქტი, რომელიც ჩვენ სრულებითაც არ მიგვაჩნია კანონშეზომილად“.

შემდეგ გამოვიდა საფრანგეთის დელეგატი მასილი, რომელმაც განაცხადა: საფრანგეთი მზადაა გადაათვალიეროს თავისი პოზიცია შეიარაღებაზე კონტროლის დაწესების საკითხში. შემდეგ მან სთქვა, რომ თავის შენიშვნებს წარმოადგენს მაშინ, როცა კომისია შეუდგება ამ მუხლების განხილვას კონვენციის მეორედ წაკითხვის დროს.

საბჭოთა დელეგაცია ფიქრობს, რომ უმჯობესი იქნებოდა კომისიას რამდენიმე სხდომა მოენდომებია კონვენციის განხილვის დამთავრებისათვის, რათა ეხლანდელი სესიის დასრულების შემდეგ შესაძლებელი გამხდარიყო განიარაღების გენერალური კონფერენციის მოწვევა.

ლიტვინოვი აღნიშნავს, რომ სესიის შედეგებმა სავსებით დაადასტურეს საბჭოთა დელეგაციის 19 აპრილის დეკლარაციაში აღნიშნული პროგნოზი და გაამართლეს ყველაზე უფრო ცუდი მოლოდინი. **თუ კომისიის წინანდელი სესიები უმოძრაოთ რჩებოდნენ ერთ ადგილზე და არავითარ შედეგებს არ იძლეოდნენ, სამაგიეროთ ეხლანდელმა სესიამ უკან დაიხია და მას შეუძლია თავის აქტივში უარყოფითი შედეგები ჩასწეროს.** განიარაღების კონფერენციის ყველა არსებითი მუხლი, რომელიც წინად უთანხმოებას იწვევდა, კომისიამ, რომელიც მიდიოდა ნაკლები წინააღმდეგობის ხაზით, სულ ამოშალა კონვენციიდან. რომ თავი დავანებოთ საბჭოთა პროექტის უარყოფას, კომისიამ თავისი საკუთარი პროექტის ჩარჩოებშიაც კი ზედი-ზედ უარჰყო საბჭოთა დელეგაციის შესწორებები ქიმიური ომისათვის მზადების და აეროპლანებიდან ყუმბარების დაშენის აკრძალვის, სამხედრო რეზერვების შეზღუდვის და სხვათა შესახებ.

შემდეგ ლიტვინოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოსამზადებელი კომისიის მთელი მოღვაწეობის ისტორიაში გადამწყვეტ მომენტად მას მიაჩნია ის, რომ კომისიამ უარი სთქვა საბოლოოდ მიეღო შემცირების პრინციპი შეიარაღებულ ძალთა რომელიმე ელემენტის მიმართ, ე. ი. **უარი სთქვა განიარაღების პრინციპის მიღებაზე. ასეთ პირობებში საბჭოთა დელეგაციას მიაჩნია, რომ ზედმეტია მოსამზადებელი კომისიის კვლავ მოწვევა და შეძლება უშუალოდ მოწვეულ იქნას განიარაღების გენერალური კონფერენცია.** ამ კონფერენციას მასალის სახით უნდა გადაეცეს ის დოკუმენტი, რომელსაც კონვენციის პროექტი ეწოდება.

ამავე დროს ლიტვინოვი აღნიშნავს: არ არის მოსალოდნელი, რომ მოსამზადებელ კომისიაში წარმოდგენილი მთავრობები გენერალურ კონფერენციაზე რაიმე სხვა პოზიციას დაადგენ შეიარაღების შემცირების საკითხში. **საბჭოთა დელეგაცია მაინც საჭიროდ სთვლის კონფერენციის სასწრაფოდ მოწვევას იმ იმედით, რომ ხალხთა მასები, გაიგებენ რა მოსამზადებელი კომისიის მუშაობის შედეგებს, აიძულებენ მთავრობებს გენერალურ კონფერენციაზე დაადგენ ისეთ პოზიციას, რომელიც უფრო დააკმაყოფილებს ამ მასების სურვილებს და მოთხოვნებს.**

ამ შემთხვევაში კონფერენცია იძულებული იქნება გააუქმოს მოსამზადებელი კომისიის ნამუშევარი და ხელახლა შეუდგეს საქმეს. შეიძლება მას მოუხდეს ახალი კომისიის შექმნა და გარკვეული სახელმძღვანელო დირექტივების მიცემა მისთვის. ხოლო თუ კონფერენციის დელეგატები ჩამოვლენ ისეთი ინსტრუქციებით, რომლებითაც თავის მუშაობაში ხელმძღვანელობდა მოსამზადებელი კომისია, მაშინ გენერალური კონფერენციაც საბოლოოდ ჩაიშლება.

„მე ზედმეტად მიმაჩნია,—განაგრძობს ლიტვინოვი,—ბერნსტორფის შემდეგ განვაცხადო, რომ საბჭოთა დელეგაცია კომისიის უმრავლესობასთან ვერ გაიზიარებს პასუხისმგებლობას კომისიის მუშაობის შედეგებისათვის, უკეთ რომ ვთქვათ--უშედეგობისათვის. საბჭოთა დელეგაციამ არა ერთხელ განაცხადა ეს და სანანურად არ მიაჩნია თავისი მონაწილეობა კომისიის მუშაობაში, ვინაიდან თავისი წინადადებებით, რომელთა მიზანიც იყო მაქსიმალურად შესაძლებელი განიარაღება, საბჭოთა დელეგაციამ გააქარწყლა ზღაპარი იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა კავშირი წარმოადგენდეს დაბრკოლებას საყოველთაო განიარაღების გზაზე. საბჭოთა კავშირი არის სახელმწიფო, რომელსაც თავდასხმის ყველაზე უფრო მეტი საფრთხე მოელის აქ წარმოდგენილ სახელმწიფოებს შორის. საბჭოთა კავშირს ყველა სხვა სახელმწიფოები არამეგობრულად და მტრულად უყურებს. საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემთხვევაში მას შეუძლია იქონიოს მხოლოდ საკუთარი ძალების, თავისი წითელი არმიის და ფლოტის იმედი. მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირს არ მიაჩნია საჭიროდ ილაპარაკოს აქ მისი უშიშროების არა საკმაოდ უზრუნველყოფის შესახებ, პირიქით, ის თანახმა იყო განიარაღების ყველაზე უფრო რადიკალური ფორმებისა, მეტიც: იგი თვით აყენებდა ასეთ წინადადებებს, მაგრამ მან ვერ იპოვა მიმდევრები თვით იმ სახელმწიფოებს შორისაც რომელნიც თავიანთი ნაციონალური უშიშროების მხრივ გაცილებით უფრო ხელსაყრელ პირობებში იმყოფებიან. ცალკე წინადადებისათვის კენჭის ყრის დროს საბჭოთა დელეგაცია რჩებოდა უმცირესობაში, უფრო ხშირად კი სრულიად განმარტოვებული. განიარაღების კონფერენციაზედაც საბჭოთა დელეგაცია მზად იქნება წავიდეს მსხვერპლსა და დათმობებზე განიარაღების სასარგებლოდ“.

შემდეგ ილაპარაკა პოლიტისმა. პოლიტისი არც კი შეეცადა, არსებითად პასუხი გაეცა დეკლარაციაზე, რომელსაც მან უწოდა „ნამდვილი საბრალმდებლო აქტი“, და წინადადება შეიტანა, რომ კომისიის მუშაობის განახლების ვადის გამორკვევა მიენდოთ ლოუდონისათვის.

ბერნსტორფი გამოსთქვამს სურვილს, დაჩქარებულ იქნეს როგორც შემდგომი სესიის, ისე გენერალური კონფერენციის მოწვევა. ლიტვინოვი აცხადებს, რომ საჭიროა დაინიშნოს მტკიცე ვადა, როცა მთავრობების წარმომადგენლები უნდა გამოცხადდნენ კომისიაში გარკვეული გადაწყვეტილებებით.

პოლიტისი აცხადებს, რომ საჭიროა მეტი ნდობა მთავრობების მიმართ, რის შემდეგაც მიღებულად აცხადებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ კონფერენციის მოწვევის ვადის გამორკვევა ევალება ლოუდონს. პოლიტისი საბოლოო სიტყვაში შეეცადა—უვნებელი გაეხადა საბჭოთა დელეგაციის უკანასკნელი გამოსვლები, რის შემდეგაც მან დახურულად გამოაცხადა „მეექვსე სესიის პირველი ნაწილი“. (ადს).

კომუნისტების გამარჯვება არჩევნებში

სოციალისტების ხმების შემცირება

პარიზი, 7 მაისი. წინასწარი გამოანგარიშებით, მუნიციპალურ არჩევნებში პარიზში სოციალისტებმა შეჰკრიბეს 86.645 ხმა, ნაცვლად 113.961 ხმისა, რომელიც მათ მიიღეს 1925 წლის არჩევნებში. **ორ უბანში, სოციალისტების კანდიდატების ნაცვლად, პირველი ადგილები კომუნისტებს ერგოთ. ხმების რიცხვის ასეთივე დაკლებას ადგილი აქვს პარიზის მახლობელ რაიონებში. პარიზის მახლობელ ოთხ რაიონში კომუნისტურ სიებს პირველი ადგილი უჭირავთ.** მეორე ადგილი კომუნისტებს პარიზის მახლობელ რვა რაიონში უჭირავთ. ოთხ ქალაქში ხელახლა არჩეულ იქნენ კომუნისტური მუნიციპალიტეტები (ადს).

პარიზი, 7 მაისი. საბოლოო გამოანგარიშებით, კომუნისტებმა პარიზის მუნიციპალურ არჩევნებში მიიღეს ყველა ხმის 21 პროცენტი (107.646 ხმა), სოციალისტებმა—19 პროცენტი (89.339 ხმა).

„ლიუმანიტე“-ს სიტყვით, **შინაგან საქმეთა სამინისტრო ყოველგვარ ზომებს იღებს, რათა ხელმეორე კენჭის ყრის დროს პარიზის გარეუბნებში შეიქმნას ყველა პარტიების ანტი-კომუნისტური მთლიანი ფრონტი სოციალისტების მონაწილეობით** (ადს).

ანტიგერმანული მოძრაობა პოლონეთში

ვარშავა, 7 მაისი. ოპელნში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით (ოპელნში გერმანელმა ნაციონალისტებმა მტრული დემონსტრაცია მოუწყვეს საგასტროლოდ ჩამოსულ პოლონურ დასს), პოლონეთში გაიმართა მრავალი ანტიგერმანული დემონსტრაცია. დიდი დემონსტრაცია გაიმართა ვარშავაში. მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს გერმანელი ოპტანტების გადასახლებას პოლონეთიდან, გერმანული სკოლებისათვის ფულის შემცირებას, გერმანული თეატრების აკრძალვას, გერმანული კინო-სურათების შემოტანის შეწყვეტას, გერმანული საქონლისა და კურორტებისთვის ბოიკოტის გამოცხადებას. დემონსტრანტებს მიჰქონდათ ისეთი პლაკატები, რომლებიც მოითხოვდნენ დანციგის დაჭერას, ზემო-სილეზიის გერმანული ნაწილის პოლონეთთან შეერთებას.

ავღანისტანის ამბები

ლტოლვილნი ავღანისტანის მდგომარეობის შესახებ

თერმეზი, 7 მაისი. ავღანელი ლტოლვილები, რომლებიც მოვიდნენ მაზარ-ი-შერიფში (ავღანისტანის ჩრდილოეთით, საბჭოთა კავშირის საზღვრებიდან 55 კილომეტრის მანძილზე), გადმოგვცემენ, რომ ავღანისტანის ჩრდილოეთ ნაწილში გამწვავდა სამოქალაქო ომი. იქ ბრძოლაა ფადიშაჰ ამანულას მომხრეებსა (გულიამ-ნაბი ხანის მეთაურობით) და ბაჩე-საკაოს მომხრეებს შორის. ბრძოლაა აგრეთვე მაზარ-ი-შერიფისა და დეი-დადის (სიმაგრე მაზარ-ი-შერიფიდან 10 კილომეტრის მანძილზე) შუა. მირზა ქასიმ-ხაჯის (კუგისტანელების ერთ-ერთი წარმომადგენელია) რაზმებმა ალყა შემოარტყეს მაზარ-ი-შერიფს, რომელიც უჭირავს გულიამ ნაბი-ხანის რაზმებს, დახურეს ჯებირი და მაზარს წყალი წაართვეს. გულიამ ნაბი-ხანმა ზარბაზნები დაუშინა ბაჩე-საკაოს რაზმებსა და მათ ბაზას.

ჩამოსული ლტოლვილების სიტყვით, იმ რაიონებში, რომლებიც უჭირავს ბაჩე-საკაოს მომხრეებს, ვაჭრობა მთლად ჩაკვდა. ბაზრები დახურულია. ლტოლვილების სიტყვით, ბანდებს, რომელთა შორისაც ბევრია საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიიდან გაძევებული ბასმაჩი, განზრახული აქვთ გადალახონ საბჭოთა საზღვრები (ადს).

ბასმაჩთა ბანდების გადმოლახვა ავღანისტანიდან

დიუშამბე, 8 მაისი. ავღანისტანში მომხდარი უკანასკნელი ამბების გამო, აპრილის მეორე ნახევრის განმავლობაში გაძლიერდა ბასმაჩთა ბანდების გადმოსვლა ავღანისტან-საბჭოთა საზღვარზე. 20 და 22 აპრილს შუა კალაი ხუმბის (ქალაქია მდ. პანჯზე, ავღანისტანისა და ტაჯიკის ს. ს. რესპუბლიკის საზღვარზე, 100 კილომეტრის მანძილზე დიუშამბეს აღმოსავლეთ-დასავლეთით) რაიონში გადმოვიდა ორი ბანდა: ერთი 150 ბასმაჩის, მეორე—100 ბასმაჩის შემადგენლობით. ორივე ბანდა გადმოვიდა საზღვარზე და გაემართა ტაჯიკის ს. ს. რესპუბლიკის შიგნით. ბანდები ძარცვავდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და თავს ესხმოდნენ საბჭოთა დაწესებულებებს. წითელი არმიის გაგზავნილმა ნაწილებმა ბანდების ნაწილი მოსპეს, ნაწილი გაფანტა და სამხრეთისაკენ გაემართა.

28 აპრილს საზღვარზე გადმოვიდა 300—400 ბასმაჩისაგან შემდგარი ახალი ბანდა ცნობილი ბასმაჩის ფაიზულას მეთაურობით (იბრაგიმ ბეგის მეგობარი და თანამებრძოლი), რომელიც ტერი-კურგარის ულელტეხილით გაემართა გარმში (ქალაქია, რომელიც 120 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს დიუშამბედან, მის აღმოსავლეთით). გარმის სამხრეთით მდებარე რაიონში ბანდას შეხვდნენ წითელი არმიის რაზმები. ბანდა მოერიდა წითელი არმიის რაზმებთან შეტაკებას და გაემართა აღმოსავლეთისაკენ, კალაი-ხუმბისაკენ.

30 აპრილს კალაი-ხუმბის ჩრდილოეთით ჩვენს ნაწილებს შეტაკება ჰქონდათ ბასმაჩების მეორე ბანდასთან. ტყვეების სიტყვით, ეს ბანდა მოწინავე რაზმია ახალი დიდი ბანდისა, რომელიც იბრაგიმ-ბეგის მეთაურობით ემზადება საბჭოთა კავშირის ფარგლებში შემოჭრისათვის.

სამხედრო სარდლობამ მიიღო ზომები ამ ბანდების ლიკვიდაციისათვის.

შენიშვნა: იბრაგიმ-ბეგი ბასმაჩების ცნობილი მეთაურია. 1924—26 წელს იგი მოქმედებდა შუა აზიის საბჭოთა რესპუბლიკებში. მისი ბანდის განადგურების შემდეგ იბრაგიმ-ბეგი იმალებოდა ავღანისტანში (ადს).

მდგომარეობა გერმანიაში

კამათი რეიხსტაგში ბერლინის ამბების შესახებ

ბერლინი, 7 მაისი. რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიაში მოხდა ცხარე კამათი ბერლინის ამბების შესახებ. კომუნისტმა დეპუტატმა მასლოვსკიმ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განაცხადა:

„ის ფაქტი, რომ ზევერინგი არ გამოვიდა საპირველმაისო დემონსტრაციების აკრძალვის წინააღმდეგ, მოწმობს იმას, რომ კლასობრივ ბრძოლაში სოციალ-დემოკრატია მიემხრო პროლეტარიატის წინააღმდეგ მიმართულ ფრონტს. შინაგან საქმეთა მინისტრმა სოციალ-დემოკრატმა გაწრთვნა პოლიციელნი და მოამზადა ისინი სამოქალაქო ომისათვის. წითელ ფრონტელთა კავშირის აკრძალვა მოხდა იმისათვის, რომ უკეთ დაამთავრონ ის ვაჭრობა, რომელიც პარიზში მიმდინარეობს, და გამოააშკარაონ მტრული განწყობილება ბოლშევიზმისადმი. ყოველივე ის, რასაც ლაპარაკობენ კომუნისტ დემონსტრანტების შეიარაღების შესახებ, ზღაპარია. ბარიკადები აგებულ იქნენ ჯავშნიან ავტომობილებისაგან თავდაცვის მიზნით. პოლიცია დუმდუმის ტყვიებს უშენდა დემონსტრანტებს. **პასუხისმგებლობა სისხლისღვრისათვის ეკისრება სოციალ-დემოკრატიას და მის შინაგან საქმეთა მინისტრს.**

ნაციონალისტების და სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლებმა მოიწონეს პოლიციის მოქმედება, აგრეთვე საპირველმაისო დემონსტრაციის აკრძალვა; ნაციონალისტების წარმომადგენელმა გამოსთქვა სურვილი, რომ კომუნისტების წინააღმდეგ მიღებულ იქნას უფრო ძლიერი რეპრესიები.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ზევერინგმა.

ზევერინგმა სავსებით მოიწონა პოლიციის მოქმედება და განაცხადა—თუ ლაპარაკობენ „ცერგიბელის დრაბანტების მიერ მუშების მოკვლაზე“, მე ვაცხადებ, რომ „დიდად ვაფასებ ბერლინის პოლიციის უნარს და სამწუხაროდ მიმაჩნია, თუ ამ უნარს სათანადოდ არ შეაფასებენ“-ო.

„თუ,—განაცხადა შემდეგ ზევერინგმა,—ხდება პოლიციის გამოსვლები, პასუხისმგებლობა ამისათვის ეკისრება ამ ამბების ინტელექტუალურ ინიციატორებს, სახელდობრ კომპარტიას. სახელმწიფოს ამოცანას შეადგენს მოახდინოს კომუნისტების იზოლიაცია. ეს ამოცანა ვერ შესრულდებოდა, რომ არ ყოფილიყო მიღებული ის ზომები, რომლებზედაც აქ ლაპარაკობენ, მაგრამ სისულელე იქნება კომპარტიის დაშლა. აკრძალვა მხოლოდ მაშინ უნდა გამოიცეს, როცა შესაძლებელია მისი განხორციელება (ადს).

პირველი მაისის ამბების მსხვერპლთა დაკრძალვა

ბერლინი, 7 მაისი. 8 მაისს მოხდება პირველი მაისის ამბების დროს პოლიციის მიერ დახოცილთა დაკრძალვა. ამასთან დაკავშირებით, საპირველმაისო კომიტეტი მოუწოდებს ბერლინის მუშებს—შეაჩერონ მუშაობა 13 საათისა და 30 წუთიდან 14 საათამდე. ტრანსპორტის მუშები მუშაობას შეაჩერებენ 5 წუთით—14 საათიდან. დაკრძალვაში მონაწილეობის მისაღებად ჰამბურგიდან ჩამოვიდა დელეგაცია 20 მუშის შემადგენლობით. შუაგერმანიიდან და გერმანიის სხვა კუთხეებიდან წამოსული დელეგაციები გზაში არიან.

პოლიცი-პრეზიდიუმმა ნათესავებს მისცა თერთმეტი მოკლულის გვამი დასაკრძალავად, მაგრამ ნება არ დართო მათ, რომ მოკლულთა ცხედრები დასაკრძალავად წაასვენონ მორგის ან საავადმყოფოების შენობებიდან, ან კარლ ლიბკნეხტის სახლიდან. (ადს).

მოითხოვენ მკვლელების მიცემას პასუხისგებაში

ბერლინი, 7 მაისი. ნეიკელნში პირველი მაისის ამბების დროს დაღუპულთა ოჯახებმა მოსთხოვეს პოლიციას—პასუხისგებაში იქნან მიცემული ის უცნობი პირები, რომლებმაც მკვლელობა ჩაიდინეს.

საღამოს მემარცხენე გაზეთის „ველტ ამ აბენდ“-ის ცნობით, მოკლულთა გვამების გაკვეთის შემდეგ საბოლოოდ გამოირკვა, რომ ისინი მოკლულნი არიან თოფის და ტყვიამფრქვევის ტყვიებით (ადს).

დაშავებული პოლიციელები

ბერლინი, 7 მაისი. ბერლინის პოლიციამ გამოაქვეყნა მაისის პირველი ოთხი დღის განმავლობაში დაშავებულ პოლიციელთა სია. სულ დაშავდა 47 პოლიციელი, აქედან მძიმედ დაშავებულია ოთხი. ტყვიით დაჭრილია მხოლოდ ერთი პოლიციელი (ადს).

უკმაყოფილება პოლიციელთა შორის

პარიზი, 7 მაისი „ჩიკაგო ტრიბუნ“-ის პარიზის გამოცემის ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება: ბერლინის პოლიციას, რომელიც მოქმედებდა ვედინგის უბანში, უკმაყოფილება დაეტყო იმის გამო, რის გაკეთებაც მას უბრძანეს, კორესპონდენტის სიტყვით, პოლიციელები არ ასრულებდნენ უფროსების ბრძანებას, **იხსნიდნენ ფოლადის მუზარადებს, არ იღებდნენ ხელით სასროლ ყუმბარებს და მღეროდნენ რევოლიუციონურ სიმღერებს** (ადს).

დამახასიათებელი დადგენილება

ბერლინი, 7 მაისი. დამახასიათებელია გუსტავის საწარმოთა (რურის ოლქი) მშენებელი მუშების დადგენილება, რომელშიაც ნათქვამია:

„გუსტავის საწარმოთა მუშები მოუწოდებენ მუშებს და აღნიშნავენ, რომ **არც ერთი რიგიანი მუშა აღარ უნდა დარჩეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრად. დასტოვეთ სოციალ-დემოკრატების რიგები და გადადით კომუნისტების რიგებში**“ (ადს).

რეპრესიები კომუნისტების წინააღმდეგ

ბერლინი, 7 მაისი. ჩხრეკამ, რომელიც პოლიციამ მოახდინა კომუნისტური ორგანიზაციების სადგომებში, არავითარი არსებითი შედეგი არ გამოიღო. ბურჟუაზიული გაზეთები ამას ხსნიან იმით, რომ კომუნისტებმა თავის დროზე გაიგეს ხელისუფლების განზრახვა ფრონტელთა წითელი კავშირის დაშლისა და ჩხრეკის მოხდენის შესახებ ან გათვალისწინებული ჰქონდათ ამ ღონისძიებათა შესაძლებლობა (ადს).

ბერლინი, 7 მაისი. სისხლის სამართლის პოლიციამ გაჩხრიკა კარლ ლიბკნეხტის სახელობის სახლი, სადაც მოთავსებულია გერმანიის კომპარტიის ბერლინ-ბრანდენბურგის ორგანიზაცია. კონფისკაცია უყვეს დაბეჭდილ მასალას და ხელთნაწერებს (ადს).

სამოქალაქო მშვიდობიანობის დარღვევისათვის

ბერლინი, 7 მაისი. ვოლფის სააგენტო იუწყება:

მაისის მღელვარებასთან დაკავშირებით დაპატიმრებულთა შორის 45 კაცს ბრალდებად წარუდგინეს სამოქალაქო მშვიდობიანობის დარღვევა და აჯანყება (ადს).

მსოფლიო პროლეტარიატის გამოძახილი

დემონსტრაციები და სოლიდარობის მიტინგები

ვარშავა, 7 მაისი. კომუნისტების მოწოდებით, დანციგის მუშებმა გამართეს დემონსტრაცია ბერლინის პროლეტარიატისათვის სოლიდარობის გამოსაცხადებლად. დემონსტრაციის დროს მოხდა შეტაკება პოლიციასთან. დემონსტრანტები აქტიურად იცავდნენ თავს. შეტაკების დროს ორივე მხრიდან დაიჭრა 20 კაცზე მეტი. (ადს)

ოსლო, 7 მაისი. გაიმართა საპროტესტო მიტინგი ბერლინში მომხდარი ამბების წინააღმდეგ. მიტინგი მოაწყო კომპარტიამ. (ადს).

ბერლინი, 7 მაისი. ბერლინში პირველ მაისს მომხდარმა ამბებმა და პოლიციის მოქმედებამ გამოიწვიეს უდიდესი აღშფოთება მთელი გერმანიის მუშებში, რასაც ადასტურებს ის, რომ გერმანიის ყველა თვალსაჩინო ქალაქში გაიმართა დიდი მასიური დემონსტრაციები (ადს).

ბერლინი, 7 მაისი. 1 მაისს დანციგში, მიუხედავად აკრძალვისა, გაიმართა დიდი კომუნისტური საპირველმაისო დემონსტრაცია ბერლინის პოლიციის მოქმედების წინააღმდეგ. პოლიცია შეეცადა გაეფანტა დემონსტრანტები და დააპატიმრა სეიმის დეპუტატი კომუნისტი პლენიკოვსკი. მაგრამ დემონსტრანტებმა გაანთავისუფლეს იგი. მხოლოდ საღამოთი შესძლო პოლიციამ პლენიკოვსკის და ზოგიერთი სხვა პირების კვლავ დაპატიმრება (ადს).

პარიზი, 7 მაისი. მრავალრიცხოვან მიტინგებზე, რომლებიც კომუნისტებმა გამართეს პარიზის მუნიციპალურ არჩევნებთან დაკავშირებით, მუშებმა მკაცრი პროტესტი განაცხადეს პოლიციის ძალადობის წინააღმდეგ 1 მაისის დღეს. ამასთან მიიღეს საპროტესტო რეზოლიუცია იმ ბოროტმოქმედების წინააღმდეგ, რომელსაც სოციალ-ფაშისტები სჩადიან ბერლინში. რეზოლიუციაში მხურვალედ ესალმებიან ბერლინის გმირულ პროლეტარიატს.

კაშენმა პალატაში შეიტანა შეკითხვა საპირველმაისო რეპრესიების შესახებ პარიზში. (ადს).

საბჭოთა კავშირის მუშების პროტესტი

მოსკოვი, 8 მაისი. იმ ამბავმა, რომ მაისის პირველ დღეებში კაპიტალისტური ქვეყნების მუშებს სასტიკად გაუსწორდნენ, აალელვა მუშათა საზოგადოებრიობა. რ. ს. ფ. ს. რ.-ის ქალაქებიდან გზავნიან საპროტესტო რეზოლიუციებს. ყაზანისა და ჩიტას საწარმოებში სახელდახელოდ გამართულ მიტინგებზე ერთხმად მიიღეს საპროტესტო რეზოლიუციები. მუშები აცხადებენ:

„ჩვენგან დახმარება ყოველთვის უზრუნველყოფილია. მედგრად იბრძოლეთ, შეჰქმენით მსოფლიო საბჭოები“.

გერმანიის სისხლისმღვრელი ამბების გამო ივანოვო-ვოზნესენსკის საოლქო ბიურომ გამოუშვა მოწოდება მუშებისადმი. „რაბოჩი კრაი“ საგანგებო გამოცემას ხელიდან-ხელში იტაცებენ (ადს).

ლენინგრადი, 8 მაისი. პირველი მაისის დემონსტრაციების დროს გერმანიის მუშების დახოცვამ დიდი აღშფოთება გამოიწვია ლენინგრადის მუშათა ფართო მასებში. სხვადასხვა დიდ ქარხნებსა და ფაბრიკებში გაიმართა სახელდახელო მიტინგები; მიტინგებზე გამოტანილ იქნა რეზოლიუციები, რომლებიც სამარცხვინო დაღს ასვამენ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის უნამუსო პროვოკაციულ აქტს (ადს).

ბაქო, 8 მაისი. ბაქოს სარეწაოებსა და ქარხნებში დაიწყო მუშების სტიქიური პროტესტები ბერლინსა და ვარშავაში პირველი მაისის დემონსტრაციების მონაწილეებთან მხეცურად გასწორების წინააღმდეგ, აგრეთვე იმის წინააღმდეგ, რომ გერმანიისა და პოლონეთის პროლეტარიატს აუკრძალეს ინტერნაციონალის დღესასწაულის აღნიშვნა.

„ჩვენ,—ამბობენ რამანის პირველი სარეწაოს მუშები,—მოვისმინეთ მოხსენება პირველი მაისის სისხლისმღვრელი ამბების შესახებ ბერლინში, სადაც პირველი მაისის დემონსტრაციის გმირ მონაწილეებს მხეცური ძალადობით გაუსწორდა პოლიცია იმ სოციალ-დემოკრატი ბელადების მეთაურობით, რომლებსაც ხელები მოსვრილი აქვთ ლიბკნეხტისა, როზა ლიუქსემბურგისა და სპარტაკელების სისხლით. ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ დემონსტრაციების აკრძალვისა და ჩადენილ ძალადობათა წინააღმდეგ“.

ბალახანაში, მეათე სარეწაოს მუშებმა საპროტესტო მიტინგზე გამოიტანეს რეზოლიუცია, რომელიც აღნიშნავს, რომ სოციალ-დემოკრატებმა ერთხელ კიდევ იჩინეს თავი როგორც მუშათა კლასის მოღალატეებმა და გამცემლებმა, ერთხელ კიდევ დაამტკიცეს თავიანთი ერთგულება ბურჟუაზიისადმი.

„ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ პოლიციის იმ მხეცობის წინააღმდეგ. რომელიც მან გამოიჩინა ბერლინისა და ვარშავის მუშების მიმართ,—ნათქვამია რეზოლიუციაში,—და ამავე დროს მხურვალე სალამს უგზავნით ჩვენს ძმებს—ბერლინის პროლეტარებს. მედგრად იბრძოლეთ, ამხანაგებო, თქვენი საქმისათვის, ამხილეთ მოღალატეები—სოციალ-დემოკრატია, ძირი გამოუთხარეთ იმპერიალიზმს, თავი მოუყარეთ თქვენს გარშემო მუშათა კლასის ძალებს, ნუ გადაუხვევთ თქვენს მოთხოვნილებებს. თქვენ მარტონი არა ხართ, თქვენთან არის მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი, თქვენ მხარს გიჭერთ საბჭოთა კავშირი“.

სახელდახელო მიტინგები, რომლებმაც საპროტესტო რეზოლიუციები გამოიტანეს, ბაქოს სხვა სარეწაოებსა და ქარხნებშიც გაიმართა (ადს).

ინგლისის პრესის ჭორები

მოსკოვი, 8 მაისი. ინგლისის პრესა იუწყებოდა, ვითომ ეგვიპტის მთავრობამ ალექსანდრიაში დახურა „ტექსტილ-იმპორტ“-ის სააქციო საზოგადოების კომერციული განყოფილება და გააძევა ყველა მისი თანამშრომელი. ამის შესახებ საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტომ „ტექსტილიმპორტ“-ში მიიღო ცნობა, რომ „ტექსტილიმპორტ“-ის განყოფილება ალექსანდრიაში ძველებურად განაგრძობს ბამბის ოპერაციებს ეგვიპტეში. ეგვიპტეში განყოფილების დაარსებიდან (1927 წლის დამლევი) შესყიდულ იქნა 56 მილიონი მანეთის ბამბა. (ადს)

თავდასხმა ვოლდემარასზე

კოვნო, 7 მაისი. 6 მაისს საღამოთი თეატრში, შესასვლელ კარებთან, უცნობი პირები თავს დაესხნენ ლიტვის პრემიერს ვოლდემარასს. ვოლდემარასის ერთ-ერთი ადიუტანტი მოჰკლეს, მეორე დასჭრეს. დასჭრეს აგრეთვე ვოლდემარასის მცირეწლოვანი ძმისწული და პროფესორ იოდაიკისის ქალიშვილი, რომელიც ხალხში იყო. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

სოციალ-ფაშისტების ტერორი გერმანიაში

გერმანიის კომპარტიის ცეკას მოწოდება

ბერლინი, 8 მაისი. გერმანიის კომპარტიის ცეკამ გამოაქვეყნა მოწოდება ყველა გერმანელი მუშების და მუშა-ქალებისადმი და გერმანიის კომპარტიის ყველა წევრებისადმი. მოწოდებაში აღნიშნულია, რომ „ფრონტელთა წითელი კავშირის“ და „როტე ფანე“-ს აკრძალვა სოციალ-დემოკრატების — ცერგიბელის, გრჟეზინსკის და ზევერინგის მიერ ნიშნავს იმას, რომ სოციალ ფაშიზმი აშკარად იარაღდება სამოქალაქო ომისათვის.

გერმანიის კომპარტია მოუწოდებს გერმანიის მუშათა ყველა ორგანიზაციას, კრებების და დემონსტრაციების გამართვით დაამტკიცონ, რომ გერმანიის პროლეტარიატი ვერ შეურიგდება იმას, რომ მისი ინტერესები მიჰყიდონ ტრესტებში შეკავშირებულ კაპიტალს.

„ყოველმა გერმანელმა მუშამ ზიზღით უნდა შეაქციოს ზურგი მკვლელებს, სოციალ-ფაშისტურ პარტიას. ყოველი მუშა, რომელიც დღემდე ეკუთვნის მუშათა კლასის ჯალათების პარტიას და ხელს უწყობს გერმანიის პროლეტარიატის დამონავებას, სამარცხვინო გამცემლობას სჩადის პროლეტარიატის მიმართ. ჩამოშორდით სოციალ-ფაშიზმის პარტიას და შედით კომუნისტურ პარტიაში“.

მოწოდება გარდა ამისა აყენებს პოლიტიკური ამნისტიის ლოზუნგებს და აღნიშნავს, რომ კაპიტალისტები ამზადებენ ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ (ადს).

წითელ - ფრონტელთა კავშირის აკრძალვა

ბერლინი, 8 მაისი. მეკლენბურგ - შვერინის მთავრობამ აკრძალა ფრონტელთა წითელი კავშირი და კონფისკაცია უყო კავშირის მთელ ქონებას (ადს).

საპირველმაისო დემონსტრაციის საჯაროდ გამომკვლევი კომიტეტი

ბერლინი, 8 მაისი. დაარსებულია საპირველმაისო ამბების საჯაროდ გამომკვლევი კომიტეტი. კომიტეტში კომპარტიის ხელმძღვანელ მოღვაწეთა გარდა მონაწილეობას იღებენ მემარცხენე - ბურჟუაზიული საზოგადოებრიობის წარმომადგენლებიც. ადამიანის უფლებათა ლიგამაც დაადგინა შექმნას კომისია საპირველმაისო ამბების გამოსაკვლევად (ადს).

საპირველმაისო კომიტეტის წევრთა დაპატიმრება

ვენა, 7 მაისი. სოფიის პრესის ცნობით, ბულგარეთის პოლიციამ დააპატიმრა საპირველმაისო კომიტეტის 24 წევრი საპირველმაისო დემონსტრაციების მოწყობისათვის. დაპატიმრებულთა შორის არიან მუშათა პარტიის ცეკას და მუშა ახალგაზრდობის კავშირის წევრები, მათ შორის არის მუშათა პარტიის გენერალური მდივანი ნაჩეტოვი.

დაპატიმრებულთ ბრალად სდებენ ანტისახელმწიფო მოწოდებათა გავრცელებას. (ადს).

საპროტესტო გაფიცვაში მონაწილეობისათვის

ბერლინი, 8 მაისი. ბერლინის მრეწველებმა პირველი მაისის საპროტესტო გაფიცვებში მონაწილეობისათვის უკვე დაითხოვეს 5.000 მუშა და მუშა-ქალი. რეფორმისტულმა პროფკავშირებმა არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწია მათ დათხოვნას (ადს).

ცერგიბელის განცხადება

ბერლინი, 8 მაისი, გაიმართა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბერლინის ორგანიზაციის თანამდებობის პირთა კრება. დღის წესრიგში იდგა მხოლოდ ერთი საკითხი: ბერლინის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ხელმძღვანელის კიუნსტლერის მოხსენება „კომუნისტების ბოროტმოქმედების შესახებ 1 მაისს“. კიუნსტლერი თავის მოხსენებაში მკაცრად ილაშქრებდა კომუნისტების და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მრავალი ორატორი მკაცრად აკრიტიკებდა 1 მაისის დემონსტრაციების აკრძალვას და აგრეთვე ფრონტელების წითელი კავშირის დაშლას, მაგრამ ვექილ რეზენფელდის მიერ შეტანილი რეზოლიუცია, რომელიც გმობდა ცერგიბელის მოქმედებას, მაინც უარჰყო კრებამ. ცერგიბელმა, რომელიც გამოვიდა კამათში და თვითონ იცავდა დემონსტრაციების აკრძალვას და პოლიციის მოქმედებას, სხვათა შორის განაცხადა: „მე ყოველთვის მქონდა კავშირი პარტიასთან და პროფკავშირებთან“-ო (ადს).

მრავალრიცხოვანი საპროტესტო მიტინგი

ბერლინი, 8 მაისი. ამსტერდამში გაიმართა მრავალრიცხოვანი საპროტესტო მიტინგი პოლიციის ტერორის წინააღმდეგ ბერლინში პირველი მაისის დღეებში (ადს).

მდგომარეობა ქაბულში

თერმეზი, 8 მაისი. ნადირ-ხანის და ამანულას შეტევის გაძლიერების გამო მდგომარეობა ქაბულში მძიმეა. სწრაფად სწარმოებს კუგისტანელთა მოღვაწეების ოჯახების და განძეულის ევაკუაცია. ამანულას და ნადირ - ხანის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის დროს ხაბიბულას (ბაჩე-საკაოს) სამხედრო სარდლობა შეეცადა გამოეყენებია საავიაციო საშუალებანი, რომლებიც ხაბიბულამ ხელთ იგდო ქაბულის აღების დროს. მაგრამ აეროპლანები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ბრძოლაში, აღარ დაბრუნდნენ ქაბულში და ამანულას მხარეზე გადავიდნენ (ადს).

ინგლისის რეზიდენტების მოქმედება ავღანისტანში

თერმეზი, 8 მაისი. ქაბულიდან მიღებული ცნობით, ინგლისის რეზიდენტები გაძლიერებულ გეგმაშეწონილ მუშაობას აწარმოებენ აღმოსავლეთის (ჯელალაბადი) და სამხრეთ-აღმოსავლეთის (ხოსტ-გორდესი) პროვინციების ტომებს შორის იმისათვის, რომ ისინი ჩამოაშორონ ავღანისტანს და მათგან შექმნან „დამოუკიდებელი სახელმწიფო“. მტკიცდება ის ფაქტი, რომ ამ ტომებს კვლავ აწვდიან ინგლისის იარაღს და სამხედრო მოწყობილობას (ადს).

„აჯანყების მოწყობისათვის“

ნიუ-იორკი, 7 მაისი. 14 მუშას, რომელნიც საპირველმაისო მიტინგზე დააპატიმრეს ვიფლემში (ლითონის ჩამომსხმელი მრეწველობის ცენტრი პენსილვანიის შტატში), სასამართლოში აძლევენ და ბრალად სდებენ „აჯანყების მოწყობას“.

დაპატიმრებულთა შორის არის და „აჯანყების მოწყობაში“ ბრალს სდებენ 14 წლის ბავშს, რომელზედაც ეჭვი მიიტანეს, რომ იგი მოწაფეებს შორის ავრცელებდა კომკავშირის საპირველმაისო მოწოდებას (ადს).

უმუშევართა დემონსტრაცია ლოძში

ვარშავა, 7 მაისი. ლოძში გაიმართა უმუშევართა დემონსტრაცია. უმუშევრები დაუახლოვდნენ მუნიციპალიტეტს და სამუშაო მოითხოვეს. პოლიციამ გაჰფანტა დემონსტრანტები. ერთი დემონსტრანტი დასჭრეს, რამოდენიმე მოჰკლეს (ადს).

ვერაგული მკვლელობა

ვარშავა, 7 მაისი. ვოლკოვისის მაზრის სოფელ კეტერაში პოლიციამ გლეხ ფლორიკს უპოვა არალეგალური ლიტერატურა. ფლორიკი დააპატიმრეს. გზაში, როცა პოლიციაში მიჰყავდათ, მან, ვითომდა, გაქცევა განიზრახა და მოკლულ იქნა.

თავის დროზე ფლორიკმა სამი წლის პატიმრობა მოიხადა „ანტი-სახელმწიფოებრივი მოქმედებისათვის“ (ადს).

გრაბოვსკი გაანთავისუფლეს

ვარშავა, 7 მაისი. პოლ. სოციალ. პარტიის მემარცხენე ფრთის ბინა, რომელიც დაბეჭდილ იქნა 1 მაისის წინა დღეს, მთავრობის ნებართვით ისევ გაალეს.

გაანთავისუფლეს პოლ. სოციალ. პარტიის მემარცხენე ფრთის თავმჯდომარე ვექილი გრაბოვსკი, ნაცემი და დაპატიმრებული პირველი მაისის დემონსტრაციის დროს (ადს).

ლატვიის დელეგაციის დაბრუნება

რიგა, 7 მაისი. ვარშავიდან დაბრუნდა ლატვიის დელეგაცია. ვარშავში დელეგაციის ყოფნის დროს პოლონეთის მთავრობამ სასწრაფო წესით მოახდინა რატიფიკაცია ხელშეკრულებისა სავაჭრო და პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლის შესახებ, რომელიც დაიდო პოლონეთსა და ლატვიას შორის (ადს).

პოლონეთის ფინანსიური მდგომარეობა

ვარშავა, 7 მაისი. ამერიკის ფინანსიურმა მრჩეველმა პოლონეთში დიუიმ გამოაქვეყნა თავისი მოხსენების ნაწილი პოლონეთის ეკონომ. და ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ მიმდინარე წლის პირველი მეოთხედის განმავლობაში. დიუი აღნიშნავს, რომ საჭიროა დიდი ეკონომიის დაცვა სახელმწიფო სახსრების ხარჯვაში და შემცირება ამ სახსრების დაბანდებისა მრეწველობასა და მშენებლობაში. ამასთან დიუის საჭიროდ მიაჩნია „საგადასახადო სისტემის გაძლიერება“.

დიუი ეხება ვალიუტის სიმტკიცეს და მარაგს პოლონეთის ბანკში და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პოლონეთის ვალიუტის ოქროს მარაგის სიმტკიცეს თვალსაჩინოდ უწყობენ ხელს მოკლევადიანი კრედიტები.

„პოლონეთის ბანკის რეზერვის მდგომარეობა,—სწერს დიუი,—მოწმობს, რომ პოლონეთის ვალიუტა მტკიცეა, მაგრამ ამავე დროს ის ააშკარავებს, თუ რა მცირე რაოდენობით შეიძლება მრეწველობამ და ვაჭრობამ ისარგებლოს ქვეყნის საკრედიტო რეზერვებით.

რეაქციონური ორგანო „აბც“-ი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ფინანსიური მრჩევლის მოხსენება მმართველი ჯგუფისათვის სერიოზულ წინასწარ გაფრთხილებას წარმოადგენს (ადს).

მდგომარეობა ბომბეიში

ლონდონი, 7 მაისი. ბომბეიდან იუწყებიან: ბომბეის საფეიქრო ფაბრიკების გაფიცვის გამო მომხდარ უკანასკნელ შეტაკებათა დროს მოკლულთა რიცხვი 27 კაცს აღწევს. პოლიციამ და სამხედრო ნაწილებმა სასტიკი ზომების წყალობით დაამყარეს შედარებითი სიმშვიდე.

მუშაობა განახლდა 16 ფაბრიკაში. ბომბეის გუბერნატორმა ხელახლა მოიწვია თათბირი იმ მიზნით, რომ მეგობრულად მოწესრიგებულიყო კონფლიქტი დამქირავებლებსა და გაფიცულ ფეიქრებს შორის. თათბირი უშედეგოდ დამთავრდა.

8 მაისს ძალაში შევა კანონი კონფლიქტების შესახებ მრეწველობაში. ეს იმას ნიშნავს, რომ კონფლიქტი გადასაწყვეტად გადაეცემა მომრიგებელ პალატას, რომლის დადგენილებაც სავალდებულოა ორივე მხარისათვის (ადს).

(დეპეშების გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საფრანგეთის კომპარტიის ბრწყინვალე გამარჯვება

მოსკოვი, 8 მაისი. „პრავდა“-ს პარიზელი კორესპონდენტი თავის ცნობაში ეხება მუნიციპალური არჩევნების შედეგებს და აღნიშნავს:

მუნიციპალური არჩევნების შემდეგ კომუნისტ დეპუტატების რიცხვი მთელ საფრანგეთის მუნიციპალიტეტებში 10 პროცენტით გაიზარდა. კომუნისტურ პარტიამ შეინარჩუნა თავისი ძველი პოზიციები ყველა იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც მას უმრავლესობა ჰქონდა. გარდა ამისა მთელ რიგ ქალაქებში, წარსულთან შედარებით, კომპარტიამ გაცილებით მეტი ხმა მიიღო. თვით პარიზში კომუნისტურ პარტიას, წინა წელთან შედარებით, ხმა მისცა ათი ათასამდე ახალ მოქალაქემ—უმთავრესად მუშებმა და წვრილ მოსამსახურეებმა.

აღსანიშნავია, რომ სოციალისტებმა დაჰკარგეს 27 ათასი ხმა. განსაკუთრებით დამახასიათებელია ის გარემოება, რომ კომუნისტური პარტია იმარჯვებდა სწორედ იმ ქალაქებში, სადაც პოლიცია რეპრესიულ ზომებს ღებულობდა კომუნისტურად განწყობილ მუშების მიმართ.

კომუნისტური პარტიის გამარჯვებამ მუნიციპალურ არჩევნებში პარიზის მუშების დიდი აღტაცება გამოიწვია. გაზეთ „ლიუმანიტე“-ს რედაქციის წინ თავი მოიყარა მრავალ მუშამ, რომელნიც საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ ორგანოს მიულოცავდნენ გამარჯვებას.

ბერლინი 1 მაისის სისხლის ღვრის შემდეგ

მოსკოვი, 8 მაისი. „იზვესტია“-ს ბერლინელი კორესპონდენტი იტყობინება:

ბურჟუაზიული პრესაც კი იძულებულია აღნიშნოს, რომ პოლიციამ მეტად სასტიკი ზომები მიიღო მუშების წინააღმდეგ. არაპროლეტარულ საზოგადოებრივ აზრში აშკარა გარდატეხა მოხდა, რამაც თავის გამოხატულება ჰპოვა ჯერ კიდევ წარსულ პარასკევს. ამ დღეს ბერლინის პოლიცეიპრეზიდენტმა—ცერგიბელმა მიიღო ჟურნალისტები. ცერგიბელის ვრცელ ახსნა-განმარტებას მომხდარი ამბების შესახებ პრესის წარმომადგენლები სრული დუმილით შეხვდნენ. ეს სხვათა შორის, იმით აიხსნება, რომ 1 მაისის დემონსტრაციებზე მოკლულ იქნა ერთი უცხოელი ჟურნალისტი, და სცემეს მთელ რიგ გერმანელ ჟურნალისტებს.

გაზეთების დიდი უმრავლესობა აღნიშნავს, რომ არევ-დარევა ხდებოდა სწორედ იქ, სადაც პოლიცია გამოცხადდებოდა.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის წევრთა და კანდიდატების წმენდა

ამხ. ემ. იაროსლავსკის მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) XVI კონფერენციაზე

რისთვის არის საჭირო წმენდა

ამხანაგებო, ჩვენ უკვე გვაქვს ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილება ჩვენი პარტიის რიგების გენერალური წმენდისა და შემოწმების საჭიროების შესახებ. ცენტრ. საკონტროლო კომისიის თეზისები, რომლებიც დაადასტურეს და მოიწონეს ც. კ-მა და ცენტრ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა, უკვე დიდი ხნის გამოქვეყნებული და საკმაოდ გულდასმით განხილული იყო ადგილებზე იმ დრომდე, ვიდრე მათ საფუძვლად მიიღებდა ც. კ.-ისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი. ადგილებზე დაიგზავნა აგრეთვე ინსტრუქცია შემოწმების შესახებ და ეს ინსტრუქცია უფრო დაწვრილებით იყო დამუშავებული პროექტის სახით. კონფერენციის დროს მოხდა საკონტროლო კომისიების წევრთა თათბირი, რომელმაც განიხილა ეს ინსტრუქცია და შეიტანა მასში სხვადასხვა შესწორება. შემდეგ თქვენ დაგირიგდათ მოსკოვის ორგანიზაციის აქტივზე გაკეთებული ჩემი მოხსენება, რომელიც არსებითად ანვითარებს თეზისებში გამოთქმულ აზრებს. ადგილებზე ჩატარებული იყო დიდი მოსამზადებელი სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა წმენდისა და შემოწმების ამოცანათა განსამარტებლად. აქა-იქ შესრულებულია აგრეთვე ძირითადი მოსამზადებელი საორგანიზაციო მუშაობა.

ამგვარად, არსებითად რომ ვთქვათ, მოხსენებას შეიძლება შევლეოდით, მაგრამ ამ პრაქტიკამ, რომელსაც ამჟამად უკვე ადგილი აქვს, დაგვანახვა, რომ ყველგან და ყველას სწორეთ არ გაუგია პარტიის რიგების შემოწმებისა და წმენდის ამოცანები და უკვე ახლავე ვხედავთ სხვადასხვა გამრუდებას, რომლებიც თავშივე უნდა გამოვასწოროთ.

პარტიის წმენდის საჭიროებამ მკვიდრად მოიკიდა ფეხი როგორც პარტიის წევრთა, ისე, საერთოდ, მშრომელთა მასების შეგნებაში. ძალიან აშკარად გვეცემა თვალში ზოგიერთი პარტიული უჯრედების დეფექტი, ძალიან გვეჩხირება თვალში პარტიის ზოგიერთი წევრების არა კომუნისტური საქციელი და ამიტომ ასეთი გენერალური წმენდა აუცილებელია.

ჩვენი მტრების ხმა

დღემდე წმენდის წინააღმდეგ ლაპარაკობდნენ მხოლოდ მენშევიკები და ნაწილობრივ ტროცკი. მან „ნეიე ფრეიე პრეს"-ში დაბეჭდა წერილი, სადაც ამბობს: უკანასკნელ ხანებში, მეტადრე ლენინის სიკვდილის შემდეგ, პარტია გადაიქცა უსახო, უფორმო მასად, იქ შევიდნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც პარტიასთან საერთო არაფერი აქვთ და სხვ.

მეორე დოკუმენტში ის ამტკიცებს, რომ ჩვენს პარტიულ მასას თავისი სახე არა აქვს, შეშინებულია, დამფრთხალია და ხმას აძლევს იმას, რასაც უბრძანებენ. მენშევიკები ამტკიცებენ, რამდენიც არ უნდა ვწმინდოთ, მაინც არაფერი გამოვა, თქვენი პარტია არაფრად ვარგა და ვერავითარი წმენდა მას ვერ უშველის.

ცხადზე-უცხადესია, ეს ხალხი წინდაწინვე ჩირქსა სცხებს ჩვენს წმენდას, ვინაიდან მტრულად განწყობილია ჩვენი პარტიისადმი. თვით პარტიაში, რასაკვირველია, არიან ობივატელები, რომლებიც ზოგჯერ გაუბედავად აცხადებენ, რომ წმენდა უნდა შეეხოს მხოლოდ იმათ, ვის შესახებაც საქმეები არსებობს ან წინათ არსებობდა საკონტროლო კომისიაში.

საკავშირო კომპარტიის (ბ) შემადგენლობა

ნება მომეცით, ამხანაგებო, მოვიყვანო ციფრები, რომლებიც ახასიათებენ ჩვენი პარტიის შემადგენლობას.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის სტატისტიკური განყოფილების ცნობებით, 1929 წლის 1 იანვრისათვის პარტიაში სულ 1.530.080 წევრი და კანდიდატი იყო. აქედან პარტიის წევრები შეადგენენ 71,1 პროცენტს, კანდიდატები—28,9 პროცენტს. პარტიის სოციალური შემადგენლობა ამ დროისათვის ასეთი იყო: 928.600 მუშა (წითელ არმიაში მყოფ მუშა-კომუნისტებთან ერთად). პარტიაში მუშები შეადგენენ 62,4 პროცენტს, გლეხები (წითელ არმიაში მყოფ კომუნისტებთან ერთად) 323.752 კაცს—დაახლოვებით 21 პროცენტს. მოსამსახურეები (არმიისა და ფლოტის მოსამსახურე-კომუნისტებთან ერთად)—234.820 კაცს—15,6 პროცენტს, დანარჩენები—1,3 პროცენტს, 20.000 კაცზე ნაკლებს. თუ ავიღებთ პროცენტულ შეფარდებას მუშებსა და დანარჩენებს შორის, დაახლოვებით იქნება: $^{2}/_{3}$ და $^{1}/_{3}$. თუ ავიღებთ ცნობებს 1921 წლის წმენდის მიხედვით, შეფარდება სულ საწინააღმდეგო იქნება: მაშინ მუშები შეადგენდნენ $^{1}/_{3}$-ზე ცოტა მეტს—37,8 პროცენტს, დანარჩენები იყვნენ გლეხები, მოსამსახურეები და სხვ. მაშასადამე, პარტიის სოციალური შემადგენლობა ძირიან-ფესვიანად შეიცვალა იმ მხრით, რომ გაძლიერდა პროლეტარული შემადგენლობა.

პარტიის წმენდა, სხვათაშორის, ამოცანად ისახავს ამ პროლეტარული შემადგენლობის უფრო მეტად გაძლიერებას იმით, რომ, ერთის მხრით, იგი უნდა გაიწმინდოს არა პროლეტარული, წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული ელემენტებისაგანაც კი (აქა-იქ ასეთებიც არიან), ჩვენთვის უცხო ელემენტებისაგან. მეორეს მხრით, იმით, რომ პარტიას გადავაქცევთ უფრო ერთსახოვან, უფრო ბრძოლის უნარიან, უფრო მტკიცე ორგანიზაციად, შევიყვანთ მასში პროლეტარიატის საუკეთესო კადრებს და ამით გავაძლიერებთ პროლეტარულ შემადგენლობას. ჩვენ რომ პარტიაში შემოგვეპარნენ არა მარტო წვრილბურჟუაზიული, არამედ აქა-იქ აშკარა ბურჟუაზიული, კონტრ-რევოლიუციონური ელემენტებიც, ამას გვიდასტურებენ ზოგიერთი შემთხვევები, რომლებიც აღმოვაჩინეთ საკონტროლო კომისიაში მუშაობის დროს.

მე მოვიყვან ორ ციფრს იმის დასასურათებლად, თუ როგორ იწმინდებოდა ჩვენი პარტია უცხო, ჩვენი ხაზის დამამახინჯებელი, არა პროლეტარული ან აშკარად დანაშაულებრივი ელემენტებისაგან. 1921 წლის წმენდის დროს გამოირიცხა და პარტიიდან გამოვიდა 174.900 კაცი, დაახლოვებით 30 პროცენტი მთელი შემადგენლობისა. ამ დროიდან 1929 წლის 1 ივლისამდე საკონტროლო კომისიების მიერ ჩატარებული სხვადასხვა შემოწმებისა და სისტემატიური მუშაობის დროს გამორიცხულ იქნა 260.144 კაცი. ამგვარად, თუ გაწმენდილებს ვიანგარიშებთ 1921 წლიდან, მაშინ მივიღებთ მთელ არმიას —435.044 კაცს.

ამ რიცხვიდან აღდგენილ იქნა ძალიან მცირე პროცენტი. ეს ციფრი რომ შევამციროთ კიდეც, მაგალითად, 10 პროცენტით, ამ ხნის განმავლობაში პარტიიდან გამორიცხულნი და პარტიისაგან ჩამოშორებულნი მაინც 300.000 კაცზე მეტს შეადგენს. ჩვენს პარტიაში რომ ეხლა მილიონ ნახევარი კაცია, ეს იმას ამტკიცებს, თუ რა დიდი მიმზიდველი ძალა აქვს მას, მეტადრე, მუშათა კლასისათვის. ჩვენს პარტიაში ეხლა დაახლოვებით ერთი მილიონი — 928.610 მუშაა.

საშიშარი „საკონტროლო ციფრები"

ამ ხნის განმავლობაში ჩვენ მოვახდინეთ სხვადასხვა ცალკე შემოწმება. შევამოწმეთ არა საწარმოო უჯრედები, ჩვენი პარტიის დაახლოებით ერთი მეოთხედ ნაწილში. შემდეგ, გავწმინდეთ სოფლის უჯრედები, ნაწილობრივ შევამოწმეთ სოფლის უჯრედები, უკანასკნელ წელს შევამოწმეთ სხვადასხვა ცალკე ორგანიზაციები: შავი ზღვის ოლქის ორგანიზაცია, ჩრდილოეთ - ოსეთის, სმოლენსკის, ყირიმის, ვოტიაკების და ირკუტსკის ორგანიზაციები, ხოლო ცენტრალურ შავმიწადგიან ოლქში შევამოწმეთ 6 რაიონი, უმთავრესად, სოფლის უჯრედები. ყველა ამ შემოწმების შემდეგ პარტიიდან გამორიცხული იქნა 2.180 კაცი. გამორიცხულთა პროცენტი სხვადასხვა ოლქში ქანაობს 6-სა და 18-ს შუა, საშუალოდ გამორიცხულია დაახლოვებით 12-13 პროცენტი. 1921 წლის წმენდასთან შედარებით გამორიცხულთა რიცხვი დაახლოვებით 2 ნახევარჯერ შემცირდა.

ეს იმას გვიჩვენებს, რომ ჩვენი პარტიის შემადგენლობა, რაც უნდა იყოს, უფრო მტკიცე გახდა. შეცდომა იქნებოდა, რომ ეხლა რაიმე „საკონტროლო ციფრები" შეგვედგინა ამ ციფრების მიხედვით, 1921 წლის წმენდასთან შედარებით, და იმ ციფრების თანახმად, რომლებიც ჩვენ მოგვცა სხვადასხვა ორგანიზაციის შემოწმებამ. ცენტრ. საკონტროლო კომისიაში არსებობს მასალა იმის დასადასტურებლად, რომ ეხლა აქა-იქ უკვე აძლევენ ასეთ დირექტივებს: გაიწმინდოს მაგალითად ამდენი და ამდენიო. მე დამისახელეს შემთხვევები, როცა მომხსენებელს უთქვამს: ჩვენს ამოცანას ის შეადგენს, რომ გაიწმინდოს დაახლოვებით ერთი მესამედიო. ასეთი „საკონტროლო ციფრები" ძლიერ სახიფათოა.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია გადაჭრით გავაფრთხილოთ, რათა ადგილი არ ჰქონდეს „საკონტროლო ციფრების" დასახვას, თუ რამდენი უნდა გამოირიცხოს. პარტიიდან უნდა გამოვრიცხოთ ყველა არა კომუნისტი. თუ რამდენი აღმოჩნდება ასეთი — ეს დაკვირვებულად, გულდასმით უნდა შევამოწმოთ, არ უნდა გავაძევოთ ისეთი, ვინც კომუნისტია, მაგრამ ცუდად ასრულებს მოვალეობას თავისი შეუგნებლობის გამო, თავისი არა საკმაო მომზადების გამო, იმის გამო, რომ ორგანიზაცია ვერ ხელმძღვანელობს მის მოქმედებას. ამ თავითვე უნდა შევთანხმდეთ იმაში, თუ რატომ ვახდენთ ამჟამად პარტიის წმენდას. რა თქმა უნდა, არა იმიტომ, რომ ზოგიერთი კომუნისტი ან უჯრედი ცუდია. ამისათვის საკმაო იქნება, რომ ამ ცალკე ცუდი კომუნისტების ან უჯრედების შესახებ ცნობები გადაეცეთ საკონტროლო კომისიას და იქ მათ სათანადოდ შეამოწმებენ. ამოცანა ის არის, რომ თუ ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის წინ ჩვენ ვამოწმებდით ჩვენი პარტიის რიგებს იმ თვალსაზრისით—შეუძლიათ თუ არა ამ კომუნისტებს იკისრონ აღდგენის პერიოდის ამოცანა ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის დროს და გამოიყენონ პარტიის ეს პოლიტიკა მასების მიმართ, გლეხთა მასების მიმართ, ამჟამად ჩვენს წინაშე სდგას არა ნაკლებ საპასუხისმგებლო ამოცანა, რომელიც მოითხოვს ჩვენგან არა ნაკლებ კლასობრივ სიწმინდეს და კლასობრივ პროლეტარულ სიმტკიცეს, — ეს არის მთელი ჩვენი საბჭოთა მეურნეობის რეკონსტრუქციის ამოცანა, ეს არის ამ მეურნეობის გარდაქმნის ამოცანა. ჩვენ ამ გზებზე, ამ ეტაპზე პარტია უნდა გადავაქციოთ უფრო ბრძოლის უნარიანად, უფრო მონოლიტურად, უფრო დარაზმულად ბიუროკრატიზმთან და კლასობრივი ხასიათის სხვა დამახინჯებებთან საბრძოლველად. ეს ამოცანა მოითხოვს პარტიის ყველა წევრის შემოწმებას, მისი რიგების გენერალურ შემოწმებას. ჩვენ ვიძლევით დაახლოვებით ინსტრუქციას და სიას, თუ ვინ უნდა გამოირიცხოს პარტიიდან.

ვისგან უნდა გაიწმინდოს პარტია

საკავშირო კომპარტიის (ბ) რიგების გენერალური წმენდისა და შემოწმების ძირითად ამოცანას წარმოადგენს მისი ენერგიულად გაწმენდა სოციალურად უცხო, გაბიუროკრატებულ და გახრწნილ ელემენტებისაგან, ისეთი ელემენტებისაგან, რომელნიც მმართველ პარტიაში ყოფნას იყენებენ პირადი ანგარებისა და კარიერისტული მიზნებისათვის, ბურჟუაზიულ - მეშჩანური გადაგვარებული ელემენტებისაგან, ისეთი ელემენტებისაგან, რომელნიც შეხორცებულნი არიან კულაკებთან და ამიტომ ეწინააღმდეგებიან პარტიული ხაზისა და საბჭოთა კანონების გატარებას სოფლად, წარმოების დეზორგანიზატორებისაგან, რომელნიც თავიანთი ყოფაქცევით არყევენ პარტიის ავტორიტეტს მუშების თვალში (მუშაობის სისტემატიურად გაცდენა, ლოთობა წარმოებაში, მავნებლობა), აგრეთვე ისეთი პირებისაგან, რომელნიც მეთაურობენ მუშათა პირადი სარგებლობით გატაცებულ და კლასობრივ სახე-დაკარგულ ელემენტებს, რომელნიც ილაშქრებენ პარტიის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ და პროფკავშირთა ისეთი გადაწყვეტილებების წინააღმდეგ, რაც მოწონებულია პარტიის მიერ, პარტიის გაწმენდა ისეთი ელემენტებისაგან, რომელთა აღზრდა და გამოსწორება აღარ ხერხდება, პარტიის გადაწყვეტილებებით დაგმობილი ოპოზიციონური ჯგუფების ყველა წარმომადგენლებისაგან, რომლებმაც ამ ჯგუფებთან სიტყვიერად კავშირი გასწყვიტეს, საქმით კი განაგრძობენ ანტიპარტიულ მუშაობას პარტიის რიგებში.

თქვენ ხედავთ, ამხანაგებო, რომ ამ სიაში, მიუხედავათ იმისა, რომ ჩამოთვლილია სხვადასხვანაირი საბაბი გამორიცხვისთვის, მთავარი ყურადღება ექცევა კომუნისტის კლასობრივ სახეს. ჩვენ უმთავრესად და უწინარეს ყოვლისა ის გვაინტერესებს — არის თუ არა იგი მუშათა კლასის ნამდვილი წარმომადგენელი, როგორც მუშათა კლასის მოწინავე ავანგარდი, როგორც კომუნისტი. ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში გვაქვს პირდაპირი მითითება იმაზე, რომ მხედველობაში უნდა გვქონდეს პარტიის გადაჭრით გაწმენდა აგრეთვე ისეთი ელემენტებისაგან, რომელნიც საყოფაცხოვრებო გახრწნილებაში ჩაეფლნენ.

ჩვენ ერთმანეთს არ ვუპირისპირებთ კომუნისტების ამ ორ ჯგუფს, კლასობრივად უცხოებს და ყოფაცხოვრებაში გახრწნილებს, რომელნიც უვარგისნი არიან, როგორც კომუნისტები. მასიური აქტივის კრებაზე მოხსენების გაკეთების დროს, როდესაც ზოგიერთმა ამხანაგმა სცადა ამ ორი ჯგუფის დაპირისპირება, ჩვენი სიტყვები ისე გაიგეს, თითქოს ჩვენ საყოფაცხოვრებო გახრწნილებასთან ბრძოლის წინააღმდეგი ვიყოთ, თითქოს ჩვენ იმის მომხრენი ვიყოთ, რომ ლმობიერად მოვეპყრათ ჩვენი კომუნისტების გახრწნილი ყოფაქცევის ფაქტებს. მკაფიოდ უნდა ჩამოვაყალიბოთ ჩვენი დამოკიდებულება ამ ფაქტებთან. ამ აქტივის კრებაზე მე ვამბობდი, რომ „ჩვენს პარტიაში ადგილი არ უნდა ჰქონდეთ ბოროტ მფლანგველებს, ჩვენს პარტიაში არ შეიძლება ადგილი ჰქონდეთ პირადი ანგარებით გატაცებულთ, რომელნიც პირადი სარგებლობის მოსაზრებებით, პირადი ინტერესების გამო, არ ასრულებენ პარტიის დირექტივებს, პარტიაში არ შეიძლება ადგილი ჰქონდეთ უნამუსო კარიერისტებს, რომელნიც თავს იფარავენ პარტიული ბილეთით და იყენებენ პარტიას თავიანთი პირადი მიზნებისათვის, პარტიაში არ შეიძლება ადგილი ჰქონდეთ იმათ, რომელნიც ლოთობის გამო ჰკარგავენ პარტიის წევრის სახეს, რომელნიც სახელს უტეხენ პარტიას, არ შეიძლება ადგილი ჰქონდეთ იმათ, ვინც ექსპლოატატორულად და მონათმფლობელურად ეპყრობა ქალს, პარტიაში არ შეიძლება ადგილი ჰქონდეთ არც იმათ, ვინც თავის პირად სარგებლობას აყენებს პარტიის ინტერესებზე მაღლა, რევოლიუციის ინტერესებზე მაღლა".

მაგრამ, ამხანაგებო, აქედან, საყოფაცხოვრებო გახრწნილებასთან ბრძოლის საჭიროებიდან, ზოგიერთ ცალკე ამხანაგებს და ზოგიერთ საკონტროლო კომისიებსაც კი გამოჰყავთ სულ არასწორი დასკვნა, ისინი მთავარ ყურადღებას აქცევენ ყოფაცხოვრებას და არა კომუნისტის კლასობრივ სახეს. ამიტომ ჩვენს თეზისებში გარკვევით ჩამოვაყალიბეთ, რომ ადგილი არ უნდა ჰქონდეს წვრილმან, აბეზარ ქექას პარტიის ყოველი წევრის ყოფაცხოვრებასა და პირად ცხოვრებაში. ჩვენ „ქიქა არაყს" როდი ვაქცევთ მთავარ ყურადღებას შემოწმების დროს.

ყოფა-ცხოვრების მახინჯი მოვლენები

ჩვენ ამას კი არ ვაქცევთ მთავარ ყურადღებას, არამედ პარტიის წევრის კლასობრივ სახეს. მე განზრახ ხაზგასმით აღვნიშნავ საქმის ამ მხარეს, ვინაიდან, ვინ იცის, რამდენჯერ გაგვიკეთებია მოხსენება და შევხვედრივართ საკითხის ასეთი დასმის მეშჩანურ, პირდაპირ ხეპრულ არგაგებას. ჩვენ მიერ საკითხის ასე დასმის საფუძველზე ზოგიერთი ამხანაგი ასეთ დასკვნას აკეთებს — აა, მაშ თქვენ ლოთობასთან ბრძოლის წინააღმდეგი ყოფილ'ხართო. სრულიადაც არა. ჩვენ ლოთობასთან გადამჭრელი ბრძოლის მომხრენი ვართ, მაგრამ ვხედავთ განსხვავებას სიფხიზლის საზოგადოებასა და იმ ადამიანებს შორის, რომელნიც ამბობენ: „ჩვენ შევდივართ სიფხიზლის საზოგადოებაში და აღთქმას ვდებთ, რომ სრულებით აღარ დავლევთ სპირტის სასმელებსო".

რა თქმა უნდა, ჩვენი იდეალი ის არის, რომ კომუნისტები სრულებით არ სვამდნენ სპირტის სასმელებს, მაგრამ თქვენ რომ ეხლა წამოაყენოთ ასეთი მოთხოვნა: არც ერთ კომუნისტს არა აქვს არავითარი უფლება სვას სპირტის სასმელებიო, მე გარწმუნებთ, თქვენ პარტიიდან გააძევებთ კომუნიზმის ერთგულ ადამიანებს, რომელთაც თავიანთი ერთგულება დაამტკიცეს წლებისა და ათეული წლების ბრძოლით, ხოლო პარტიაში დასტოვებთ „წმინდანებს", რომელნიც ვერსად და ვერაფერში ვერ გამოგვადგებიან (ხმაურობა, სიცილი).

ამას ცოტა სხვანაირად უნდა მივუდგეთ. ჩვენი პარტია მილიონ - ნახევრიანია, მასში მილიონამდე მუშა შედის, რომელთაგან მრავალი ასი ათასი პარტიაში შემოვიდა ლენინის სიკვდილის შემდეგ. მათ შორის საჭიროა უდიდესი მუშაობა, ისევე როგორც ყველა ჩვენს შორის. ჩვენ ერთგვარად (ფიზიკურად) წარსულის ხალხი ვართ, წარსულის ყველა ნაკლით, ჩვენ შორის ჯერ კიდევ საჭიროა უდიდესი მუშაობა. ჩვენ თითონ უნდა ვმუშაობდეთ ჩვენს გარდასაქმნელად და იმათ ასაზრდელად, ვინც ჩვენთან მოდის. მაგრამ ადამიანები უნდა ავიღოთ ისეთები, როგორნიც არიან, და შევამოწმოთ ისინი — გამოგვადგებიან თუ არა თავიანთი ნაკლითა და დეფექტებით, გამოგვადგებიან თუ არა სოციალიზმისათვის საბრძოლველად, სოციალიზმის მშენებლობისათვის საბრძოლველად, გამოგვადგებიან თუ არა იმისათვის, რომ თავი გასწირონ, თუ კი ეს საჭირო იქნება ამ საქმისათვის. აი როგორ უნდა მივუდგეთ საქმეს. თავის თავად იგულისხმება, რომ ჩვენს რიგებში არ შეიძლება იყვნენ ისეთი ადამიანები, რომელნიც ივიწყებენ პარტიის ინტერესებს. მაგალითად, თავდაპირველად ჩვენ მეტისმეტად ლმობიერად მოვეპყარით „სოციალიზმის იმ მშენებელთ", რომელნიც იყვნენ მშენებელთა კავშირში და მოსკოვში მოაწყვეს „კაბუკი". კარგია, რომ შემდეგ ისინი გამოვრიცხეთ პარტიიდან და დავსაჯეთ, თავდაპირველად კი შედარებით რბილად მოვეპყარით მათ, ამავე დროს „კაბუკი" მარტო მოსკოვში არ არის.

ჩვენში ზოგჯერ შეხვდებით, რომ გულგრილად ეპყრობიან გახრწნის უსაძაგლეს ფორმებს, ზოგჯერ კი, პირიქით, აბუჩად იგდებენ პარტიის წევრს და მოითხოვენ: აბა ამოისუნთქე, ღვინის სუნი ხომ არ ამოგდის, ან მოითხოვენ აუცილებელ გარეგნულ ერთგულებას მეუღლის მიმართ იმისათვის, რომ კომუნისტი დარჩეს პარტიის წევრად, თითქოს ეს აუცილებელი პირობა იყოს სოციალისტური მშენებლობის წარმატებისთვის. კომუნისტების ყოფა-ცხოვრების რეგლამენტაციის სფეროში საქმე მიდის იქამდის, რომ ყოფილი წითელ არმიელი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს სთხოვს ცოლის შერთვის ნებართვას, რადგან ადგილობრივ სათემო კომიტეტმა არ მისცა მას ამის ნებართვა. თქვენ, ალბად, წაიკითხეთ ამ ფაქტების შესახებ, ეს მოყვანილი იყო ჩემს მოხსენებაში მოსკოვის აქტივზე. ეს ყოფილი წითელ არმიელი სწერს: „გთხოვთ, ნება დამრთოთ ცოლად შევირთო მღვდლის ქალიშვილი, რადგან იგი მიყვარს 1925 წლიდან. 1926 წელს გამიწვიეს წითელ არმიაში და შევედი პარტიაში. როცა სახლში დავბრუნდი საკ. კ.პ. (ბ) სათემო კომიტეტმა არ დამრთო ნება შემერთო ზემოდნახსენები ქალიშვილი, ხოლო მასთან დაშორება არ ძალმიძს, არ მყოფნის ენერგია, რომ დავტოვო და უღალატო მას, რადგან იგი მზადაა წავიდეს ყოველგვარ დათმობაზე, ოღონდ ცოლად გამომყვეს. ამიტომ გთხოვთ, უყურადღებოთ ნუ დასტოვებთ ჩემს თხოვნას".

ამხანაგებო, თუ საქმე მიდის იქამდე, რომ საწყალი ახალგაზრდა, ყოფილი წითელ არმიელი, იძულებულია დახმარებისათვის მიმართოს ცენტრალურ კომიტეტს, ისმება კითხვა — ხომ არ გადავაჭარბეთ კომუნისტების ყოფა-ცხოვრების რეგლამენტაციის საქმეში? მე ვფიქრობ, ჩვენ აქ ცოტა გადავაჭარბეთ. არ არის საჭირო ასეთი გადაჭარბება; საჭიროა რაღაც ახალი, რაღაც სხვა მეთოდების გამონახვა პარტიის წევრების აღსაზრდელად, პარტიულთა ჯანსაღი ყოფა-ცხოვრების შესაქმნელად.

ეგრედ წოდებული „ყოფა-ცხოვრების შემსწავლი კომისიები"

იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენ იერიში უნდა მიგვეტანა ყოფა-ცხოვრების გახრწნის წინააღმდეგ, ზოგიერთმა პარტიულმა ორგანიზაციებმა საქმე გაიგეს ისე, რომ უნდა დაარსდეს „საყოფა-ცხოვრებო კომისიები", რომელნიც ჩამოუვლიან პარტიის ყველა წევრს და იქ, ბინაზე, გამოიკვლევენ პარტიულთა ყოფა-ცხოვრებას. ჩვენ გადაჭრით უარვყოფთ ასეთ ნაბიჯს. ასეთი შემოწმება კინკლაობის ხასიათს მიიღებს და მოგვცემს აუარებელ შეცდომას, არაპრინციპიალურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ნაკარნახევი იქნება სამზარეულოებისა, სამრეცხაოების ნიადაგზე მომხდარი გაბოროტებით. უნდა ითქვას, რომ ზოგან უკვე დაარსდნენ და მოქმედებენ საყოფა-ცხოვრებო კომისიები. ჩემს მოხსენებაში, რომელიც თქვენ დაგირიგდათ, არის დოკუმენტი იმის შესახებ, რომ ვლადიმირში ჯერ კიდევ წმენდის დაწყებამდე დაარსდა ასეთი საყოფა-ცხოვრებო კომისია და შემუშავებულ იქნა გამოკვლევის სქემა, რომლითაც გათვალისწინებულია გამოკვლევა მატერიალური ყოფა-ცხოვრებისა, ოთახების შინაგანი მორთულობისა, გართობისა, მსოფლმხედველობისა (სიცილი).

ჯერ-ჯერობით არ ვიცით, ვინ იქნება ეს გამომკვლევი, ვინ შევა ამ საყოფა-ცხოვრებო კომისიაში. მაგრამ შეიძლება სულ საწინააღმდეგო შედეგები მივიღოთ. მაგალითად, ზაპოროჟიეში ასეთმა საყოფა-ცხოვრებო კომისიამ უკვე ჩამოიარა კომუნისტების ბინები. რა ნახა? მან ყურადღება მიაქცია მხოლოდ იმას, რომ ზოგიერთ ბინაზე არის ხატები. რასაკვირველია, თუ კომუნისტს უკიდია ხატი, ეს იმის დამამტკიცებელია, რომ მას ჯერ არ გაუწყვეტია კავშირი რელიგიასთან. მაგრამ ჩვენში ხშირად კომუნისტთან ერთად სცხოვრობს მისი მოხუცი მამა, დედა, ძმები ან დები და ჩვენ ვერ მოვთხოვთ პარტიულ ამხანაგს — ძალდატანებით გააწყვეტინოს მათ ყოველგვარი კავშირი სარწმუნოებასთან. საკონტროლო კომისიების წარმომადგენელთა თათბირზე მივედით იმ დასკვნამდე, რომ ასეთი „საყოფა-ცხოვრებო კომისიები" დაუყოვნებლივ უნდა დავშალოთ და უნდა შევაჩეროთ მათი მუშაობა. ამ საყოფა-ცხოვრებო კომისიებს საუკეთესო განზრახვები აქვთ, მაგრამ შედეგი შეიძლება საწინააღმდეგო გამოვიდეს, თუნდაც თავი დავანებოთ იმას, რომ აქ შეტანილი იქნება ბევრი უპრინციპო ელემენტი, ბევრი სამზარეულოს ჭორი, ყველაფერი ეს კი დაფარავს წმენდის ძირითად ამოცანებს.

დაწესებულებათა და სოფლის უჯრედების წმენდა

თეზისებში დაწვრილებით ჩამოვაყალიბეთ, თუ რა მოთხოვნებს ვუდგენთ სხვადასხვა უჯრედს — საქალაქო, საწარმოო, საბჭოთა, სასოფლო და უმაღლეს სასწავლებლის უჯრედს. შევეცადეთ გაგვეთვალისწინებია ყოველგვარი საკითხი, რათა თავიდან აგვეცილებია შეცდომები. ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ სოფლის და საბჭოთა უჯრედების წმენდას. რასაკვირველია, საწარმოო უჯრედებში, მუშების სახით, არის ისეთი ხალხიც, რომელნიც ამ ცოტა ხნის წინად თეთრების ბანაკში იყვნენ.

მაგრამ, ამხანაგებო, აქ ბევრი რამ უნდა გავითვალისწინოთ. ავიღოთ, თუ გნებავთ იჟევსკის ქარხნები. იჟევსკის ქარხნებში, როგორც ვიცით, მუშების თვალსაჩინო ნაწილი თავის დროზე ესერებისა და მენშევიკების პარტიაში ირიცხებოდა. მათი გავლენით მუშების ნაწილი შევიდა კაპელის ცნობილ დივიზიაში, რომელიც კოლჩაკის არმიაში იბრძოდა ჩვენს წინააღმდეგ. თუ თქვენ ეხლა თვალს გადაავლებთ იჟევსკის ორგანიზაციას, მუშების შემადგენლობაში, — მე ვლაპარაკობ საწარმოო უჯრედებზე, — დაინახავთ 30-40 პროცენტს იმათ, ვინც ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდა. საკითხი მეტად სერიოზულია, საკითხი იმის შესახებ, უნდა გამოვრიცხოთ თუ არა ეხლა ისინი ჩვენი პარტიიდან. მე ვფიქრობ, რომ ეს ხალხი არ ფარავდა თავის წარსულს, როცა შემოდიოდა პარტიაში, ხოლო თუ მუშებმა აპატიეს მათ წარსული ნამოქმედარი და თუ მათ 6-7 წლის განმავლობაში დაამტკიცეს პარტიისადმი ერთგულება, სწორი არ იქნება საკითხის ასე გადაჭრა. ასეთივე მდგომარეობაა აშხაბადში და კიზილ-არვატში, სადაც ბევრი მუშა წინად თეთრ არმიაში იყო. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ, საერთოდ, გულგრილად უნდა ვუცქიროთ იმათ, ვინც თეთრ არმიაში იყო, თუნდაც ისინი ფაბრიკის და ქარხნის მუშების სახით იყვნენ შემოსულნი ჩვენს პარტიაში.

აღდგენის პერიოდში ისინი მოგვჩანჩალებდნენ კუდში, ეხლანდელ პერიოდში კი, როცა ვიწყებთ შეტევას კაპიტალისტურ ელემენტებზე, როცა საჭიროა მაქსიმალური პარტიული სიმტკიცე, ჩვენ, ამხანაგებო, კარგს ვიზამთ, თუ უფრო საფუძვლიანად გავნთავისუფლდებით ამ ამხანაგებისაგან. მათი რიცხვი საკმაოა ჩვენს საბჭოთა ორგანოებში, ეგრედ წოდებულ საბჭოთა მოსამსახურეებს შორის. იქ ჩვენ ხშირად ვხედავთ იმათ, ვისაც ასე სწორედ უწოდა ამხ. სტალინმა „გაპრიალებული კომუნისტები". ეს პრიალი მათ, ერთის მხრივ, გარეგნულად წესიერ სახეს აძლევს, ხოლო მეორეს მხრივ, იცავს სხვადასხვა გავლენისაგან, მათ შორის კომუნისტური გავლენისაგანაც. „გაპრიალებული კომუნისტები" ცდილობენ ისე დაიჭირონ თავი, რომ არავის არ აწყენინონ.

ესენი არიან „ჩინოვნიკები", რომელნიც იმავე დროს ხშირად ითვისებენ ბიუროკრატიზმის ყველა ცუდ მხარეებს, გულგრილად ან დაცინვით ეპყრობიან მუშა კაცს, რომელიც ჩვენს დაწესებულებაში მოდის, არ ეკითხებიან მას — რა საქმე აქვს, არ აქცევენ არავითარ ყურადღებას. ასეთ გაბიუროკრატებულ ელემენტს არ უნდა ჰქონდეს ადგილი პარტიაში.

სოფლად საქმე გვაქვს ისეთ მდგომარეობასთან, რომ მნიშვნელოვანი ნაწილი კომუნისტებისა, რომელნიც არ მუშაობენ უშუალოდ სოფლის მეურნეობაში, ან ზოგიერთი მათგანი მუშაობს საბჭოთა ქვედა აპარატში, ხშირად ამახინჯებს ჩვენ პარტიულ ხაზს. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენში სოფელთან დაკავშირებული მუშა - კომუნისტი არ არის მაინც და მაინც ბევრი. პარტიის იმ მუშა-წევრთა რიცხვი, რომელნიც დაკავშირებულნი არიან მიწასთან, უდრის 10,1 პროცენტს, მათ შორის სოფლის მეურნეობაში პირადი შრომით მონაწილეობას იღებს 8,7 პროც., ხოლო 5,2 პროცენტი აწვდის ფულად დახმარებას. კანდიდატებს შორის უფრო ბევრი მუშაა დაკავშირებული მიწასთან. ეს მოწმობს იმას, რომ ეხლა ჩვენ პარტიაში ვღებულობთ უფრო მეტ მუშას, დაკავშირებულს სოფლის მეურნეობასთან, ვიდრე ეს იყო წინად. კანდიდატებს შორის სოფელთან დაკავშირებულია მუშების 16,6 პროცენტი. მართალია, ეს ციფრი ცეკას სტატისტიკური განყოფილების ცნობით ეკუთვნის 1927 [illegible] 10 იანვარს — უფრო ახალი ცნობები ჩემ ხელთ არ არის. ამგვარად, კანდიდატების 16,6 პროცენტი დაკავშირებული იყო მიწასთან. აქედან 8,6 პროცენტი საკუთარი შრომით მონაწილეობდა სოფლის მეურნეობაში, ხოლო ფულად დახმარებას აწვდიდა 8 პროცენტი. აი როგორია იმ მუშა-კომუნისტების ფენა, რომლის საშუალებითაც ხდება არა მარტო ამ ფენის გავლენა სოფელზე, არამედ სოფლის გავლენაც მუშათა კლასზე.

ჩვენ სისწორით უნდა გამოვიკვლიოთ, თუ რა გვაქვს სოფლად კლასობრივი შემადგენლობის მხრივ. ზოგიერთ რაიონში სოფლის უჯრედების კლასობრივი შემადგენლობა არ არის დამაკმაყოფილებელი.

პარტიის წევრების დახასიათების შესახებ

რომ სოფლად არის ხალხი, რომელიც სრულიად არ ატარებს ჩვენს კლასობრივ ხაზს, ამას მოწმობს ყველა გამოკვლევა და შემოწმება, რომელიც ჩვენ მოვახდინეთ. კლასობრივად უცხო ელემენტებთან შეზრდა იქ სულ უბრალოდ ხდება: გლეხობის ცალკე ჯგუფებს შორის — კულაკებს, საშუალო გლეხებსა და ღარიბ გლეხებს შორის — ზოგჯერ სრულებით შეუმჩნეველი საფეხურებია. იქ ჩვენ ასეთ რამეს ვხედავთ: ნახევრად-მუშა, ნახევრად - გლეხი ხუცესს სთხოვს — მოუნათლოს ბავშვი, და მიმართავს „კომუნისტური სალამით". „პატივცემულო მამაო სერგეი, სასურველია ბავშვის მონათვლა და მეც თქვენ მოგმართავთ კომუნისტური სალამით. ნიკოლოზ კოზლოვი" (სიცილი). ხომ შეიძლება, რომ ჩვენ ასეთები „კომუნისტური სალამით" გამოვაბრძანოთ პარტიიდან? აი კიდევ ირკუტსკის გუბერნიის მანზურსკის უჯრედი, როგორ ახასიათებს ციკოვს: „სოფლის მოჯამაგირე, ყოფილი აზნაურიშვილი, დისციპლინიანი, იდეოლოგიურად მტკიცეა, პარტიულის თვალსაზრისით არ არის საკმაოდ გამობრძმედილი, პარტიის დირექტივებს . ენერგიულად ანხორციელებს".

მოდი და გაიგე ასეთი დახასიათება! საქმე იმაშია, რომ ზოგიერთ უჯრედში, საერთოდ, არა სურთ ცუდად დაახასიათონ „თავიანთი" კომუნისტები. ზოგიერთ უჯრედში ყველანი ერთმანეთს უჭერენ მხარს. ამიტომ წესად უნდა მივიღოთ, რომ შემმოწმებელმა კომისიებმა ძალიან კრიტიკულად შეხედონ იმ დახასიათებას, რომელსაც იძლევიან უჯრედის ბიუროები. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ სრულებით არ უნდა ვენდოთ ამ დახასიათებებს. არა, ეს ცნობები გამოგვადგება შემოწმების ძირითად მასალად, მაგრამ მათ ისე უნდა ვუყუროთ, როგორც მასალას, რომელიც უნდა შემდეგ შევამოწმოთ. როდესაც შეამოწმეს ეს „დისციპლინიანი, პარტიის დირექტივების ენერგიულად გამტარებელი" ადამიანი, კომისიამ იგი პარტიიდან გამორიცხა, როგორც „იდეოლოგიურად მერყევი, სოფ. მანზურსკის მემამულის, აზნაურის, ყოფილი სოფლის ქამიას შვილი, იმ სოფლის ქამიასი, რომელსაც ჰქონდა დიდი სავაჭრო, წისქვილი და სამი დიდი სახლი. კოლჩაკის დროს იგი მსახურობდა შტაბში, როგორც ჩაფარი. მოსახლეობის ღარიბი და საშუალო შეძლების ნაწილი მეტად უკმაყოფილო იყო იმით, რომ იგი პარტიაში ირიცხებოდა. მას სურდა აფიცერი ძმა პროფკავშირში გაეყვანა".

ხომ ხედავთ, როგორ ეწინააღმდეგება ის დახასიათება, რომელიც ციკოვმა შემდეგში მიიღო, იმ დახასიათებას, რომელიც მას მისცა უჯრედის ბიურომ. სახეში უნდა ვიქონიოთ, რომ ეს მდგომარეობა სოფლის ბევრ უჯრედში განმეორდება (და არა მარტო სოფლის უჯრედში). მარტო სოფლის უჯრედებში არ დაუჭერენ მხარს ერთმანეთს გახრწნილები და ნახევრად გახრწნილები, მარტო იქ არ მისცემენ ისინი ერთმანეთს საუკეთესო დახასიათებას.

როცა კომისიამ უჯრედი შეამოწმა, აღმოჩნდა: „იქ ყველა ლოთობს. ეს იწვევს სხვა ავადმყოფურ მოვლენებს, განსაკუთრებით უჯრედის ხელმძღვანელ ნაწილში. მონაწილეობას იღებენ უპარტიოებთან, უცხო ელემენტებთან, კულაკებთან ქეიფებში. ადგილი აქვს ნათესაურ კავშირს კულაკებთან, ჩხუბს, ხულიგნობას, რელიგიური დღესასწაულების დაცვას, ღებულობენ სახლში ხუცებს ჯვრით. ამას კი მოსდევს კეთილი განწყობილება ხუცესისადმი, რომლის გაძევებაც ღარიბი გლეხების კრებიდან პარტიულებმა ვერ გაბედეს. სხვა ქალებთან კავშირის ნიადაგზე ადგილი აქვს უსიამოვნებას ოჯახში, სცემენ ორსულ ქალებს, სახლიდანაც აგდებენ, 4—9 თვის განმავლობაში არ იხდიან საწევრო გადასახადს, შორდებიან პარტმუშაობას (ირკუტსკის ოლქი, გრიაზნუხინას უჯრედი).

აი, როგორ ეპყრობა ასეთი უჯრედი ღარიბ გლეხებს:

„სოფლის უჯრედების შემოწმების დროს გამოაშკარავდა ღარიბი გლეხების მიმართ უმსგავსი ფაქტები პარტიის იმ ცალკე წევრების მხრით, რომელთაც ხელმძღვანელი ადგილები უჭირავთ სოფლის ორგანიზაციებში. მალშევის სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს კომისია შეეკითხა, თუ რა დახმარება გაუწიეს ღარიბ გლეხებს, მისი პასუხი იყო: „ერთი ღარიბი გლეხი უფასოდ დავმარხეთ, დანარჩენებს დახმარება არ უთხოვიათ"-ო. (ირკუტსკის ოლქი). (სიცილი).

როგორც ეტყობა, მათ ისე გაიგეს, რომ უნდა დაეარსებიათ რაღაც სამარხი ბიუროს მაგვარი.

ღარიბი გლეხების განცხადებებზე, გადასახადების ვადის გადადების შესახებ, კორობტაევის სოფლის საბჭოს თავმჯდომარე სწერდა რეზოლიუციებს: „ჩამოერთვას ქურქი", „ჩამოერთვას ცხვარი", ამავე დროს არავითარ ზომებს არ იღებდა, რომ გადაეხადათ ვალი შეძლებულ გლეხებს (ირკუტსკის ოლქი).

ამხანაგებო, თავის-თავად ცხადია, რომ სოფელში, როგორც ყველგან, დაგვჭირდება იმის გამორკვევა, თუ რას წარმოადგენს პერსონალურად თვითეული კომუნისტი. მაგრამ მარტო ეს არ შეადგენს სოფლის უჯრედის ამოცანას. შემმოწმებელმა კომისიებმა უდიდესი მუშაობა უნდა ჩაატარონ, მათ უნდა შეამოწმონ პარტიის მუშაობა და არა მარტო თვითეული კომუნისტის მუშაობა, მათ უნდა შეამოწმონ, თუ როგორ ტარდება სოფელში პარტიული ხაზი და გარკვეული პასუხი უნდა მისცენ ღარიბსა და საშუალო შეძლების გლეხებს პარტიული ხაზის შესახებ. თუ მოგვიხდა (და, როგორც ეტყობა, მოგვიხდება კიდეც) სოფელში ბევრი უჯრედის დაშლა, მაშინ უნდა უზრუნველვყოთ ამათ ადგილას ახლების, კლასობრივი თვალსაზრისით უფრო მტკიცე უჯრედების შექმნა, ისეთების შექმნა, რომლებიც შესძლებენ ჩვენი ხაზის გატარებას.

წმენდა ეროვნ. რესპუბლიკათა უჯრედებში

მცირე ხანს შევჩერდები ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების უჯრედებზე. იმ მოხსენებაში, რომელიც თქვენ დაგირიგდათ, მეტად აშკარა დოკუმენტებია მოყვანილი. მოხსენებაში წაიკითხავთ კაზაკსტანის საოლქო კომიტეტის ცნობას იშანბაზარის ორგანიზაციის შესახებ. იქ არსებობდა თურმე ისეთი უჯრედი, სადაც პარტიაში ღარიბთა შესასვლელი ანკეტები იყიდებოდა. იქ განგებ ჰკარგავდნენ ამ ანკეტებს, რომ შუამდგომლობა აღეძრათ პარტიაში შესვლის შესახებ. პარტიული ცნობის მისაღებად უნდა მიემართათ ადგილობრივი ვაჭრისა და ადგილობრივი ბაისათვის. ამაზე შორს წასვლა აღარ შეიძლება! ცხადია, აქ დიდი ყურადღებით შემოწმებაა საჭირო, უნდა გაიწმინდოს ასეთი ორგანიზაციები. რასაკვირველია, იქ არიან ახალი ელემენტები, რომელთაც შეუძლიათ ჩვენს პარტიაში მოვიდნენ. მინდა აქ თქვენი ყურადღება მივაქციო ამ ნიადაგზე მოსალოდნელ ერთს შეცდომას, იმას, რომ, ერთის მხრით, ჩვენ საქმე გვაქვს იმ ელემენტებთან, რომელნიც პარტიაში შემოვიდნენ სამოქალაქო ომის პერიოდში, ხოლო, მეორეს მხრით, ახალ ელემენტებთან, რომელნიც პარტიაში ახლა მოდიან. ამხანაგებო, როდესაც თქვენ შეჰქმენით პარტიული ორგანიზაციები თურქმენისტანში, კაზაკსტანში და სხვა ასეთ ოლქებში სამოქალაქო ომის პერიოდში, ჩვენ მაშინ პარტიაში ძალიან ცოტა მივიღეთ პროლეტარული, დეხკანური ელემენტები, ისინი ჯერ კიდევ არ მოდიოდნენ პარტიაში. მე მაქვს ნაციონალურ რესპუბლიკაში მომუშავე ერთი ამხანაგის წერილი, რომელიც აღნიშნავს, რომ განაპირა ოლქებში, განსაკუთრებით თურქმენისტანში, პარტიის შემოწმება და წმენდა განსაკუთრებულის ყურადღებით უნდა იქნას ჩატარებული. მიზეზი, ამხანაგის სიტყვით, შემდეგში მდგომარეობს:

„თურქმენისტანის კომუნისტური პარტია იქმნებოდა მაშინ, როდესაც თითქმის სულ არ მოიპოვებოდა სამრეწველო პროლეტარიატი... იგი სდგებოდა ძირითადი, მკვიდრი მოსახლეობისაგან. თურქმენისტანის გასაბჭოების პირველ ხანებში ღარიბი თურქმენი—გლეხები და სოფლის მოჯამაგირეები, თითქმის ყველანი, სრულიად უკულტურონი და წერა-კითხვის უცოდინარნი იყვნენ; ამიტომაც ისინი პარტიის გარეშე დარჩენ". ამ ამხანაგმა გადმომცა პარტიიდან „გამოსაწმენდი" ოცი კაცის სია. როდესაც მათ დახასიათებას კითხულობ, იმ დასკვნამდე მიდიხარ, რომ, ალბად, აქ არის დიდი პროცენტი ისეთებისა, რომელთაც ადგილი არა აქვთ ჩვენს პარტიაში. მე წავიკითხავ მხოლოდ რამდენიმე დახასიათებას, გვარებს არ დავასახელებ, რადგან ეს ცნობები ჯერ კიდევ უნდა შემოწმდეს.

„ყოფილი თეთრგვარდიელი ოფიცერი, რომელმაც თავი გამოიჩინა წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლებში და ამიტომ ბუხაროს ემირისაგან გულზე სატარებელი ვარსკლავი მიიღო. ის იყო იმ ბატალიონის მეთაური, რომელიც 1918—19 წელს წითელი არმიის წინააღმდეგ მოქმედებდა ამიერ-კასპიის მხარის ფრონტის ლიკვიდაციამდე. პორუჩიკის ჩინი ჰქონდა, როდესაც მეთაურობდა თეთრგვარდიელების ბანდის ესკადრონს იმ დროიდან დაწყებული რაც გაჩნდა ამიერ-კასპიის მხარის ფრონტი ამ ფრონტის ლიკვიდაციამდე. განსაკუთრებულ სისასტიკეს იჩენდა, ხოცავდა ტყვეებს და თავისი ხელით ხვრეტდა მათ. ამგვარი „მოღვაწეობისათვის" ის ღირსა უმაღლეს საჩუქარს: გულზე სატარებელ ვარსკლავს ემირისაგან. მეთაურობდა თეთრი ბანდის ესკადრონს, თავი ისახელა ბრძოლაში წითლების წინააღმდეგ და მიიღო გულზე სატარებელი ახლითივე ვარსკლავი. ჩვეულებისამებრ, ძველებურად ძალიან ხშირად სვამს და იწყებს სროლას".

მე ვფიქრობ, ამხანაგებო, ასეთს მაგალითს მრავალს ვიპოვით. მე ველაპარაკე იმ ამხანაგებს, რომლებიც ამ ოლქში მუშაობენ. ისინი ამბობენ: იქ მეტად რთული მდგომარეობაა იმ მხრით, რომ ერთხანს ეს ოლქები თეთრების ხელში იყო და ყველა, ვინც ამ ოლქებში მოჰყვა, გაწვეული იყო ბოლშევიკებთან საბრძოლველად. მაგრამ, ამხანაგებო, ჩვენ ყველამ ვიცით, რომ მძიმე წლებში ჩვენთან მოვიდნენ ისეთი ადამიანები, რომლებმაც, მიუხედავად იმისა, რომ სოციალურად უცხონი იყვნენ, დაამტკიცეს თავიანთი ერთგულება საბჭოთა ხელისუფლებისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში. ისინი ჩვენთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სამოქალაქო ომში, ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ კომუნისტურ მშენებლობაში, ბევრი მათგანი ამ დროს განმავლობაში მეტად გაიზარდა, მომწიფდა, როგორც პარტიის წევრი, და აღიზარდა. აქ იმის თქმა მინდა, რომ არ შეიძლება საკითხს მივუდგეთ მარტო ბიოგრაფიის თვალსაზრისით, მარტო სოციალური წარმოშობის თვალსაზრისით.

ასეთ ოლქებში ჩვენ შეიძლება დიდი შეცდომები დავუშვათ. თვით საუკეთესო ორგანიზაციებშიაც კი მეუბნებოდნენ ამხანაგები, რომ სოფლის მოჯამაგირეების საშუალო პროცენტი მხოლოდ 5—7 პროცენტს შეადგენს მთელ ორგანიზაციაში. ცხადია, ასეთ ორგანიზაციებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ამხანაგებს, რომლებიც წლების განმავლობაში მუშაობენ ჩვენს პარტიაში. უნდა განვდევნოთ, წმენდის წესით, ამ ორგანიზაციებიდან ყველა ის ელემენტი, რომელიც შეეზარდა უცხო ელემენტებს, ბაებსა და მოლებს, ყველა ის ელემენტი, რომელიც ამახინჯებს ჩვენი სოციალისტური პოლიტიკის გატარებას. იქ ჩვენ რიგებში უნდა დავტოვოთ მხოლოდ ისინი, ვინც, მიუხედავად უცხო სოციალური წარმოშობისა, თავისი ერთგულება დაუმტკიცა ჩვენს პარტიას.

ამასთან ჩვენ უნდა გადაჭრით შევებრძოლოთ იმ ელემენტებს, რომელთაც სოციალური ყოფა-ცხოვრებითი და რეაქციონური ნაშთების ზეგავლენით მონობაში ჰყავთ ქალები, ჰყიდიან და ყიდულობენ მათ, უკრძალავენ ქალს გამოაჩინოს თავისი სახე, იაროს კრებებზე, მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ მხრივ შემოწმების დროს სწორსა და საჭირო მითითებას წარმოადგენს შემმოწმებელი კომისიებისათვის გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელიც 1928 წელს მიიღო შუა-აზიის ბიურომ და რომელიც შემდეგ დაადასტურა საკავშირო კ. პ. (ბ) ცკკას ორგბიურომ.

ჩვენ წინასწარ უნდა გავაფრთხილოთ კომისიები, რომ გამომძიებლისებურად არ მიუდგნენ საქმეს, არ შექმნან ისეთი მდგომარეობა, როდესაც თვითეულ შესამოწმებელს ათრთოლებს, როდესაც თვითეული შესამოწმებელი მოდის პარტიულ შემმოწმებელ კომისიაში და წინასწარ იტანჯება იმის გამო, რომ შესაძლებელია იგი აწამონ საგამომძიებლო ხასიათის კითხვებით. ეს საჭირო არ არის. ჩვენ გამოცდის წინააღმდეგნი ვართ, რადგან პირდაპირ უნდა ვაღიაროთ, რომ თვითონ ისინი, ვინც გამოცდას აწარმოებენ, მაინცა და მაინც დიდი ცოდნის პატრონები არ არიან, დიდი თეორეტიკოსები არ არიან. თავისთავად ცხადია, რომ როდესაც საქმე გვაქვს სხვა პარტიებიდან გადმოსულებთან, როდესაც საქმე გვაქვს ინტელიგენციიდან გამოსულებთან, იმათთან, რომელნიც დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენთან მოვიდნენ და რომელთა შესახებ ჩვენ სერიოზული ეჭვები გვებადება—არ ვიცით, თუ რამდენად მტკიცე კომუნისტები არიან ისინი, აქ მეტი არ იქნება შევამოწმოთ, თუ რამდენად აინტერესებთ მათ ჩვენი პარტიის გადაწყვეტილებები, თუ რამდენად დაინტერესებულნი არიან ისინი ჩვენი პარტიის ისტორიით, უფრო მეტად ხომ არ აინტერესებთ მათ, ვსთქვათ, ბუნდისა და ესერების პარტიის ისტორია და უკეთესად ხომ არ იციან ეს ისტორია, ვიდრე ჩვენი პარტიის ისტორია. რასაკვირველია, მეტი არ იქნება, რომ ესენი ამ მხრით საფუძვლიანად იქნან შემოწმებულნი.

წმენდა დახურულ თუ ღია კრებებზე

ამავე დროს არ უნდა ჩამოვაქვეითოთ წმენდა იქამდე, რომ კომუნისტების შესახებ მსჯელობაში ჩავაბათ ჩვენთვის უცხო ელემენტები. ამასთან დაკავშირებით სდგას საკითხი—ღია კრებები გამართოს წმენდის შესახებ თუ დახურული. იმ თათბირზე, რომელიც ჩვენ გვქონდა, დაიბადა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელი იქნება ღია წმენდის ჩატარება ლენინგრადისა და სხვა ქალაქების საწარმოო კოლექტივებსა, ფაბრიკებსა და ქარხნებში.

ზოგიერთ ამხანაგს ისე აქვს წარმოდგენილი, რომ ჩვენ უსათუოდ ერთბაშად და ერთად უნდა მოვუყაროთ თავი პარტიულ ამხანაგებს. თუ ეს ვერ მოხერხდა, მაშინ რატომ არ შეიძლება კრებების მოწყობა ცეხებში, ცეხის უჯრედებში და წყებებში. ბოლოს, რატომ არ შეიძლება, ანბანის წესით, საქმის მოგვარება ისე, რომ განსაზღვრულ დღეს სხდომა ჰქონდეს შემმოწმებელ კომისიას, რომ განსაზღვრულ საათზე მოეწყოს ღია კრება. შეიძლება წინდაწინ ეცნობოს ყველა მუშას კრების დღე და ის, თუ ვის შეუძლია კრებაზე დასწრება. რაც შეიძლება ნაკლებ ფორმალობას უნდა ჰქონდეს ადგილი ამ საქმეში. შემდეგ, უკვე ბოლოს უნდა მოეწყოს ისეთი კრება, რომელზედაც დასწრება ყველას შეეძლება. თუ უბრალოდ გამოვაცხადებთ—შემმოწმებელი კომისიის კრება ღია იქნებაო, თუ ეს შემმოწმებელი კომისია ისეთ დროს დანიშნავს სხდომას, როდესაც ამ სხდომაზე არავის შეეძლება მოსვლა, თუ ეს სხდომა ისეთ ადგილას დაინიშნება, სადაც ვერ შეიკრიბება მუშების ცოტათ თუ ბევრად მნიშვნელოვანი რაოდენობა, საეჭვოა, რომ ღია კრება მივიღოთ.

ჩვენ ვფიქრობთ, როგორც ცკკას ნოემბრის პლენუმმა დაადგინა, რომ პარტიის ღია წმენდას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ღიას მუშებისათვის, სოფლის მოჯამაგირეებისათვის, ღარიბი და საშუალო შეძლების ელემენტებისათვის. რასაკვირველია, აქ ბევრი დაბრკოლება გადაგვეღობება. ცოტათი უფრო ნელა ჩატარდება წმენდა. მაგრამ ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ მე-XVI ყრილობამდე წმენდის მთელი მუშაობა უნდა დამთავრდეს. ჩვენ წინააღმდეგნი ვართ აჩქარებისა, წინააღმდეგნი ვართ იმისა, რომ რაც შეიძლება საჩქაროდ დავასრულოთ. ეს არ ივარგებს.

ჩვენ უნდა აღმოვფხვრათ არსებითი საფრთხე დემაგოგიური გამოსვლებისა პარტიის წინააღმდეგ ღია კრებებზე, ის საფრთხე, რომ ზოგიერთი ამხანაგი აჰყვება კუდში მაჩანჩალობის განწყობილებას, რაც აქა-იქ გაბატონებული იქნება ღია, ფაქტიურად უპარტიო, კრებებზე. მაგრამ, ყოველივე ამის მიუხედავად, პარტიის აშკარა წმენდა მუშების თანდასწრებით, გლეხების თანდასწრებით, არის ერთად-ერთი სწორი გზა. თავის თავად იგულისხმება, რომ ამ კრებებზე არ უნდა დავუშვათ ჩვენთვის უცხო ელემენტები. წინდაწინ უნდა გამოვაცხადოთ, რომ ამ კრებებს არ შეიძლება დაესწრონ ისეთი პირები, რომლებსაც წართმეული აქვთ საარჩევნო უფლებები ქალაქსა და სოფელში, და საერთოდ ჩვენთვის უცხო ელემენტები.

კენჭისყრის წესი

კენჭის ყრის შესახებ. ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ შემმოწმებელი კომისიის წევრები.

გადაწყვეტილება გამოაქვს შემმოწმებელ კომისიას. ზოგიერთი ფიქრობს, რომ წმენდის დროს პარტიული ორგანიზაცია თითქმის იშლება. არავითარ შემთხვევაში პარტიის კონტროლი და ხელმძღვანელობა არ უნდა შესუსტდეს შემოწმების პერიოდში.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბევრად უკეთესი იქნება, თუ აზრის თავისუფლად გამოთქმის საშუალებას მივცემთ დამსწრეთ იმის შესახებ, რა აქვთ მათ საწინააღმდეგო ამა თუ იმ კომუნისტის წინააღმდეგ და ვეტყვით მათ: „ამხანაგებო, თქვენს განცხადებას და აზრს მხედველობაში მივიღებთ საკითხის გადაწყვეტის დროს". ეს უნდა მოხდეს ყოველი კენჭისყრის გარეშე, ეს სჯობია იმას, რომ თავი შევიზღუდოთ წინასწარ შემდგარი კენჭის ყრით. თორემ შემდეგ წადი და აუხსენი, თუ, ჩვენ, შემმოწმებელმა კომისიამ, რატომ სხვანაირად გადავწყვიტეთ საკითხი, და არა ისე, როგორც ეს მოხდა წინასწარი კენჭის ყრის დროს საერთო კრებაზე.

საკალენდრო ვადების შესახებ. ჩვენ თათბირზე გადავწყვიტეთ, რომ შემოწმება უნდა დაიწყოს 15 მაისს, ხოლო ის, თუ სად და რომელი უჯრედი უმალ უნდა გავწმინდოთ, სოფლის, თუ უმაღლეს სასწავლებლის, სამხედრო თუ საწარმო, ეს უნდა გადაწყდეს ცალკე ყოველ რაიონში. ეს იმიტომ, რომ თესვა, მაგალითად, სხვადასხვა დროს იწყება, ერთ სოფელში თესვა დამთავრდა და შეიძლება დაიწყოს უჯრედის შემოწმება, მეორე სოფელში კი თესვა ეს არის ეხლა დაიწყო, ასე რომ, ჩვენ გავცემთ მხოლოდ საერთო მითითებებს, ხოლო კონკრეტულ გეგმას ყოველი ორგანიზაცია ცალკე შეიმუშავებს.

შევეხებით საკითხს,—საჭიროა თუ არა ხელმეორედ შემოწმდეს ამას წინად შემოწმებული ორგანიზაციები: შავი ზღვის, ჩრდილოეთ ოსეთის, ყირიმის და სხვ. ამის შესახებ გამოვიტანთ სპეციალურ გადაწყვეტილებას და შევათანხმებთ მას ცეკასთან. ვფიქრობთ, რომ ზოგიერთი ორგანიზაცია, რომელიც ეხლახან შემოწმდა, ვსთქვათ, ყირიმის, აღარ უნდა შემოწმდეს. აი, შავი ზღვის ორგანიზაცია.— იგი შეამოწმეს და ეხლა აღმოჩნდა, რომ პარტიის წევრთა რიცხვი არ შეეფერება იმას, რაც ჩვენ შევამოწმეთ. მაშასადამე, იქ ყველა არ შემოწმებულა და საჭიროა ხელახლად შემოწმება.

დასკვნა

განსაკუთრებული ყურადღება გვინდოდა მიგვექცია იმაზე, რომ ეხლავე იბადება გაუგებრობანი სხვადასხვა ოპოზიციონური ჯგუფების საკითხების გამო. მე გადმომცეს, ფინსახკომის უჯრედში ერთმა ამხანაგმა, რომელიც მოხსენებას აკეთებდა, სთქვა, რომ პარტიის წმენდის დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მემარჯვენე გადახრასო. სწორედ ასე სთქვა. ჩვენ გვაქვს პარტიის გადაწყვეტილება, რომ მემარჯვენე გადახრასთან ვაწარმოებთ იდეოლოგიურ ბრძოლას. ეს გადაწყვეტილება არა მარტო რჩება ძალაში, არამედ ამას წინად შემდგარი პლენუმი გვავალებს—განსაკუთრებით ენერგიული ბრძოლა ვაწარმოოთ ამ მხრივ. თავის თავად ცხადია, რომ იქ, სადაც საქმე გვექნება პარტიის გადაწყვეტილებათა პირდაპირ დარღვევასთან, იქ, სადაც საქმე გვექნება ისეთ ცდებთან, რომ ეხლა, პარტიის გადაწყვეტილებათა მიღების შემდეგ, ჩაშალონ ჩვენი გადაწყვეტილებანი ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის, კულაკთან ბრძოლის საკითხების შესახებ, იმათ, ვინც წინააღმდეგობას გაუწევს კულაკის ინდივიდუალურ დაბეგვრას, იმათ, ვინც მხარს დაუჭერს კულაკურ ელემენტებს,—თავის თავად ცხადია, ადგილი არ ექნება პარტიაში. მაგრამ სრულებით სწორი არ იქნება, თუ ჩვენ ამის მიხედვით ეხლავე გამოვრიცხავთ პარტიიდან იმათ, ვინც თავიანთი აზრი გამოსთქვეს იმ საკითხებზე, რომლების ირგვლივაც ვილაპარაკეთ ამ პლენუმზე და რომლებიც ჩვენი მუშაობის დღის წესრიგში დგანან. გამოვრიცხავთ იმათ, ვინც ამ ხნის განმავლობაში ასე თუ ისე გამოსთქვა თავისი აზრი. ეს სრულებით არ იქნება სწორი.

განსაკუთრებით უნდა მიექცეს ყურადღება შემმოწმებელი კომისიების მომზადებას, მათ კარგად შერჩევას, მათთვის დაწვრილებით ინსტრუქციების მიცემას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ეს შემმოწმებელი კომისიები მუშაობდნენ სრული ნდობის პირობებში. თუ მათ რაიმე შეცდომა მოუვათ, სწრაფად უნდა გამოინახოს და გამოსწორდეს ეს შეცდომა, წინააღმდეგ შემთხვევაში რომელიმე ერთი კომისია ამა თუ იმ შეცდომით გაუტეხს სახელს თავის თავს. ამას კი შეუძლია გავლენა მოახდინოს სხვა შემმოწმებელი კომისიებისადმი დამოკიდებულებაზე. უნდა უზრუნველვყოთ ამ შემმოწმებელი კომისიების მუდმივი, ყურადღებით ხელმძღვანელობა და საზოგადოებრივ აზრს ფართო ინფორმაცია უნდა მივაწოდოთ შემოწმების მსვლელობის შესახებ.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მთავარია ამა თუ იმ ცალკე კომუნისტის არა მარტო გამოსადეგობის გამორკვევა, არამედ საერთო დასკვნების გამოყვანა ამა თუ იმ პარტუჯრედის, ამა თუ იმ პარტორგანიზაციის მუშაობის შესახებ, საერთო დასკვნების გამოყვანა, რომლებიც მოგვცემენ საშუალებას გავაუმჯობესოთ მუშაობა. აქ უდიდესი სიძნელეები გადაგვეღობება, უდიდესი მუშაობა მილიონნახევრიანი პარტიის შესამოწმებლად ჩვენგან მოითხოვს ძალებსა და საშუალებებს.

ჩვენ ეხლა ერთგვარი დროებითი მინუსი გვექნება, თუ ყოველი ორგანიზაციის ძალას ერთი, თვენახევარი, ორი თვით მოვანდომებთ ამ შემოწმებას. ეს უეჭველია. უნდა გვახსოვდეს იმ ამოცანის პასუხისმგებლობა, რომელსაც ვკისრულობთ, უნდა უზრუნველვყოთ ყურადღებით მოპყრობა შესამოწმებელთადმი, უნდა უზრუნველვყოთ კლასობრივი ხაზის სიწმინდე შემოწმების დროს. ეს მთავარია. წინასწარ არ უნდა განისაზღვროს წმენდის არავითარი საკონტროლო ციფრები. მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული პარტიული ნებაყოფლობითი შრომა ამ წმენდაში, უნდა მოვახდინოთ პარტიულების მობილიზაცია ამ სამუშაოსათვის. ამ წმენდას საკმაოდ ბევრი სახსარი დასჭირდება. ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ წმენდის ჩატარება იმგვარად, რომ სახსრების მინიმალური დახარჯვით მაქსიმალურად მივიზიდოთ ნებაყოფლობითი შრომა.

შემდეგ უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ამ წმენდამ უკვე თვით წმენდის დროს ხელი შეუწყოს მუშათა ახალი კადრების მოზიდვას, ახალ წევრთა მიღების წინანდელი კამპანიების გამოცდილების მიხედვით, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ეს არ უნდა იყოს წევრების მისაღებად წარმოებული დაკვრითი „კამპანია". ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ იმათ, ვინც ჩვენთან მოვა წმენდის დროს და წმენდის შემდეგ, რათა კვლავ არ დარჩნენ ჩვენს პარტიაში უცხო ელემენტები, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი მუშაობა წყლის ნაყვა იქნება.

პარტიამ ამ ოპერაციის დროს უნდა მოიკვეთოს უცხო და უვარგისი ელემენტები და იგი უფრო ძლიერი, ბრძოლის უნარის მქონე უნდა გახდეს. მან მობილიზაცია უნდა უყოს ყველა თავის ძალას ბიუროკრატიზმთან საბრძოლველად, ჩვენი პარტიის იმ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, რომელთა მიზანია ჩვენი მეურნეობის სრული რეკონსტრუქცია, სოციალისტური რეკონსტრუქცია.

მე დარწმუნებული ვარ, ამხანაგებო, რაც უნდა ძნელი იყოს ეს ამოცანა, პარტია, რომელსაც შეგნებული აქვს მისი დიდი მნიშვნელობა, გადასწყვეტს მას, ისე, როგორც ამას მოითხოვენ სოციალიზმისათვის ბრძოლის ინტერესები. (ტაში).

მოსკოვი, 7 მაისი.

(გადმოცემულია ტელეგრაფით)

ა.-კ. საბჭოთა მეხუთე ყრილობა

მესამე დღე

8 მაისის დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ამხ. შ. ელიავას საბოლოო სიტყვა, და ამხ. ამბარცუმიანის მოხსენება ა.-კ. სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

ყრილობის დღიური

8 აპრილის დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ამხ. შ. ელიავას საბოლოო სიტყვა და ამხ. ამბარცუმიანის მოხსენება ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

საღამოს სხდომაზე დაიწყო კამათი ამხ. ამბარცუმიანის მოხსენების გარშემო კამათი გაგრძელდება დღევანდელ სხდომაზე.

ამავე სხდომაზე ყრილობას მიესალმა ამიერ-კავკასიის ქვეითი სკოლის კურსანტების და ა.-კ. ცაკის შეფობას ქვეშ მყოფ კავკასიის ცხენოსანთა ბრიგადის კომკავშირელთა წარმომადგენელი.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა ბაქოდან მიღებული შემდეგი დეპეშა: „ილიჩის სახელობის რაიონში ამოხეთქა ნავთის ძლიერმა შადრევანმა. ახალ ჭაბურღილს ეწოდა ამიერ-კავკასიის საბჭოთა მეხუთე ყრილობის სახელი". ამ ცნობას ყრილობა მქუხარე ტაშის ცემით შეხვდა.

ყრილობამ მიიღო აგრეთვე ამიერ-კავკასიის სხვადასხვა კუთხეებიდან გამოგზავნილი მრავალი მისასალმებელი დეპეშა.

ამხ. ელიავას საბოლოო სიტყვა

გუშინ დილით, — იწყებს თავის სიტყვას ამხ. ელიავა — ჩემთან იყო გერმანელი პროფესორი ფაინერი (ფრანკფურტიდან). იგი კორესპონდენტია ფრანკფურტის გაზეთისა. პირველი კითხვა, რომელიც მე მან მომცა, იყო შემდეგი: არიან თუ არა თქვენს საბჭოთა ყრილობაზე პარტიულებს გარდა, უპარტიოებიც და, თუ ასეთები არიან, აქვთ თუ არა მათ უფლება და საშუალება გააკრიტიკონ მთავრობა? გუშინ მე არ ვიცოდი, თუ ყრილობაზე გამოვიდოდა ამხ. ნუცუბიძე, მაგრამ მე გერმანელ პროფესორს ვუთხარი: გთხოვთ მობრძანდეთ ყრილობაზე და დარწმუნდეთ, რომ ჩვენს ყრილობაზე არიან უპარტიოები, რომ მათ სრული უფლება აქვთ სრულიად თავისუფლად გააკრიტიკონ მთავრობა. მე არ ვიცი, მოვიდა აქ თუ არა პროფ. ფაინერი, მაგრამ ის რომ აქ ყოფილიყო, მე მას დაუყოვნებლივ ვუპასუხებდი: აი უპარტიო, საბჭოთა მუშაკი, პროფესორი, რომელიც სრულიად თავისუფლად აკრიტიკებს მთავრობის მოქმედებას და ამ კრიტიკის დროს მას არავინ ზღუდავს. მე ეს მოვიყვანე იმიტომ, რომ დაუმტკიცოთ უცხოეთის მეცნიერებს, რომელთაც დღემდე ეს ვერ წარმოუდგენიათ, რომ ჩვენში საბჭოთა ყრილობებზე სწარმოებს ყველა საკითხების და მთავრობის მოხსენების თავისუფალი განხილვა.

უმაღლესი განათლების საკითხი

პროფ. ნუცუბიძემ ბრალი დამდო იმაში, თითქოს უმაღლეს სასწავლებლების მიერ ჩვენი ახალგაზრდობის მომზადების საკითხში მე ერთგვარი პესიმიზმი გამომეთქვას, თითქოს ჩემს შეფასებაში არ ყოფილიყოს ოპტიმისტური კილო. პირიქით, მთელი ჩემი მოხსენება და თვით ჩემი აზრი ამ საკითხის შესახებ ოპტიმიზმით იყო გამსჭვალული. მაგრამ მე მოვალე ვიყავი მეთქვა, რომ მიუხედავად უმაღლესი განათლების პროგრესისა ჩვენში, იგი მაინც იმდენად ჩამორჩენილია, რომ სავსებით ვერ აკმაყოფილებს ჩვენი ეპოქის საჭიროებას. მე ვსთქვი, რომ უმაღლესი სასწავლებელი ჩვენში ახალი საქმეა, ეროვნულ ენაზე არა გვაქვს ლიტერატურა, საშუალებები განსაზღვრულია და სხვ. ეს სავსებით სწორი შეფასებაა. შემდეგ განვაცხადე, რომ მასწავლებლები გვყავს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ისინი ნაკლებ კვალიფიციურნი არიან. ესეც სწორია. უმაღლესი კვალიფიკაციის მასწავლებელთა შორის ჩვენში არიან დიდი სამეცნიერო ძალები, მაგრამ ეს არ არის მთელი კადრის ხერხემალი. არაფერს ნიშნავს ის, რომ ზოგიერთ მათგანს აქვს მნიშვნელოვანი სამეცნიერო შრომები, — რომ მათ იწვევენ მსოფლიო კონგრესებზე. ასეთ მეცნიერთა რიცხვი ჩვენს უმაღლეს სასწავლებელში განსაზღვრულია. მთლიანად კი მასწავლებელთა მასის კვალიფიკაცია მაინც და მაინც მაღალი არ არის. დიდ მეცნიერთა პატარა ჯგუფს კი არ შეუძლია მოამზადოს აუარებელი ახალგაზრდობა სოციალისტური მეურნეობისთვის. ამიტომ სდგას ჩვენს წინაშე საკითხი არა მარტო ტეხნიკ - სპეციალისტების, არამედ ისეთ პედ. პერსონალის მომზადების შესახებ, რომელიც შესძლებს ახალგაზრდობის გაწვრთნას სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად. ჩვენს პედპერსონალს აუცილებლად სჭირია თავისი ცოდნის შევსება და გაღრმავება.

მიუხედავად ამისა, ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ მასწავლებლობა მოიხარშება სოციალისტურ მშენებლობის ქვაბში და თეორეტიულად სათანადოდ მოემზადება.

ენის მნიშვნელობა

პროფ. ნუცუბიძეს ეჭვი შეაქვს იმაში თითქოს მე უარვყოფდე ეროვნულ ენის მნიშვნელობას. მე ვამბობ, რომ ენა უდიდესი ფაქტორია. ცოდნა, მეცნიერება შეიძლება მიწვდეს მასებამდე მხოლოდ მშობლიური ენის საშუალებით. განა ტრაგედია არ არის აზერბეიჯანისათვის, რომელსაც უმაღლეს სასწავლებლებში არ ჰყავს თურქი პროფესორი და სადაც სტუდენტები, რომელთაც საშუალო განათლება მშობლიურ ენაზე მიუღიათ, იძულებული არიან პროფესორთან სხვადასხვა ენაზე ილაპარაკონ? საკითხი ისე უნდა მოვაგვაროთ, რომ მასამ მეცნიერული ცოდნა მიიღოს მისთვის გასაგებ ენაზე. მაგრამ უკიდურესობაში არ უნდა ჩავვარდეთ. ჩვენმა ახალგაზრდობამ ის ენაც უნდა ისწავლოს, რომელზედაც არსებობს მდიდარი ლიტერატურა და სახელმძღვანელოები. უტოპია იქნებოდა გვეფიქრნა, რომ ჩვენ ყოველგვარ მეცნიერულ ცოდნას შევითვისებთ მხოლოდ ჩვენი მშობლიური ენით. ჩვენ უნდა ვცდილობდეთ, რომ გავშორდეთ მხოლოდ ჩვენი მშობლიური ენის გამოყენების ფარგლებს. ამას მოითხოვს ცხოვრება, ჩვენი მუშაობისა და ჩვენი ძალების გამოყენების ამოცანები. აქ საჭიროა დიდი სიფრთხილე, რომ არ გადაუხვიოთ ძირითად პროლეტარულ ხაზს.

შემდეგ ამხ. ელიავა უპასუხებს დანარჩენ ორატორებს. იგი ეთანხმება ამხ. აივაზოვს, რომ სამრეწველო კოოპერაციას არ უჭირავს ისეთი ადგილი ჩვენს მუშაობაში, რომელიც მის ხვედრით წონას შეეფერება. საჭიროა მიღებულ იქნას ზომები, რომ შინა-სამრეწველო კოოპერაცია ჩაბმული იქნეს სოციალისტურ მშენებლობაში, რომ მანაც შეასრულოს თავისი როლი ჩვენი მეურნეობის განვითარების საქმეში. ისიც სწორია, რომ ჩვენი საამშენებლო ორგანიზაციები ძალიან ცუდად აშენებენ, უშვებენ ტეხნიკურ შეცდომებს, აშენებენ დიდხანს, აძვირებენ მშენებლობას და სხვ. მშენებლობა უნდა ვაქციოთ მრეწველობის ერთ-ერთ დარგად, რომელიც თავის მუშაობას საფუძვლად დაუდებს მეცნიერულ ცოდნას, პრაქტიკულ გამოცდილებას და გეგმიანობას. საჭიროა შეიქნეს ერთი ორგანიზაცია, რომელიც მოაგვარებს და უხელმძღვანელებს მშენებლობას.

ცენტრი სოფლის მეურნეობისათვის

მართალია ამხ. იმედაძე, როცა იგი მოითხოვს ერთი მთლიანი ორგანიზაციის შექმნას სოფლის მეურნეობის სახელმძღვანელოდ. სოფლის მეურნეობას, რომლის საერთო პროდუქციას სახალხო მეურნეობაში დიდი ადგილი უჭირავს, ყველაზე უფრო დაქსაქსულია და ყველაზე ნაკლებ განიცდის ჩვენ ორგანიზაციულ ზეგავლენას. ამიერ - კავკასიას არა აქვს ასეთი ცენტრი სოფლის მეურნეობისათვის, მაშინ, როცა ჩვენში არის ისეთი სასოფლო - სამეურნეო ზონები, რომელნიც ვერ მოემწყვდევიან ამა თუ იმ რესპუბლიკის ფარგლებში და საჭიროებენ ერთი ცენტრის ხელმძღვანელობას. ჩემი აზრით, უნდა მოეწყოს ერთგვარი კომიტეტი, რომელიც გამოიმუშავებს საერთო ხასიათის ღონისძიებებს სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის სოციალისტურ საფუძველზე.

საგზაო და კომუნალური მშენებლობა

ამხ. მაქაროვი სჩიოდა, რომ მთიან ყარაბაღში ცუდად სწარმოებს საგზაო მშენებლობა, არ არის ტელეფონი, არ ვითარდება ადგილობრივი მრეწველობა, და წამოაყენა პრინციპიალური საკითხი, რომ ადგილობრივი მრეწველობის განსავითარებლად ადგილობრივ ბიუჯეტს გადაეცეს არაპირდაპირი გადასახადი. ამ თვალსაზრისის მიღება ნიშნავს ჩვენი საბიუჯეტო სისტემის დანგრევას, მის დეზორგანიზაციას. საგზაო მშენებლობა უნდა დაემყაროს ადგილობრივ თაოსნობას. სახელმწიფო ვერ მიიღებს თანხებს ყველა შარა-გზების გასაყვანად და შესაკეთებლად. იგივე ითქმის კომუნალურ მშენებლობაზე. ჩვენში ბევრი დაბა-ქალაქი საჭიროებს ტრამვაის, ელექტრო - ქსელს, წყალსადენს. სახელმწიფო სახალხო შემოსავლიდან ღებულობს 24-25 პროცენტს. ეს თანხა ჩვენ ისე უნდა დავხარჯოთ, რომ გამოვიყვანოთ ჩვენი ქვეყანა სახალხო მეურნეობის განვითარების ფართო შარა-გზაზე, გავხადოთ იგი დამოუკიდებელი უცხოეთის კაპიტალისაგან.

ჩვენ უნდა განვავითაროთ მრეწველობა, სასოფლო მეურნეობა, ტრანსპორტი, მოვახდინოთ მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია, დავაკმაყოფილოთ ამა თუ იმ დაბა-ქალაქის პირველი საჭიროება. საამისოთ ჩვენ საშუალება არ გვყოფნის, რადგან ჩვენ არავითარ სესხს უცხოეთიდან არ ვღებულობთ და ვემყარებით საკუთარ სახსრებს.

აპარატის წმენდა და დაწინაურება

აქ ბევრი ამხანაგი შეეხო აპარატის წმენდისა და მუშათა დაწინაურების საკითხს. მე აღვნიშნე, რომ საჭიროა გაიწმინდოს არა მარტო სამეურნეო, არამედ ყველა სახის აპარატი ისეთი პირებისაგან, რომელთაც ორგანიულად არ შეუძლიათ გაატარონ ჩვენი ამოცანები. ამავე დროს აპარატი უნდა შეივსოს უნარიანი, საღი ელემენტებით. სანამ ვისმე დააწინაურებენ, უნდა გამოირკვეს დასაწინაურებელი პირის უნარი, ნიჭი; ჩვენში ასე არ ხდება. არის შემთხვევა, როცა დამაწინაურებელი ორგანოები ცუდ სამსახურს უწევენ დაწინაურებულს იმით, რომ აწინაურებენ დიდ საქმეზე და სტოვებენ თავის ანაბარად. უხელმძღვანელოდ. მას არ ეხმარებიან, რომ გაეცნოს და შეითვისოს მართვა-გამგეობის საქმე. ეს დაწინაურება კი არა, კაცის დასჯაა. აპარატისათვის უნდა შევარჩიოთ საუკეთესო მუშები, რომ მათგან შევქმნათ ჩვენი აპარატის ხერხემალი, რომელსაც დავეყრდნობით სოციალიზმის შენების დროს.

შრომის დისციპლინა

მართალია ამხ. მუხტარ - ფეტ-ალი, როცა აცხადებს, რომ უდისციპლინობა აწუხებს არა მარტო საწარმოებს, არამედ დაწესებულებსაც. დისციპლინა დარღვეულია საბჭოთა, პროფკავშირთა და პარტიულ დაწესებულებათა აპარატებს ყველა საფეხურზე, ყველგან ღრმად აქვს გადგმული ფესვი ბიუროკრატიზმს. შრომის დისციპლინაზე, ბიუროკრატიული სიმახინჯის აღმოფხვრაზეა დამოკიდებული ჩვენი შემდგომი მშენებლობის ბედი. თვითღირებულების შემცირებას მივაღწევთ შრომის დისციპლინის განმტკიცებით, ჩვენი აპარატის მუშაობის გაუმჯობესებით. უდისციპლინობა ამცირებს შრომის ნაყოფიერებას. შრომის ნაყოფიერება კი მოქმედობს პროდუქციის ღირებულებაზე, პროდუქციის ღირებულება მოქმედობს ფასებზე, ხოლო ფასები — ფულის სისტემაზე, ფულის სისტემა — მშენებლობაზე და ასე. ეს კარგად უნდა შეიგნოს ყოველმა მუშაკმა, რომელიც ჩვენს საწარმოსა და დაწესებულებაში მუშაობს.

რას მოითხოვენ მენშევიკები

ამხ. ავქსენტიევსკი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ მთელი ჩვენი მშენებლობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი შეიარაღებული ძალების სამხედრო მომზადებას, პოლიტიკურ - მორალურ მდგომარეობასო. ამხ. ავქსენტიევსკის სიტყვას შევეხე მე იმიტომ რომ უცხოეთში გახიზნულმა რუსეთის სოციალ - დემოკრატიულმა პარტიამ ა.-წ. მარტ-აპრილში ეროვნულ საკითხზე მიიღო პლატფორმა, რომლის ერთ-ერთ პუნქტში ნათქვამია: „პარტია იცავს საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა ეროვნების თვითგამორკვევის უფლებას ავტონომიაზე, ფედერაციაზე და მათ დამოუკიდებელ სახელმწიფო არსებობაზეც კი". თავის დროზე ჩვენ ვიცავდით ერთა თვითგამორკვევის ლოზუნგს. ჩვენ ვებრძოდით ძველ სახელმწიფოს ერთა განთავისუფლებისათვის; საბჭოთა კავშირში ჩვენ ეს ლოზუნგი განვახორციელეთ: ჩამოყალიბდნენ ცალკე საბჭოთა სახელმწიფოები და შემდეგ ისინი ნებაყოფლობით შეკავშირდნენ. აი ამ სახელმწიფოებისათვის მოითხოვენ რუსი მენშევიკები თვითგამორკვევის უფლებას, კავშირიდან გასვლის უფლებას. ჩვენ ამას სასტიკად უნდა შევებრძოლოთ. ჩვენი რესპუბლიკების ბედი მჭიდროდ დაუკავშირდა საბჭოთა კავშირს. საბჭოთა კავშირის გარეშე ჩვენ არარაობა ვართ, მის გარეშე ჩვენ უცხოეთის კაპიტალის ულუფა ვართ, კავშირის გარეშე ჩვენ ვართ ამა თუ იმ იმპერიალისტურ სახელმწიფოს მსხვერპლი (ხმები: მართალია). საბჭოთა კავშირთან ერთად კი ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელიც სოციალიზმს აშენებს. ამ პლატფორმის მესამე პუნქტი მოითხოვს საქართველოდან წითელი ჯარის გაყვანას. დამახასიათებელია ის, რომ მენშევიკები ამას არ მოითხოვენ არც აზერბეიჯანისა და არც სომხეთისათვის. ეს ღაღადებს ქართველი სოციალ-დემოკრატიის ხვედრით წონაზე რუსეთის და საერთაშორისო სოციალ - დემოკრატიის შემადგენლობაში. რას ნიშნავს წითელი ჯარის გაყვანა საქართველოდან? ეს ნიშნავს საბჭოთა საქართველოს განიარაღებას, პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის განიარაღებას, სოციალისტური მშენებლობის შეჩერებას. ასეთ აზრებს, რომლებსაც შეიძლება შევხვდეთ ჩვენში — კლასიური ბრძო-

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

ლის გამწვავების პირობებში, — სასტიკად უნდა შევებრძოლოთ. წითელი არმიის გარეშე, ჩვენი საზღვრების და ჩვენი მშვიდობიანი შრომის დაცვის გარეშე ჩვენ სოციალიზმს ვერ ავაშენებთ. მე დარწმუნებული ვარ ამ ყრილობის დამთავრების შემდეგ აქედან დაბრუნებული ამხანაგები ამ საკითხების გაბაშუქებლად ჩაატარებენ ისეთ მუშაობას, რომელიც უზრუნველყოფს სოციალიზმის შენებას ჩვენს ქვეყანაში. (მქუხარე ტაში).

რეზოლიუცია

საბოლოო სიტყვის დამთავრების შემდეგ ყრილობამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

ამიერ-კავკასიის მუშათა, გლეხთა, წითელ არმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოთა მე-5 ყრილობამ მოისმინა რა ამიერ-კავკასიის მთავრობის მოხსენება, კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაციის განმტკიცების, ამიერ-კავკასიის მშრომელთა შორის ნაციონალური მშვიდობიანობის კიდევ უფრო გაძლიერების, სოციალისტური მეურნეობის მშენებლობის, მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცების და მშრომელთა კულტურული და მატერიალური ამაღლების საქმეში, ამიერ-კავკასიის მთავრობას აქვს მნიშვნელოვანი მიღწევები.

ყრილობა სავსებით და მთლიანად იწონებს ა.-ქ. ს.ფ.ს.რ. მთავრობის მოქმედებას და მის მიერ წარმოებულ საგარეო და საშინაო პოლიტიკას სთვლის სავსებით სწორათ.

შემდეგ ყრილობა ისმენს ამხ. ამბარცუმიანის მოხსენებას.

ა.-ქ. სახალხო მეურნეობის განვითარების 5 წლიანი გეგმა

მომხსენებელი ამხ. ამბარცუმიანი

ამხანაგებო, ამბობს მომხსენებელი, ამიერ-კავკასიის საბჭოთა მეხუთე ყრილობა საბჭოთა ხელისუფლების ისტორიაში შევა, როგორც დიდი ისტორიული მნიშვნელობის ყრილობა, რომელიც იხილავს ჩვენი მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმას. ჩვენ უკვე მივაღწიეთ ჩვენს სამეურნეო მშენებლობაში ისეთ დიდ წარმატებას, რომ ეხლა ჩვენს წინაშე, როგორც აქტუალური საკითხი, სდგას ჩვენი მეურნეობის დაგეგმვის, სოციალიზმის უმტკივნეულო მშენებლობის საკითხი.

მეურნეობის განვითარების საკითხი ვერ გადაწყდება ფართო მასების მონაწილეობის გარეშე, ამ საკითხის გარშემო მასების მობილიზაციის გარეშე. საჭიროა მთელმა მასამ შეიგნოს ხუთწლიანი გეგმის რევოლიუციონური როლი, რომ შეიქმნას სათანადო ფსიქოლოგიური და სამეურნეო პირობები. მხოლოდ და მხოლოდ ამ მასების დახმარებით შევსძლებთ ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას.

ამიერ-კავკასიის როლი საბჭ. კავშირის სახალხო მეურნეობაში

მთელი საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობა წარმოადგენს ერთ მთლიან სისტემას, რომელიც შესდგება ცალკე ელემენტებისაგან, ცალკე სამეურნეო ერთეულებისაგან. ხუთწლიანი გეგმაც სწორედ ამ თვალსაზრისით იქნა შედგენილი. სხვადასხვა სამეურნეო ერთეულების განვითარება უნდა წავიდეს ისეთი გზით, რომ არ დაირღვეს ამ სისტემის ორგანიული მთლიანობა. ამიერ-კავკასიას, როგორც ერთ სამეურნეო ერთეულს, სახალხო მეურნეობის სისტემაში აქვს თავისი სპეციალური ფუნქცია. რა ძირითადი მომენტი განსაზღვრავს ამიერ-კავკასიის როლს საერთო სისტემაში? ეს როლი შემდეგნაირად არის აღნიშნული საკავშირო ხუთწლიან გეგმაში: შრომის განაწილების საკავშირო სისტემაში ამიერ-კავკასიის, როგორც სამეურნეო რაიონის, სპეციალიზაციას განსაზღვრავს თეთრი ნახშირი, ნავთის უდიდესი რესურსები, მინერალური ნედლეულის დიდი მარაგი, მდიდარი ტყეები და ტეხნიკურ-სუბტროპიკულ და სპეციალურ კულტურების განვითარების შესაძლებლობა.

საკითხი იმაშია, თუ როგორი ხაზით უნდა განვითარდეს ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობა. უნდა გახდეს, იგი ინდუსტრიის ქვეყნად, ნედლეულობის ბაზათ საკავშირო მრეწველობისათვის? ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხი არსებობს: ინდუსტრიის განვითარება უნდა იქნეს მთავარი მიმდინარეობა ჩვენი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის საქმეში. ამ თვალსაზრისს ადგია, როგორც ადგილობრივი საგეგმო კომისიები, ისე საკავშირო საგეგმო კომისიაც, რომლის გამოანგარიშების მიხედვით ამიერ-კავკასიამ მსხვილი მრეწველობის განვითარების მხრით ხუთი წლის დამლევს საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებს შორის უნდა დაიჭიროს მეხუთე ადგილი.

5 წლის დამლევს ამიერ-კავკასიამ უნდა მიიღოს ინდუსტრიალურ-აგრარული სახე. აქ უნდა განვითარდეს ერთი მხრით სამთო სამეტალურგიო მრეწველობა და მეორე მხრით ტეხნიკური და სპეციალური კულტურები, პროდუქტიული მესაქონლეობა, ხოლო ჰიდრო-ელექტრო-ენერგია გახდეს რაიონის ენერგეტიული მეურნეობის მთავარი საფუძველი.

აი ამ საფუძველზე ემყარება ამიერ-კავკასიის მეურნეობის 5 წლიანი გეგმა.

მრეწველობა

ელექტროფიკაციის გაფართოვების პერსპექტივები თეთრი ნახშირის განუსაზღვრელი მარაგის გამო ძალიან დიდია; ელექტროფიკაციის გეგმა ითვალისწინებს უკვე დაწყებულ ჰიდრო-სადგურების დამთავრებას, ოთხ ახალ სარაიონო ჰიდრო-სადგურის დაწყებას, თერთმეტი ადგილობრივი სადგურის დამთავრებას და სხვა. 5 წლის დამლევს ელექტრო-ძალა ორკეცდება; გადამცემი ხაზი იზრდება 9-ჯერ, ხოლო ენერგიის წლიური მოხმარება 8-ჯერ. კილოვატ საათის ღირებულება 3,9 კაპ. მცირდება 2,1 კაპეიკამდე. სულ ელექტრო-მშენებლობაზე დაიხარჯება 122,5 მილიონი მანეთი (აზნევთის სადგურების გამოკლებით).

უდიდესი ყურადღება ექცევა აგრეთვე ენერგეტიულ მეურნეობის მეორე დარგს ქვა-ნახშირს: 5 წლის დამლევს ამუშავდება ტყვარჩელის მაღაროები, რომელიც საწვავ მასალას მიაწვდის კერჩის სამეტალურგიო ქარხნებს. ხდება ტყიბულის მაღაროების სრული რეკონსტრუქცია, რომელიც ქვის ამოღებას გაადიდებს ერთი-ორად, თვითღირებულება შემცირდება 28 პროცენტით; სულ ქვა-ნახშირის მრეწველობაზე დაიხარჯება 81,4 მილიონი მანეთი.

მეტალურგიის დარგში განზრახულია სამეტალურგიო ქარხნის აგება დაშკესანში და ფერომარგანეცის ქარხნის ამუშავება რიონჰესის ენერგიით. ორივე ქარხანა ამუშავდება ხუთი წლის დამლევს და მოგვცემენ წლიურათ 1,200 ტონა თუჯს და 16 ათას ტონა ფერომარგანეცს. განზრახულია აგრეთვე ფერადი ლითონების წარმოების განვითარება და უფრო მეტად კი გეოლოგიურ კვლევა-ძიების წარმოება ამ დარგში. გეგმით გათვალისწინებულია სამი ფერადი ლითონის ქარხნის აგება. სპილენძის — ბელოკანაში, ტყვიის — გიუმუშხანში და ცინკის — მეხმანაში.

ქიმიურ მრეწველობაში გათვალისწინებულია 16 ახალი ქარხნის აგება. სამი მათგანი დაამზადებს მინერალურ და სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის საშუალებებს, დანარჩენი ქარხნები დაამზადებენ მრეწველობისათვის საჭირო პროდუქტებს.

სატყეო ქიმიურ მრეწველობაში განზრახულია ტყის პროდუქტების დამუშავება. ხუთი წლის დამლევს სატყეო ქიმიური მრეწველობა, რომელზედაც დახარჯული იქნება 15 მილიონი მანეთი, ოთხჯერ გაადიდებს თავის პროდუქციას.

ლითონის დამამუშავებელ მრეწველობაში განზრახულია საქართველოში აშენდეს ავტო-სარემონტო ქარხანა და ლითონის დასამუშავებელი ქარხანა.

სამშენებლო მრეწველობის განსავითარებლად გეგმა ითვალისწინებს ტუფის, პემზის და ცემენტის ქარხნების აგებას. სატყეო მრეწველობაზე ხუთი წლის განმავლობაში დაიხარჯება 27 მილიონი მანეთი. ამ თანხით გაფართოვებული იქნება არსებული ხე-ტყის დამმუშავებელი ქარხნები და აგებული იქნება კიდევ რამოდენიმე ახალი.

მსუბუქი მრეწველობის დარგში გეგმა მთავარ ყურადღებას აქცევს საფეიქრო, გემო-კვების და ტყავის მრეწველობას. პირველ მათგანზე დაიხარჯება 44 მილიონი 501 ათასი მანეთი, ხოლო მეორეზე 26.725 ათასი მანეთი.

რაც შეეხება ადგილობრივ მრეწველობას, იგი ხუთწლიანი გეგმაში შედის მხოლოდ ნაწილობრივ.

სასოფლო მეურნეობა

სასოფლო მეურნეობის დარგში გეგმა ითვალისწინებს ფართო სამელიორაციო-საირიგაციო მშენებლობას. ხუთი წლის დამლევს ამ ღონისძიებით მიღებული უნდა იქნეს რამოდენიმე ასეული ათასი ჰექტარი მიწა ძვირფასი კულტურებისა და საძოვრებისათვის. გეგმით გათვალისწინებულია მელიორაციაზე 103.880 ათასი მანეთის დახარჯვა. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია სვამს საკითხს მიწადმოწყობის დაჩქარების შესახებ. ხუთი წლის დამლევს მოწყობილი უნდა იქნეს 2.680 ათასი ჰექტარი მიწა ინდივიდუალურ მეურნეთათვის და 2.425 ათასი ჰექტარი სათიბ-საძოვრები, აქედან კოლმეურნეობებისათვის 667 ათასი ჰექტარი. ამ საქმეზე უნდა დაიხარჯოს სულ 18 მილიონ მანეთამდე.

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მისი მანქანიზაცია და ტრაქტორიზაცია. ხუთი წლის განმავლობაში განზრახულია 5 ათას ტრაქტორის შემოტანა და 140 სარემონტო სახელოსნოს მოწყობა და რამოდენიმე მილიონის სხვადასხვა სასოფ.-სამეურნეო იარაღის შემოტანა. სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის და ელექტროფიკაციისათვის გაღებულ უნდა იქნეს 50.160.000 მანეთი; ამ თანხით მოწყობილი იქნება საბჭოთა მეურნეობები და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადასამუშავებელი ქარხნები.

თესვის წარმოებისა და მიწოდების საქმის მოსაწყობათ გათვალისწინებულია 8,5 მილიონი მანეთი, ხოლო მინერალური სასუქების წარმოების მოსაწყობათ 27.250 ათასი მანეთის დახარჯვა. ამავე ხნის განმავლობაში მოწყობილი იქნება 408 აგრონომიული პუნქტი.

სოფლის მეურნეობის დარგში მთავარი ხაზი აღებულია იქითკენ, რომ ნაკლებ ინტენსიური კულტურა შესცვალოს უფრო ინტენსიურმა კულტურამ. მარცვლეული კულტურის ფართობი გადიდებული იქნება 112.9 ათასი ჰექტარით, ხოლო ტეხნიკური კულტურები 208 ათას ჰექტარით. სულ ტეხნიკური კულტურების სივრცე მიაღწევს 819,89 ათას ჰექტარს, აქედან ბამბა იქნება 240,8 ათას ჰექტ., კენაფი — 13,5 ათასი ჰექტარი, თამბაქო — 31,9 ათასი, შაქრის ჭარხალი— 9,8 ათასი და დანარჩენი 216,7 ათასი ჰექტარი. სულ მოსავლიანობის გასადიდებლად განზრახულია დაიხარჯოს — 128,09 მილიონი მანეთი.

სოციალისტური სექტორი სოფლის მეურნეობაში

ხუთწლიანი გეგმა გულისხმობს სოციალისტური სექტორის გაძლიერებას სასოფლო მეურნეობაში. ამ გეგმით კოლმეურნეობათა სათესი მოედანი 8.100 ჰექტარიდან 502,600 ჰექტარამდე უნდა გადიდდეს, რაც მიწის სათესი ფართობის 18,6 პროცენტს შეადგენს. 12.900 მეურნის ნაცვლად კოლმეურნეობებში ჩაბმული იქნება 166 ათასი მეურნე, ესე იგი მთელი მოსახლეობის 17,5 პროცენტი.

მეურნეობის ცალკე დარგების მიხედვით გათვალისწინებულია განზოგადოებული იქნეს მებამბეობის დარგში ბამბის სათესი ფართობი 74,800 ჰექტარით (80 პროც.), მეთამბაქოობის დარგში — 4.500 ჰექტარით (20 პროც.), ჩაის მეურნეობაში — 20 ათასი ჰექტარით (75 პროც.).

გრძელვადიან კრედიტის ხაზით კოლმეურნეობებს მიეცემათ ხუთი წლის განმავლობაში 56,966 ათასი მანეთი, ესე იგი მთელი გასაცემი სესხის 80,6 პროცენტი.

გარდა ამისა, ხუთწლიანი გეგმით განზრახულია 11 ტრესტად გაერთიანებულ საბჭოთა მეურნეობის მოწყობა. ხუთი წლის დამლევს იქნება სულ 86 საბჭოთა მეურნეობა, აქედან ტრესტებში შეკავშირებული 63 და ცალკე საბჭოთა მეურნეობა 23. მეურნეობებს სახნავ-სათესი მიწა გაუდიდდებათ 398,2 პროცენტით, საძოვრები — 29 პროცენტით, ბაღები — 59 პროცენტით და ვენახები — 102,8 პროცენტით. სულ საბჭოთა მეურნეობებზე დახარჯული იქნება 26.040 ათასი მანეთი.

ხუთი წლის დამლევს კონტრაქტაცია უნდა გავრცელდეს სოფლის მეურნეობის მთელი საბაზრო პროდუქციის ერთ მესამედზე; თამბაქოზე — 98 პროცენტით, აბრეშუმის პარკზე — 100 პროც., მატყლზე — 90 პროცენტით, კუნჟუტზე — 70 პროც., კენაფზე —100 პროც. და დანარჩენ დარგებზე 20-დან 100 პროცენტამდე.

შემდეგ მომხსენებელი ეხება რა სამომხმარებლო, სასოფლო-სამეურნეო და საბინაო კოოპერაციის განვითარების საკითხებს და სპეციალისტებისა და კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადების საკითხს, ასე ამთავრებს თავის მოხსენებას.

ხუთწლიანი გეგმის განხორციელება მოითხოვს მუშათა კლასის და მთელი მშრომელი მოსახლეობის ძალების მობილიზაციას, მთელი ჩვენი ენერგიის დაჭიმვას. თუ ჩვენ ეს შევსძლით და, ჩვენ რომ ამას შევსძლებთ, ეჭვი არ არის, სასოფლო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა სავსებით განხორციელდება. (ტაში).

ალბულაღის „გმირები“

ყაზაროვს არ სცალია

„გაამჟღავნეთ ალბულაღიდან თემსაბჭოს მდივანი, უხეში ბიუროკრატი, მენშევიკების ყოფილი კონსული სომხეთში — ანულავა“.

„სახალხო სასამართლოს მდივანი — ოფიცერი, ავგისტოს ავანტიურის აქტიური მონაწილე ნარმანია!“

„ალბულაღის აფთიაქის გამგე ანთიძე აშკარად ეწევა ანტისაბჭოთა პროპაგანდას, აგროვებს საბჭოთა ხელისუფლებით უკმაყოფილო ელემენტებს და აგიტაციას ეწევა პარტიის წინააღმდეგ!“

ასე სწერდნენ ალბულაღის გლეხები პარტიის თემკომს მრავალ თავიანთ წერილში. სასოფლო კრებაზე, პარტკრებებზე მხურვალეთ და გაცხარებით ლაპარაკობდნენ ამაზე. მაგრამ იხურებოდა კრებები, სწყდებოდა ცხარე სიტყვები და თემკომის „საქმეებში“ განისვენებდა ყველა რეზოლიუცია, წერილი, ოქმი.

ამხანაგ ყაზაროვს — ალბულაღის თემკომის პასუხისმგებელ მდივანს, არა სცალოდა, ამხანაგ ყაზაროვს სხვა საქმეები ჰქონდა, უფრო მნიშვნელოვანი და სერიოზული საქმეები.

— რას წარმოადგენს ვიღაც კონტრრევოლიუციონერი ნარმანია! პროლეტარულ რევოლიუციისათვის საშიში არ არიან ძველი მსოფლიოს უბადრუკი ნაშთები. მთავარია სათანადო სიმაღლეზე იყოს რევოლიუციის ბელადების ავტორიტეტი და თავის დროზე აღმოიფხვრას ყოველგვარი ცდა ხელმძღვანელთა პრესტიჟისათვის ძირის გამოსათხრელად.

კომკავშირის თემკომის მდივანი უჩივის პარტხელმძღვანელობის სისუსტეს და ამის შესახებ სწერს საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტს. ყაზაროვმა ვერ მოითმინა ასეთი თავხედობა და იგი შეუდგა ცილისწამებას კომკავშირის თემკომის მდივნის წინააღმდეგ. ამ მხრივ მას უკანასკნელიც არ ჩამორჩა. ურთიერთის ცილისწამება და ინტრიგები მოედო ორგანიზაციის ზედაფენას. სადღა იყო დრო ეფიქრათ გლეხების წერილებზე და ვიღაც კონტრ-რევოლიუციონერებზე!

ველურ ორგიებში ატარებდნენ დროს

მაგრამ ალბულაღში „მოსამართლე ხომ მაინც არის“. დიახ, ალბულაღში იყო მოსამართლე. ნება გვიბოძეთ გაგაცნოთ — ნოდია, პარტიის თემკომის წევრი, რევოლიუციონურ კანონიერების დამცველი ალბულაღის თემის მოსახლეობის შორის, ამხანაგ ყაზაროვის საუკეთესო მეგობარი და მარჯვენა ხელი. სხვათა შორის, ამხანაგი ნოდია იმდენად იყო „დატვირთული“, რომ იგი ძლივს ასწრებდა 4 საქმის გარჩევას თვეში.

გასარჩევად დანიშნული საქმეების 50 პროცენტი იდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ცხადდებოდა ყველა მოწმე, მოპასუხე და ყველა მოწვეული პირი. პატიმრები 1 ნახ. თვეობით ელოდენ საქმის გარჩევას, მაგრამ ამხანაგ ნოდიას არ ეცალა.

დეკემბერში იგი რაიონიდან წავიდა 15 დღით, იანვარში სასამართლოში არ ყოფილა 16 დღის განმავლობაში, ხოლო მარტსა და აპრილში სულ არ გამოცხადებულა, სხვაგან იყო.

რას აკეთებდა ალბულაღის მოსამართლე, რა სამუშაოთი იყო იგი დატვირთული? დიახ, ამხანაგი ნოდია ძალიან დატვირთული იყო. აი, მაგალითად, პარტიის თემკომმა მას დაავალა საარჩევნო კრების ჩატარება დუმანისში. და ამხანაგმა ნოდიამ ჩაატარა ეს კრება. იგი წინასწარ გაემგზავრა დუმანისში, რათა ყველაფერი მოემზადებია. დაიწყო, მეტად ფართო მასშტაბით დაიწყო არჩევნებისათვის მზადება დუმანისში. უპირველეს ყოვლისა ამხანაგმა ნოდიამ მიმართა ადგილობრივ ინტელიგენციას და როცა დუმანისის სკოლაში მივიდა, მოითხოვა... ღვინო, მწვადი, ქალები და სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე. საბჭოს თავმჯდომარე მოკეშვილი დაუყოვნებლივ გამოცხადდა, სოფლის ქალების წარმომადგენლად გამოცხადდა მასწავლებელი ქალი თედეევა და სხ. სუფრა გაშალეს სკოლის ერთ-ერთ სასწავლო ოთახში და ამხანაგ ნოდიას პირველი სადღეგრძელო ასეთი იყო:

— გაუმარჯოს საბჭოების არჩევნების წარმატებით ჩატარებას!

მეორე ოთახში, გვერდით, მოწაფეები მეცადინეობდნენ, მაგრამ „მზადება არჩევნებისათვის“, „პარტიის დირექტივების თანახმად“. სწარმოებდა არა კაბინეტებში, არამედ ფართო მასების თვალწინ. სკოლის ფანჯრებთან გლეხებს მოეყარათ თავი, „სხდომის დარბაზის“ კარებთან იკრიბებოდნენ ბავშები და უყურებდნენ ამ ველურ ქეიფს. ერთ-ერთი გაკვეთილის დროს ნოდიამ მეზობელ კლასში მასწავლებელ თაყაიშვილს, რომელიც გაკვეთილს უხსნიდა მოწაფეებს, გაუგზავნა ღვინო და მწვადი. თაყაიშვილმა არ მიიღო ნოდიას მიერ გაგზავნილი ძღვენი. მაშინ ნოდიამ უბრძანა მოწაფეების დათხოვნა, ხოლო საღამოთი გააგდო თაყაიშვილი ბინიდან. საღამოთი ქეიფი გადაიქცა ველურ გარყვნილ ორგიად. ასეთი ქეიფი შემდეგ ნოდიას ხელმძღვანელობით გრძელდებოდა სისტემატიურად და დუმანისის სკოლა გადაიქცა ლოთობის და გარყვნილების აშკარა ბუდედ.

აშკარა გარყვნილება ხდებოდა არა მარტო სკოლაში, არამედ ქუჩაშიაც, გლეხების თვალწინ. ნოდია მთვრალი ეწეოდა ხულიგნობას, ახდენდა დებოშებს, უფასოდ ართმევდა გლეხებს საქონლის საკვებს, ხალხის თვალწინ მთვრალი ეგდო ხოლმე ქუჩაში, მისდევდა გარყვნილებას, აშკარად ფლანგავდა კოოპერაციაში ღარიბ გლეხთა შეკავშირებისათვის შეგროვილ ფულს. ასეთი მოქმედებით ფიქრობდა ნოდია, პასუხისმგებელი პარტმუშაკი, განეხორციელებია და დაემყარებია რევოლიუციონური კანონიერება.

განა შეიძლება წარმოვიდგინოთ კომუნისტის, პასუხისმგებელი მუშაკის ამაზე მეტად გახრწნა?

ნოდიას ასეთი მოქმედების შესახებ იცოდა ყველა გლეხმა, იცოდა ალბულაღის პარტორგანიზაციამ, ნოდიას შესახებ ყაზაროვს ჰქონდა მრავალი განცხადება.

დენიკინის აგიტპროპი

მაგრამ ნოდია იყო ყაზაროვის მეგობარი, ყაზაროვი ხელს აფარებდა ნოდიას და ნოდია კვლავ რჩებოდა თავის ადგილზე.

რევოლიუციონური კანონიერების „დამყარებასთან“ ერთად, ყაზაროვი და ნოდია განსაკუთრებით „ზრუნავდნენ“ სახალხო განათლებაზე. თემის ბელადების მთავარი ყურადღება მიქცეული იყო ახალგაზრდა მასწავლებელ ქალებისადმი, რომლებიც სასკოლო საქმის „დიდ მფარველებს“ სურდათ დაეთანხმებიათ სქესობრივ კავშირზე. მასწავლებლებს შორის განმტკიცდა რწმენა, რომ ისინი სავსებით უუფლებონი არიან. აქ უნდა შევეხოთ ერთ „გმირსაც“ — თემკომის აგიტპროპმუშაობის ხელმძღვანელს — სუმაროკოვს. როგორ მოხდა, რომ დენიკინის ყოფილი ოფიცერი გახდა პარტიის თემკომის აგიტპროპის ხელმძღვანელი ალბულაღში, — ეს სავსებით გაუგებარია. ვიცით მხოლოდ ის, რომ სუმაროკოვს ძალიან უჭერს მხარს ყაზაროვი, ემყარება მას და სჩადის იმას, რაც სურს.

სუმაროკოვი არის ბავშთა კოლონიის მასწავლებელი და საძაგელი ინტრიგების საშუალებით სცდილობს ხელთ ჩაიგდოს კოლონიის გამგის ადგილი. მცირე ხნის განმავლობაში, სანამ სუმაროკოვი იყო გამგის (რომელიც ავად გახდა) ადგილას, დენიკინის აგიტპროპმა კოლონია მიიყვანა სრულ განადგურებამდე. სუმაროკოვის ნებართვით ბავშები გლეხებს ჰპარავდნენ ქათმებს და ჰყიდდნენ ბაზარზე.

პირველი, მეორე და მესამე

ასე „მუშაობდნენ“ ალბულაღის თემში და „ხელმძღვანელობდნენ“ საბჭოთა მშენებლობას ყაზაროვი, ნოდია, სუმაროკოვი და სხვანი. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ჩვენ გამოვამჟღავნეთ წალკის „უპატიოსნო პირთა ჯგუფის“ საქმენი საგმირონი.

ალბულაღში არ ყოფილა „უპატიოსნო პირთა ჯგუფი“. მაგრამ თემკომის მდივნის ყაზაროვის ხელმძღვანელობით და მისი დახმარებით გაიხრწნა აგრეთვე პასუხისმგებელი მუშაკების ჯგუფი. ამ ჯგუფმა ნაკლები კი არა, მგონია, უფრო მეტი ზიანი მიაყენა პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას, ვიდრე „უპატიოსნო პირთა ჯგუფმა“.

რა ნიადაგზე შეიძლებოდა წარმოშობილიყო წალკისა და ალბულაღის საქმეები? მხოლოდ და უწინარეს ყოვლისა თვითკრიტიკის სუსტად გაშლა-განვითარების საფუძველზე; თემკომი, და მისი ხელმძღვანელი მუშაკები ყურს არ ათხოვებდნენ პარტიული ქვედაფენების ხმას, ხოლო თვით ქვედაფენები ხშირად სდუმდნენ, თუმცა იცოდნენ ეს უმსგავსოებანი.

ნოდიას გამხრწნელი მუშაობისათვის, პარტიაში სუმაროკოვის მიღებისათვის, ყაზაროვის უმსგავსოებათა მიფუჩეჩებისათვის პარტიისა და მუშათა კლასის წინაშე პასუხს აგებს არა მარტო ალბულაღის თემკომი, არამედ ალბულაღის თვითეული კომუნისტიც.

მეორე—ასეთი თაიგული გადაიფურჩქნა ერთმანეთთან კინკლაობისა და ინტრიგების ნიადაგზე.

ინტრიგებითა და კინკლაობით იყო გართული წალკის პარტორგანიზაციის ზედაფენა, კინკლაობასა და ინტრიგებში აღმოჩნდა დღეებს ალბულაღის თემკომის ბევრი წევრი. ასეთ კინკლაობას, ასეთ ინტრიგებს დაუნდობლად უნდა შევებრძოლოთ ეხლა, როდესაც პარტიასა და ჩვენს კლასს მოუწოდებთ ახალი დიდი საქმისათვის, როდესაც გზაზე გვედობება ახალ-ახალი სიძნელეები.

მესამე—„საქმე—თვით ადამიანებშია!“ ლენინი მოგვიწოდებდა გულდასმით, ყურადღებით შეგვერჩია მუშაკები, ჩვენ კი სოფლად, კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთ უმძიმესად პასუხისმგებ ფრონტზე ძალიან ხშირად ვგზავნით ოპანეზოვებს, ყაზაროვებს, ნოდიებს.

სოფელი საბჭოთა ყაიდაზე უნდა მოხნან და მოფარცხონ ნამდვილმა კომუნისტებმა—ბოლშევიკებმა, რომლებიც საქმეს არ წაუხდენენ პარტიას, საქმეს არ წაუხდენენ ჩვენს კლასს.

საქმე გამომჟღავნებულია

და, ბოლოს, უკანასკნელი რამ. ალბულაღის დაჩირქებული იარა უცებ და მოულოდნელად გაიკვეთა. აპრილის დამლევს, ერთი საქმის გამო, თემში გაემგზავრნენ ამხანაგები, რომლებიც მარტო ოქმს კი არა ხედავენ, არამედ ფაქტებსაც ამჩნევენ. მათ დაინახეს რამდენიმე ფაქტი, რომელთა შესახებაც დუმილი არ შეიძლებოდა. მათ ამ ფაქტების შესახებ თბილისში სთქვეს. მაშინვე გამოყოფილ იქნა სპეციალური კომისია, რომელმაც ადგილობრივ დაიწყო ალბულაღის საქმეების გამორკვევა. იქ შექმნილი მდგომარეობა ნოლომდეა გამორკვეული და ჩვენ მისი ნაწილი დავანახვეთ მკითხველებს.

კომისიამ კარგად იმუშავა, მაგრამ... ნოდიამ და სუმაროკოვმა თავიანთი საქმენი საგმირონი დღეს ან ერთი თვის წინათ ხომ არ დაიწყეს. წინათაც ხომ მიდიოდნენ ალბულაღში გამომკვლევნი, ინსტრუქტორები, რევიზორები, რაღასაც ამოწმებდნენ, სადღაც იცქირებოდნენ. რატომ მათ არ დაინახეს ეს ფაქტები, რომელთა შესახებაც თემის ყოველმა გლეხმა იცოდა?

საეჭვოა, რომ ამ გამომკვლევთ და რევიზორებს ნამდვილი სარგებლობა მოეტანოთ, თუ ისინი ცხოვრებასა და მუშაობას ოქმებით ეცნობოდნენ. საეჭვოა, რომ ამ ინსტრუქტორებს ნამდვილად შესძლებოდათ წალკის მუშაკებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა.

კიდევ ერთი დასკვნა, რომელიც უნდა გამოვიყვანოთ ალბულაღისა და წალკის საქმიდან—საჭიროა უფრო მეტად, უფრო მედგრად, უფრო ენერგიულად ვიმუშაოთ სოფლის ქვედა ორგანიზაციების ნამდვილი, გულმოდგინე და ყოველდღიური ხელმძღვანელობის განსამტკიცებლად.

ა. პ—სკი.

საიდან იღებდა ორლოვი ფულს

ბერლინი, 7 მაისი. გაზეთი „ტემპო“ იუწყება: გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროში სახაზინო ფულის უთადარიგო ხარჯვის გამოკვლევამ გამოამჟღავნა ახალი სენსაციური ფაქტები.

გაზეთის სიტყვით, სრულიად გერმანიის საზოგადოებრივი წესრიგის კომისარიატის საგანგებო ფონდებიდან ფულს აძლევდნენ არა მარტო ფაშისტებს — ლიბკნეხტისა და როზა ლიუქსემბურგის მკვლელობის ხელმძღვანელს კაპიტან პაბსტს, რომელმაც 60.000 მარკა მიიღო, არამედ აგრეთვე ორლოვსაც, რომელსაც დაუმტკიცდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული ყალბი საბუთების დამზადება; მან საგანგებო ფონდიდან მიიღო დაახლოვებით — 30.000 მარკა.

„ტემპოს“ სიტყვით, როცა გამოირკვა, რომ ორლოვს ფული მიეცა, ვითომ სრულიად გერმანიის კომისარიატის მოხელეები ცდილობდნენ განეცხადებინათ — არც ორლოვს ვიცნობთ, არც მის მეგობრებსო.

„ნამდვილად კი,— სწერს გაზეთი, — მათ კარგად უნდა სცოდნოდათ, თუ ვის უვარდებოდა ხელში სახაზინო ფული. საზოგადოებრივმა აზრმა უნდა იცოდეს, თუ რას ხმარდებოდა ეს ფული — ყალბი საბუთების შექმნას თუ სხვა მიზნებს“ (ადს).

ორლოვის მეგობარს ქურდობა ბრალდება

ბერლინი, 7 მაისი. ორლოვის საქმესთან დაკავშირებით, პროკურატურამ პასუხისგებაში მისცა ვინმე ალექსანდრე როსმანი, რომელიც 1927 წელს ზივერტის საინფორმაციო სააგენტოს მდივნად და მთარგმნელად იყო. ეს სააგენტო უმთავრესად ანტისაბჭოთა ცნობებს ავრცელებს. როსმანს ქურდობა ბრალდება. მან აღნიშნულ სააგენტოდან მოიპარა წერილები, რომლებიც, როგორც ამბობენ, ორლოვმა ყალბი საბუთების შედგენის დროს ნიმუშად გამოიყენა. (ადს).

შეთანხმება უნგრეთსა და იტალიას შორის

ვენა, 7 მაისი. ოთხი კვირის განმავლობაში ბუდაპეშტში ყოფნის შემდეგ რომში დაბრუნდა იტალიის გარეშე საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი გრანდი.

ბუდაპეშტის იტალიელთა კოლონიაში გამოსვლის დროს გრანდიმ დაადასტურა, რომ მის მოლაპარაკებას შედეგად მოჰყვა შეთანხმება უნგრეთსა და იტალიას შორის პოლიტიკური და დიპლომატიური საკითხების გამო (ადს).

რეპარაციების საკითხი

იუნგის ახალი პროექტი

პარიზი, 7 მაისი. სარეპარაციო კომისიის თავმჯდომარემ ოუენ იუნგმა განუცხადა ფინანსიური წრეების წარმომადგენლებს, რომ შახტმა ზოგიერთი შესწორებით მიიღო ის ციფრები, რომლებიც მას იუნგმა წარუდგინა. ავტორიტეტული წყაროებიდან გადმოცემული ცნობების მიხედვით, იუნგის ახალი პროექტით გათვალისწინებულია, რომ გერმანიამ 37 წლის განმავლობაში ყოველწლიურად ორი მილიარდი მარკა უნდა იხადოს. გარდა ამისა, გერმანიას მიეცემა საერთაშორისო ანგარიშების გამსწორებელი ბანკის მოგების ნაწილი.

ავტორიტეტულ წრეებს არ სჯერათ, რომ კრედიტორმა სახელმწიფოებმა მიიღონ იუნგის წინადადება, რადგან იუნგის ციფრები 150—200 მილიონით ნაკლებია მოკავშირეთა მემორანდუმის ციფრებზე და ისინი საგრძნობლად ამცირებენ სარეპარაციო გადასახადების რაოდენობას (ადს).

ამხ. სტალინი—საპატიო მფრინავი

ლენინგრადი, 8 მაისი. ბალტიის ზღვის საჰაერო ძალების ენის ავიო-რაზმის პირადმა შემადგენლობამ საპირველმაისო საზეიმო სხდომაზე რაზმის საპატიო მფრინავად აირჩია საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის გენერალური მდივანი ამხ. სტალინი. (ადს).

დონბასის მემაღაროები ამხ. სტალინთან

მოსკოვი, 8 მაისი. 4 მაისს ამხ. სტალინმა მიიღო დონბასის მემაღაროელთა დელეგაცია 170 კაცის შემადგენლობით. საუბრის დროს, რომელმაც 2 ნახ. საათს გასტანა, ამხ. სტალინს დელეგაციამ უპასუხა სხვადასხვა შეკითხვაზე. შეკითხვები შეეხებოდნენ საერთაშორისო მდგომარეობას, ხუთწლიან გეგმას, მემარჯვენე საფრთხეს, სოციალისტურ შეჯიბრებას, სოფლის მეურნეობას, მუშათა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურულ მხარეებს. საუბრის დამთავრების შემდეგ დელეგაციამ ამხ. სტალინს აღუთქვა, რომ იგი სავსებით შეასრულებს იმ დავალებებს, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებამ დააკისრა მემაღაროებს ხუთწლიანი გეგმის მიხედვით (ადს).

მბეჭდავთა კავშირის დაარსების ათი წლის თავი

მოსკოვი, 8 მაისი. 7 მაისს შესრულდა 10 წელი მბეჭდავთა კავშირის დაარსების დღიდან. 10 წლის წინად მოსკოვში გაიმართა მბეჭდავთა სრ. რუსეთის ყრილობა, რომელიც მოწვეულ იქნა მოსკოვის და ლენინგრადის წითელ მბეჭდავთა კავშირის ინიციატივით. შეიკრიბნენ დელეგატები 36 ორგანიზაციიდან, რომლებიც 56.000 მუშის წარმომადგენლები იყვნენ. ყრილობამ აირჩია კავშირის ახალი ცეკა, რომელშიაც უმრავლესობას კომუნისტები შეადგენდნენ. ამჟამად კავშირი აერთიანებს 130.000 კაცს. (ადს).

თავდაცვა-ავიაქიმის მეოთხე საკავშირო ლატარია

მოსკოვი, 8 მაისი. საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა— გამართოს თავდაცვა-ავიაქიმის მეოთხე საკავშირო ლატარია. გამოშვებული იქნება 8 მილიონი ბილეთი, 5 კაპ. ღირებულებისა თითო. მოგებათა რაოდენობა გადიდებულ იქნება 40.000-მდე, მთავარი მოგებანი არ უნდა აღემატებოდეს სამი ათას მანეთს თითო. (ადს).

ამხ. კუიბიშევი უკრაინაში

ხარკოვი, 8 მაისი. უკრაინის საბჭოთა მე-11 ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ხარკოვში მოვიდა ამხ. კუიბიშევი. სადგურზე მის შესახვედრად გამოვიდნენ ამხ. ჩუბარი, სუხომლინი, ვარლენკო, ბალიცკი და სხვ. ამხ. კუიბიშევი ყრილობაზე გააკეთებს საანგარიშო მოხსენებას საკავშირო მთავრობის მუშაობის შესახებ. განზრახულია ხარკოვში მოწვეულ იქნას სამეურნეო მუშაკთა აქტივის ფართო თათბირი, რომელზედაც ამხ. კუიბიშევი გააკეთებს მოხსენებას (ადს).

საფეიქრო მრეწველობის მდგომარეობა და პერსპექტივები

საკ. კომპარტიის (ბ) ცეკას დადგენილება

მოსკოვი, 8 მაისი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკამ 3 მაისს გამოიტანა ვრცელი დადგენილება საფეიქრო მრეწველობის მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ. დადგენილება აღნიშნავს საფეიქრო მრეწველობის განვითარების ხელსაყრელ პირობებს, და მის სწრაფ ზრდას, მიუხედავად ისეთი უარყოფითი ფაქტორებისა, როგორიც არის, მაგალითად, მოწყობილობის გაცვეთა და დაძველება, არასაკმაო ნედლეულის ბაზისი, სათანადო საინჟინერო-ტეხნიკური კადრების უყოლობა და სხვა. ჩვენი საფეიქრო მრეწველობა ვითარდებოდა შინაური ბაზრის ტევადობის ზრდის პირობებში, რაც მოითხოვდა ამ დარგის წარმოების გაძლიერებით გაშლა-გაფართოვებას, ფინანსების მხრივ განსაკუთრებით უზრუნველყოფას. საფეიქრო მრეწველობის ზრდას ხელს უწყობდნენ პარტიისა და მთავრობის ღონისძიებანი ბამბის ნედლეულის ბაზის გასაფართოვებლად შუა აზიასა და ამიერ-კავკასიაში. მაგრამ ჩვენმა მრეწველობამ ძველი რუსეთისაგან მემკვიდრეობად მიიღო შრომის ჩამორჩენილი ორგანიზაცია, რაც ხელს უშლის სამუშაო ხელფასის აწევას, თუმცა სამუშაო ხელფასის ფონდი სისტემატიურად იზრდება. დადგენილებაში ნათქვამია, რომ წარმოებაში ჩაბმულ უნდა იქნან მუშათა ახალი კადრები, სისტემატიურად უნდა გაიზარდოს ხელფასი, შვიდი საათის სამუშაო დღეზე უნდა იქნას გადაყვანილი 160.000 მუშა. დადგენილებაში გათვალისწინებულია აგრეთვე მრეწველობის შემდგომი ზრდის პერსპექტივები, რაც პირველ რიგში აყენებს საფეიქრო პროდუქციის ხარისხობრივი გაუმჯობესების ამოცანებს.

ცეკას დადგენილება განსაკუთრებით უსვამს ხაზს ყველაზე უფრო „ვიწრო“ ადგილის, სახელდობრ მისი ნედლეულის ბაზისის დაძლევას საფეიქრო მრეწველობაში, რისთვისაც საჭიროა კონტრაქტაციის და კოლექტივიზაციის გაფართოვება, საირიგაციო სამუშაოთა გაძლიერება ახალი სათესი სივრცისათვის, ბამბის მოსავლიანობის გადიდება, საწარმოო კოოპერაციაში მებამბე-გლეხთა შეკავშირების გაძლიერება, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და სხვ. საჭიროა შემუშავებულ იქნას მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც წაახალისებენ მეცხვარეობას და მესაქონლეობას, ახალი საფეიქრო კულტურების გაშენებას და ხელოვნური ბოჭკოს წარმოების განვითარებას.

დადგენილება ხაზს უსვამს, რომ ფართო მასების კულტურული განვითარება და ნივთიერი კეთილდღეობის ზრდა, რაც მოსახლეობის მოთხოვნილებათა ზრდას იწვევს, მოითხოვს რეკონსტრუქციის შემდგომ ზრდას ტეხნიკურ, უფრო გაუმჯობესებულ ნიადაგზე, მოითხოვს მეტ გეგმიანობას, საბჭოთა ტეხნიკოსების სამეცნიერო-ტეხნიკური უნარის ფართოდ გამოყენებას, მომქმედ და ახალ საწარმოთა განთავისუფლებას უცხოეთის მანქანა-იარაღის შემოტანის საჭიროებისაგან.

მიმდინარე წლის და მახლობელი წლების ცენტრალ. ამოცანას შეადგენს პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. ამ ამოცანის გადაწყვეტა, როგორც დადგენილება აღნიშნავს, უნდა მოხდეს სისტემატიურად ისეთი ღონისძიებებით, როგორიცაა მაგალითად, საწარმოთა სპეციალიზაცია, გამოცდილების უფრო ფართოდ გაზიარება მრეწველობის შიგნით, საზღვარ-გარეთის გამოცდილების გამოყენება, სამეცნიერო სასარგებლო მუშაობის გაღრმავება, საწარმოთა განთავისუფლება დამხმარე წარმოებათაგან, მუშათა ფართო წრეების ჩაბმა რაციონალიზაციის საქმეში და სხვ.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ ტეხნიკური პერსონალის კადრების ნაკლებობის დასაძლევად საჭიროა საფეიქრო ინსტიტუტის გაფართოვება, სხვა ტეხნიკური უმაღლესი სასწავლებლების მაქსიმალურად გამოყენება სპეციალისტების მოსამზადებლად, საშუალო და დაბალი პერსონალის მოსამზადებელი და გადასამზადებელი ფართო ქსელის მოწყობა, საფაბრიკო-საქარხნო მოწაფეობის ორგანიზაციის გაუმჯობესება, საწარმოო აღზრდის და მუშათა ძველი კადრების გადამზადების გაძლიერება. საჭიროა აგრეთვე სახსრების გადიდება, ბაგების, აბანოების, სამრეცხაოებისა, სკოლებისა და კლუბებისათვის, ამავე დროს მუშა-ფეიქართა საბინაო პირობების გაუმჯობესება. საკავშირო საფეიქრო სინდიკატის ოპერატიული მმართველობის და მომწესრიგებელი ფუნქციების კონცენტრაცია უნ და განმტკიცდეს ტრესტების სისტემის და საწარმოთა ოპერატიული დამოკიდებულების შემდგომი განმტკიცების ნიადაგზე. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას დადგენილებას საჭიროდ მიაჩნია, რომ სახ. მეურნ. უმაღ. საბჭომ და ფეიქართა ცეკამ ამის მიხედვით შეიმუშაონ დეტალური დირექტივები პრაქტიკულ ღონისძიებათა განსახორციელებლად. (ადს).

აფხაზეთის კოლმეურნეობათა ყრილობა

სოხუმი, 8 მაისი. დამთავრდა აფხაზეთის კოლმეურნეობათა პირველი ყრილობა. ყრილობის მუშაობამ ორ დღეს გასტანა. ყრილობას ესწრებოდა 42 დელეგატი, აქედან 16 იყო კოლმეურნეობიდან, დანარჩენები — საკრედიტო ამხანაგობებიდან, საადგილ-მამულო განყოფილებებიდან და სხ.

ყრილობის დღის წესრიგის ძირითადი საკითხები იყო: საქართველოს კოლმეურნეობის ცენტრის გამგეობის თავმჯდომარის ამხ. ცაგარლის მოხსენება კოლმეურნეობათა მშენებლობის მორიგი ამოცანების შესახებ, კოლმეურნ. ცენტრი შექმნა აფხაზეთში და სხვა. ცენტრის შექმნა აფხაზეთში და სხვა. მოხსენება აფხაზეთში კოლმეურნეობათა მოძრაობის მდგომარეობის შესახებ გააკეთა კოლმეურნ. სექციის თავმჯდომარემ ამხ. ახუბამ. მან მოიყვანა ციფრები, რომლებიც მოწმობენ კოლმეურნეობათა ზრდას. ამ წლის 15 თებერვლისთვის აფხაზეთში სულ იყო 14 კოლმეურნეობა, ეხლა არის 56. წინად კოლმეურნეობები აერთიანებდნენ 106 მეურნეობას, ეხლა—400-ს. კოლმეურნეობათა მიწის სივრცე უდრის 498 ჰექტარს.

დასახული გეგმის მიხედვით, 1930 წლის 1 იანვრისათვის კოლმეურნეობათა რიცხვი აყვანილი იქნება 110-მდე, თითო კოლმეურნეობაში იქნება 10 მეურნეობა, მაშასადამე, კოლმეურნეობაში გაერთიანებულ მეურნეობათა რიცხვი მიაღწევს 1.100-მდე, რაც შეადგენს აფხაზეთის მეურნეობათა საერთო რიცხვის 3,2 პროც-ს. ყრილობამ დაამტკიცა აფხაზეთის კოლმეურნეობათა ცენტრის წესდება (ადს).

საქართველოს ელექტროფიკაცია

არსებული ჰიდრო-ელექტრო სადგურების გაფართოება

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ცნობებით, მომავალი საბიუჯეტო წლიდან დაიწყება მუშაობა ზაჰესის გასაფართოებლად. სულ დადგმული იქნება ორი ახალი ტურბო-გენერატორი, თითო 17.000 ცხენის ძალის. ორივე ტურბო-გენერატორის დადგმის შემდეგ ზაჰესის ძალოვნება აყვანილი იქნება 54.000 ცხენის ძალამდე. სადგურის გაფართოება დამთავრდება 1931 წლის დეკემბრისათვის და დაჯდება 5.000.000 მანეთი.

ზაჰესის გაფართოება გამოწვეულია იმით, რომ მომავალი შემოდგომიდან სადგურის ყველა აგრეგატები სავსებით დაიტვირთებიან და სადგურზე აღარ დარჩება სათადარიგო მანქანა. შემოდგომიდან ზაჰესის ენერგიაზე გადაყვანილი იქნება თბილისის მაუდის ფაბრიკა, ხოლო უფრო ადრე, დაახლოვებით ივნისის შუა რიცხვებში ზაჰესი ენერგიას მიაწოდებს აგრეთვე დიღომის ველის წყალსაქაჩავ სადგურს.

გარდა ამისა ს. მ. უ. ს. წინაშე სდგას საკითხი ფერო-მარგანეცის მრეწველობის დაწყების შესახებ. ფერო-მარგანეცის მრეწველობის დაწყება კი შეუძლებელი გახდება, თუ არ იქნა იაფი ელექტრო-ენერგია. ყველა ამ მოსაზრებათა გამო საჭირო ხდება ზაჰესის გაფართოება.

მეორე ჰიდრო-ელექტრო სადგური, რომელიც ამჟამად მუშაობს, არის აბჰესი. აბჰესში ჯერ-ჯერობით დადგმულია და მუშაობს მხოლოდ ერთი ტურბო-გენერატორი 870 ცხ. ძალის. ამჟამად მიმდინარეობს მეორე ტურბო-გენერატორის დადგმა. დაწყებულია აგრეთვე ახალი ელექტრო-გადამცემი ხაზის გაყვანა. ხონიდან სამტრედიამდე 20 კილომეტრის მანძილზე. აბჰესიდან ხონამდე ხაზი უკვე გაყვანილია. სულ აბჰესის ენერგიის გადაცემა სწარმოებს სამი მიმართულებით — აბჰესი-სენაკი-ფოთი, 70 კილომეტრის მანძილზე, აბჰესი-ხონი-ქუთაისი 45 კილომეტრის მანძილზე და მომავალ ზაფხულიდან დაიწყება ენერგიის გადაცემა სამტრედიამდე რკინის გზის საჭიროებისათვის.

რიონჰესის სამუშაოებიც წარმატებით მიმდინარეობს. საგუბარის მარჯვენა ნაწილის აგება დამთავრდა და მომავალი შემოდგომიდან დაიწყება საგუბრის მარცხენა ნაწილის აგება. გვირაბი უკვე გათხრილია 850 მეტრის სიგრძეზე. წელს შესაძლებელი იყო რიონჰესის დარჩენილი ძირითად ნაგებობათა აგების დაწყებაც, მაგრამ ფინანსების თავის დროზე მოუწოდებლობის გამო მათი დაწყება გადადებულია მომავალი წლისათვის.

ფერო-მარგანეცის მრეწველობის დაწყებასთან დაკავშირებით მთავრობის უმაღლესი ორგანოების წინადადების თანახმად რიონჰესი აგებული უნდა იქნეს სრული 60.000 ცხენის ძალის ძალოვნებით. ამისათვის საჭირო გახდება, რომ ეხლავე დაიდგას ყველა ტურბო-გენერატორები, რის გამოც სადგურის ხარჯთაღრიცხვა გაიზრდება 24.000.000 მანეთამდე.

სატკეჩე ქარხანა გურიაში

ოზურგეთიდან თბილისში დაბრუნდა სატყეო ტრესტის სპეციალისტთა კომისია, რომელიც გაგზავნილი იყო გურიის ტყეების სიმდიდრეთა შესასწავლად და იქ სატკეჩე ქარხნის აგების საკითხის გამოსარკვევად. კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობდა სატყეო ტრესტის მმართველი ამხ. ნ. ბრეგვაძე, რომელმაც ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

— კომისიამ დაათვალიერა, და შეისწავლა სოფ. გომის (გურიაში), ვაკეჯვარის, ასკანის და გოგიეთის ტყეები, სულ 8.000 დესეტინის სივრცეზე. აღმოჩნდა, რომ ეს ტყეები მეტად მდიდარია ისეთი ჯიშის ხეებით, რომლებიც გამოსადეგია ტკეჩის დასამზადებლათ. განსაკუთრებით დიდია ამ ტყეებში წიფლის და რცხილის ჯიშების მარაგი და ამ მხრივ გურიის ტყეები გაცილებით სჯობიან ბორჯომის ტყეებს.

აღმოჩნდა აგრეთვე, რომ აღნიშნულ ტყეებში ბევრია საექსპორტოთ გამოსადეგი ჯიშები. გურიის ტყეებიდან შესაძლებელი იქნება ყოველწლიურად გამოვიტანოთ 500.000 კუბ. ფუტი ხე-ტყის მასალა, რაც სავსებით უზრუნველყოფს სატკეჩე ქარხანას.

ახალი სატკეჩე ქარხნის აგების საკითხის დაწვრილებითმა შესწავლამ ცხადყო, რომ ქარხნის ასაგებათ ადგილობრივ არ არსებობს ოდნავ მაინც დამაკმაყოფილებელი საგზაო-სატრანსპორტო პირობები. ამიტომ უფრო მიზანშეწონილათაა ცნობილი, რომ გურიაში აგებულ იქნეს ე. წ. მოძრავი ტიპის სატკეჩე ქარხანა, რისთვისაც საჭირო არ გახდება ახალი კაპიტალური გზების გაყვანა და ზედმეტი ხარჯების გაწევა, რაც უთუოდ მოახდენს გავლენას ტკეჩის თვითღირებულებაზე.

ფერო-მარგანეცის მრეწველობის განსავითარებლად

სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ გადასწყვიტა შეუდგეს ფერო-მარგანეცის დასამზადებელი ქარხნის აგებას. ქარხანა აგებული უნდა იქნეს იმ ვარაუდით, რომ პირველ ხანებში შესძლოს 50.000 ტონა ფერომარგანეცის დამზადება ყოველწლიურად. ამისათვის ქარხანას ყოველწლიურად დასჭირდება 250.000.000 კილოუატ საათი ელექტრო-ენერგია.

აღნიშნული რაოდენობის ელექტრო-ენერგიის მიწოდება ფერო-მარგანეცის ქარხნისათვის შესაძლებელი გახდება ზაჰესის გაფართოვებისა და რიონჰესის ამუშავების შემდეგ.

საბოლოო პროექტით ფერო-მარგანეცის ქარხანამ ყოველწლიურად უნდა გამოუშვას 100.000 ტონა ფერო-მარგანეცი. თუ ზაჰესისა და რიონჰესის ენერგიით ქარხანა ვერ შესძლებს ამ რაოდენობის ფერო-მარგანეცის გამოშვებას, მაშინ საჭირო გახდება ელექტრო-ენერგიის შოვნა სხვა წყაროებიდან. ამიტომ ს. მ. უ. საბჭო შეუდგა ახალი ჰიდრო-ელსადგურის ასაგები ვარიანტების არჩევას. სულ წარმოდგენილია რამოდენიმე ვარიანტი — თაფარავანის, ხრამის და რიონის სათავეში ახალი ჰიდრო-ელსადგურების ასაგებათ.

ახლად ასაგები ჰიდრო-ელსადგურების საბოლოო ვარიანტი არჩეული იქნება წელსვე, ხოლო გეგმა წარდგენილი იქნება მთავრობის უმაღლეს ორგანოებში მომავალ წელს. 1931-32 საბიუჯეტო წლიდან კი ახალი ჰიდრო-ელსადგური უნდა ამუშავდეს, რომ არ დაბრკოლდეს ფერო-მარგანეცის მრეწველობის განვითარება.

წითელ ჯარში

ვემზადოთ სამთვიან შეკრებისათვის

მიმდინარე წლის 20 მაისიდან საქართველოში ჩატარებული იქნება 1906 წელში დაბადებულ ცვალებად წითელ არმიელების სამთვიანი სამოსწავლო შეკრება.

შეკრებაზე უნდა გამოცხადდნენ 1906 წელში დაბადებული ის ცვალებადი წითელ არმიელები, რომლებიც გასული წლის გაწვევის დროს სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსახდელათ გადაირიცხნენ წითელ ჯარის ტერიტორიალურ ნაწილებში.

სამთვიანი სამოსწავლო შეკრება წარმოადგენს ცვალებადელთა სამხედრო მომზადების პირველ საფეხურს.

სამი თვის განმავლობაში ცვალებადელებმა უნდა შეითვისონ სამხედრო ცოდნის განსაზღვრული მინიმუმი, რომ შეეძლოთ ამა თუ იმ საბრძოლო ამოცანის შესრულება ჯარის წვრილ ერთეულში. ეს ნიშნავს იმას, რომ სამი თვის განმავლობაში ცვალებადელმა უნდა დასძლიოს რთული სამხედრო პროგრამა, რომ შეკრების დამთავრების შემდეგ ის გვერდში ამოუდგეს ძირადი ნაწილების წითელ არმიელებს.

სამხედრო ცოდნასთან ერთად, სამთვიან შეკრების დროს ცვალებადელებმა უნდა გაიარონ აგრეთვე პოლიტიკური საგნებიც, რაც აუცილებელია დღევანდელ პირობებში.

ყოველი ცვალებადი წითელი არმიელი ნათლად უნდა იყვეს გარკვეული საერთაშორისო მდგომარეობაში, მას უნდა ჰქონდეს ზედმიწევნით სწორი წარმოდგენა წითელი არმიის მიზნებსა და ამოცანებზე და მის დანიშნულებაზე. ამასთანავე ერთად, ცვალებადელმა კარგად უნდა იცოდეს, თუ ვინ არიან ჩვენი მტრები და მეგობრები და ვის წინააღმდეგ მოუხდება მას ბრძოლა.

ყველა ამ ცოდნას ცვალებადელი შეიძენს პოლიტიკური საგნების გავლის დროს შეკრების განმავლობაში.

სამთვიან სამოსწავლო შეკრებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი წითელი ჯარის საბრძოლო მომზადებისათვის. ამისათვის საჭიროა, რომ ეს შეკრება ჩატარდეს მწყობრად და შეუფერხებლად, რომ მიღწეულ იქნეს ის მიზნები, რომლებსაც ისახავს შეკრება.

სამი თვე ძალიან მცირე დროა შეკრების პროგრამის დასაძლევად. ეს დრო გამოყენებული უნდა იქნეს ნაყოფიერად.

ყოველი ცვალებადელი დროზე უნდა გამოცხადდეს შეკრებაზე. დაგვიანებით გამოცხადებას შეკრებაზე არ უნდა ჰქონდეს ადგილი.

შეკრების არც ერთი დღე, არც ერთი საათი არ უნდა იქნეს გაცდენილი ტყუილ-უბრალოდ.

სახელმწიფო და საზოგადოებრივმა დაწესებულებებმა, წარმოებებმა, სადაც მუშაობენ ცვალებადელები, რომლებსაც ეხებათ შეკრებაზე გასვლა, დროულად უნდა გაანთავისუფლონ ასეთები სამუშაოდან.

წარმოება-დაწესებულებებმა უნდა იცოდნენ, რომ სამთვიანი შეკრება არის სამხედრო სავალდებულო სამსახური და შეკრებიდან არ იქნება განთავისუფლებული არც ერთი ცვალებადელი.

სამთვიან შეკრებამდე დარჩენილია სულ რამოდენიმე დღე.

საჭიროა ეხლავე შეუდგეთ გაცხოველებულ მზადებას შეკრებისათვის, რომ იგი ჩავატაროთ წარმატებით და ნაყოფიერად.

მხედარი.

„ზაკსოიუზ“-ის საბჭოს მე-9 სესია

პირველი სხდომა

7 მაისს საღამოს გაიხსნა „ზაკსოიუზ“-ის საბჭოს მეცხრე სესია. სესიის პირველ სხდომაზე მოსმენილი იქნა „ზაკსოიუზი“-ს გამგეობის თავმჯდომარის ამხ. ბუკრეევის მოხსენება მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ჩატარებული მუშაობის შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ „ზაკსოიუზი“-ს საქონლის ბრუნვა საანგარიშო პერიოდში უდრიდა 66.000.000 მანეთს (გასული წლის პირველ ნახევარში კი ბრუნვა ნაკლები იყო 33 პროცენტით). გასულ წელთან შედარებით სამრეწველო საქონლის (ფართალი, მზა ტანისამოსი, ლითონის ნაწარმოები, ტყავეული და სხვ.) ბრუნვა გაიზარდა 300 პროცენტით.

შემდეგ მომხსენებელი ახასიათებს ბოსტნეულის ბაზრის მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ გამგეობას მიღებული იქვს ზომები ბოსტნეულის ბაზრის მოსაწესრიგებლად, რა მიზნითაც ჩატარებულია კონტრაქტაცია მთელ რიგ ბოსტნეულზე. მომავალ წელს მოთხოვნილებას ბოსტნეულზე სამომხმარებლო კოოპერაცია დააკმაყოფილებს 70 პროცენტით. „ზაკსოიუზის“ ხარჯები წლის შეადგენს მთელი ბრუნვის 0.34 პროცენტს (გასულ წელს კი — 0,44 პროც.) მიღებულია ზომები წიგნებით ვაჭრობის დასაწყებად. ამ მიზნით ეწყობა წიგნის გამყიდველთა მოსამზადებელი კურსები,

ამხ. ბუკრეევის მოხსენების დამთავრების შემდეგ გაიმართა კამათი.

მეორე სხდომა

მეორე სხდომაზე, 8 მაისს საღამოს, განხილული და დამტკიცებული იქნა „ზაკსოიუზის“ ბალანსი 1928 წლის 1 ოქტომბრისათვის. 1827—28 წლის ბალანსი უდრის 16.610.114 მანეთს 37 კაპეიკს, [illegible] მოგება—915.502 მანეთს. წმინდა მოგებიდან [illegible] გადასახადი შეტანილია 110.690 მან. 59 კაპ. დანარჩენი თანხა 804.811 მან. [illegible] შემდეგნაირად: ძირითად კაპიტალში გადარიცხულია—50 პროც., სათადარიგო თანხაში—10 პროც., კულტ-ფონდში—15 პროც., გრძელ ვადიანი კრედიტების ფონდში — 10 პროც., ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდში 10 პროცენტი და ღარიბი მოსახლეობის კოოპერაციაში შესაკავშირებელ ფონდში 5 პროცენტი.

ბალანსის განხილვისა და დამტკიცების შემდეგ მოსმენილი იქნა ამხ. ილინის მოხსენება საცალო ფასების მოძრაობის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში საგრძნობი გახდა საცალო ფასების ზრდა. ფასების ზრდა განსაკუთრებით თვალსაჩინოა სასოფლო მეურნეობის პროდუქტებზე, რაც შესამჩნევად ადიდებს მშრომელი მოსახლეობის ბიუჯეტის გასავლის ნაწილს. საცალო ფასების ზრდა უმთავრესად გამოწვეულია დასამზადებელი ფასების ზრდით. მართალია სამომხმარებლო კოოპერაცია ამცირებს თავის პროცენტულ დანართებს და ზოგიერთ პროდუქტს ყიდის უფრო იაფად, ვიდრე თვითონ იძენს, მაგრამ ეს ზომა მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს ფასების შემცირებაზე. ნაწილობრივი ზრდა ემჩნევა აგრეთვე სამრეწველო საქონლის ფასებსაც. სხვადასხვა სამომხმარებლო საზოგადოებებში შემჩნეულია ფასების განსხვავება ერთსა და იმავე საქონელზე. ამ არანორმალობის აღმოსაფხვრელად მიღებულია სათანადო ზომები.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი.

ა.-ქ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის თათბირი

მე-3 სხდომა

თათბირის მესამე სხდომაზე სწარმოებდა კამათი სას.-სამ. კოოპერაციის სტატმუშაობის ფორმებისა და სტატისტიკური ანგარიშების შესახებ.

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ სტატისტიკური მუშაობა წარმოდგენილი უნდა იქნეს არა როგორც დამოუკიდებელი საქმე, არამედ იგი უნდა შედიოდეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ერთიან გეგმიან მუშაობაში.

აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ თითქმის ყველა სახელმწიფო და სამეურნეო-კოოპერატიული ორგანიზაციები აწარმოებენ სტატისტიკურ აღრიცხვას, მაგრამ ეს საქმე ისე ცუდათ არის დაყენებული ყველგან, რომ ერთისა და იმავე საკითხზე სხვადასხვა ორგანიზაციების სტატისტიკური ცნობები რადიკალურად განსხვავდებიან ერთი მეორისაგან. ეს გარემოება ყოველთვის ღირებულებას უკარგავს ამგვარ სტატისტიკურ მუშაობას და ამ ცნობებზე დაყრდნობით შეუძლებელი ხდება მტკიცე გეგმის გამომუშავება. ამიტომ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სტატმუშაობისთვის მთლიანი და მტკიცე ხასიათის მიცემა. ეს საქმე დიდ შრომასა და დროს მოითხოვს, მაგრამ იგი აუცილებელია და მიღებული უნდა იქნეს ყოველგვარი ღონე ამ საკითხის დროზე მოსაგვარებლად. ამჟამად კი სას.-სამ. კოოპერაციის სტატგანყოფილებამ უნდა აწარმოოს მხოლოდ აუცილებელი სტატისტიკური მუშაობა და ისიც მარტივი ფორმებით. მთელი ეს მუშაობა შეთანხმებული უნდა იქნეს რესპუბლიკანურ სტატსამართველოებთან. საკითხის დასამუშავებლად და რეზოლიუციის შესადგენად გამოყოფილი იქნა კომისია.

კულაკების ბრძოლა სოფლად

რა გამოარკვიეს სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემკეთებელ ბრიგადებმა

გუშინ, საღამოს 6 საათზე, ლენრაიკომის შენობაში ამხ. მეიფარიანის თავმჯდომარეობით შესდგა სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემკეთებელ ბრიგადების მონაწილეთა საანგარიშო კრება. აღნიშნული ბრიგადები საშეფო საზოგადოების მიერ მარტის ბოლო რიცხვებში, გაიგზავნა საშეფო სოფლებში გლეხების სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შესაკეთებლად. მუშაობა ჩატარებული იქნა შემდეგ თემებში:

საგარეჯოს თემი

საგარეჯოს თემში გაგზავნილ ბრიგადის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ჯაფარიძემ. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, ბრიგადას ადგილობრივ მუშაობა დაუწყია 23 მარტიდან. ამ ხნის განმავლობაში ღარიბეს გლეხობისათვის და კოლმეურნეობებისათვის სულ შეუკეთებიათ უფასოთ 66 გუთანი, 1 ტრაქტორი, 279 თოხი, 8 ფარცხი, 3 სათესი მანქანა და სხვ.

ბრიგადამ გარდა ამისა საქსოვი დაზგები შეუკეთა ადგილობრივ ქალთა კოლექტივს.

რუისის თემი

ბრიგადის ხელმძღვანელმა ამხ. გ. სუხიშვილმა კრებას დაწვრილებით გააცნო რუისის თემში მუშაობა და აღნიშნა, რომ ერთი თვის განმავლობაში ბრიგადამ შეაკეთა 102 გუთანი და რამდენიმე სხვადასხვა იარაღი. გარდა ამისა ბრიგადამ ადგილობრივ სკოლას, საავადმყოფოს და აღმასკომს შეუკეთა სკამები, კარ-ფანჯრები, ავეჯები და სხვ.

ქვემო ჭალის თემი

ქვემო-ჭალის თემში ბრიგადა ჩავიდა 21 მარტს. ბრიგადას თემი გაუყვია 3 პუნქტად და მიუხედავათ თემაღმასკომის უყურადღებობისა, მუშაობა ყველგან წარმატებით ჩაუტარებია. ბრიგადას პირველ რიგში შეუკეთებია სამთავისის კომუნის, შემდეგ სხვა კოლმეურნეობათა და ღარიბეს გლეხების იარაღ-მანქანები.

კავთისხევის თემი

ამხ. მირიანაშვილი შეეხო რა ბრიგადის მუშაობას კავთისხევში, განსაკუთრებით შეჩერდა ადგილობრივ ორგანოების საქმიანობაზე.

თანახმად ინსტრუქციისა, ბრიგადა თავის მუშაობის გარდა, ცდილობდა გაეგო გლეხების ჭირვარამი და შეძლებისდაგვარად დახმარებოდა მათ. გლეხები დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამენ საქონლის დაზღვევის საქმის მოუგვარებლობის გამო. ბრიგადამ გამოარკვია, რომ აგენტ გულუაშვილს გლეხებისათვის დაღუპულ საქონლის ასანაზღაურებლად სახ. დაზღვევის სამმართველოდან 8 თვის წინათ მიღებული თანხა დღესაც არ დაურიგებია. ბრიგადამ აგრეთვე გამოარკვია, რომ აღმასკომში შეპარულან კულაკები, ყოფ. თავად-აზნაურები და საბჭოთა ხელისუფლებისათვის უცხო ელემენტები. თვითონ თემაღმასკომის თავმჯდომარე ონოფრეშვილი დიდ მფარველობას უწევს კულაკებს, რის გამოც ისინი ბატონობენ როგორც თემსაბჭოში, ისე კოოპერატივში, გლეხკომში და კოლექტივებში.

ონოფრეშვილის წყალობით ყოფ. თავად-აზნაურები და კულაკები თავისუფლად ფარფაშობენ მთელ თემში და ავიწროვებენ ღარიბეს გლეხებს, რომლებიც შიშით ხმის ამოღებას ვერ ბედავენ.

გომის თემი

ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი გომის თემშიაც. ამხ. გორდაძემ აღნიშნა, რომ გომის თემში არსებულ კოლექტივებში, კერძოდ ზერგულეთის კოლექტივში ბატონობენ უცხო ელემენტები და კულაკები. ამ კოლექტივის თავმჯდომარემ ცერცვაძემ ორი თვის წინად მოკლა კოლექტივის წევრი ღარიბესი გლეხი, იმიტომ, რომ ცერცვაძის სურვილის წინააღმდეგ მან საბჭოს არჩევნების დროს ხმა მისცა სოფლისათვის თავდადებულ მუშაკს. ცერცვაძემ მოკლულის გვამი ფარულად დამარხა და ხმა გაავრცელა, ვითომ იგი უგზოუკვლოდ დაიკარგა. ის იმდენათ გათავხედებული იყო, რომ ბრიგადის იქ ყოფნის დროს სასიკვდილოთ ცემა კოლექტივის მეორე წევრს ფოცხვერაშვილს. ამჟამად ცერცვაძე დაპატიმრებულია.

კრების შემდეგი სხდომა შესდგება დღეს, საღამოს 5 საათზე.

შრომის პირობების გასაუმჯობესებლად

ჭიათურის მაღაროებში

ჭიათურიდან დაბრუნდა შრომის სახალხო კომისარიატის მთავარი ინჟინერი მანევსკი, რომელსაც დავალებული ჰქონდა მოეხდინა შრომის პირობების გამოკვლევა ჭიათურის შავი-ქვის სარეწაოებში.

გამოკვლევის შედეგების შესახებ ინჟ. მანევსკიმ ჩვენს თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

ჭიათურის მაღაროებში შრომის პირობების დაცვის საქმეში ადგილი აქვს მრავალ ტეხნიკურ დეფექტებს, რომლებიც თავის მხრივ უარყოფით გავლენას ახდენენ შრომის ნაყოფიერებაზე.

აღმოჩენილ დეფექტების გამოსასწორებლად გამომუშავებულ იქნა სათანადო ღონისძიებები, რომელთა გატარება დაევალა ჭიათურის მარგანეცის ტრესტს.

აგრეთვე ჩატარებულ იქნა წინასწარი მუშაობა სამრეწველო-საფინანსო ხუთწლიან გეგმის იმ ნაწილის გადასახალისებლად, რომელშიაც გათვალისწინებულია ღონისძიებები შრომის პირობების გასაჯანსაღებლად.

შრომის დაცვის საქმის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად უახლოეს ხუთი წლის განმავლობაში საჭირო იქნება 490.972 მან., იმ პირობით, თუ ამ თანხიდან წელს დაიხარჯება არა ნაკლებ 226.642 მანეთისა. თუ წელს არ იქნა ჩატარებული მთავარი მუშაობა და საბოლოოდ ნორმალურ კალაპოტში არ ჩადგა ჭიათურის მაღაროებში შრომის დაცვის საქმე, შემდეგ წლებში გაწეული ხარჯები ვერ მოგვცემენ სასურველ ეფექტს და ვერც შრომის პირობებს გავაჯანსაღებთ, რაც აუცილებელია შრომის ნაყოფიერების აწევის თვალსაზრისით.

წელს კი ტრესტს განზრახული აქვს შრომის დაცვის საქმეზე დახარჯოს 80.000 მან., ასე რომ ამ თანხით შეუძლებელი იქნება რაიმე სერიოზული შედეგების მიღება.

ამიტომ შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილებამ გადასწყვიტა აღძრას შუამდგომლობა უმაღლეს ორგანოების წინაშე, რათა წელს ჭიათურის მაღაროებში შრომის პირობების გასაუმჯობესებლად 80.000 მანეთის ნაცვლად გადადებული იქნეს 226.642 მანეთი.

სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში

პენსიონერთა რაოდენობა ოზურგეთის მაზრაში

სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში მიღებული ცნობით — ოზურგეთის მაზრაში ამჟამად აყვანილია აღრიცხვაზე და პენსიებს და დახმარებებს იღებს 338 ომის ინვალიდი, 144 შრომის ინვალიდი, 40 ნივთიერად უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი პირი; ომში მოკლულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა 76 ოჯახი და გარდაცვლილ პენსიონერთა 34 ოჯახი.

სოც. უზრუნველყოფის ხარჯები აფხაზეთში

სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში წარმოდგენილ ანგარიშების მიხედვით, მიმდინარე საბიუჯეტო 1928 — 29 წლის პირველ ორ კვარტალში აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ აფხაზეთში ინვალიდების პენსიებით და დახმარებებით დაკმაყოფილების საქმეზე დახარჯა — 11.404 მანეთი და 17 კაპეიკი.

დღეს, 9 მაისს, მელითონეთა კლუბში (პლეხანოვის პროსპექტი № 128) საშეფო საზოგადოების თბილისის საბჭო აწყობს

თბილისის მუშების და ამიერ-კავკასიის საბჭოთა მეხუთე ყრილობის დელეგატების დაკავშირების საღამოს

საღამო დაიწყება 8 საათზე. მუშები ბილეთებს მიიღებენ საშეფო საზოგადოების რაიონულ საბჭოებში.

დღეს, 9 მაისს, საღამოს 6 საათზე სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბში (შესავალი რუსთაველის თეატრის ეზოდან) შესდგება **ყველა იმ მომხსენებელთა საინსტრუქციო თათბირი, რომელნიც გამოყოფილნი არიან ახალი საბინაო ტარიფის პროექტის შესამუშავებლად.**

სავალდებულოა დასწრება ყველა მომხსენებლისა ამ საკითხზე.

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი.

„საქართველოს მუშ-გლეხკორი“

მუშ-გლეხკორების ორკვირეული ჟურნალი

თანახმად საქართველოს მუშ-გლეხკორთა პირველი თათბირის დადგენილებისა, მზადდება და ამ დღეებში გამოვა ჟურნალი

„საქართველოს მუშ-გლეხკორი“

გამომცემელნი: „კომუნისტი“-ს, „მუშა“-ს, „ახალი სოფელი“-ს, „რაბოჩაია პრავდა“-ს, „ახალგაზრდა კომუნისტი“-ს, „წითელ არმიელი“-ს, „მოჯამაგირის ხმა“-ს, „პროლეტარი“-ს, (სომხურ ენაზე) და „ენი ქენდი“-ს (თურქულ ენაზე) რედაქციები.

მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისი, კამოს ქ. № 68, „კომუნისტი“-ს რედაქცია, ჟურნალ „საქართველოს მუშ-გლეხკორი“-სათვის.

ჟურნალის თითო ნომერი ღირება 10 კაპ.

ადგილობრივ კედლის გაზეთების რედკოლეგიებს, რომლებიც იკისრებენ ჟურნალის გავრცელებას, ვთხოვთ შეგვატყობინონ, სად, ვის და რამდენი ეკზემპლიარი გაუგზავნოთ.

ქრონიკა

მიღების დრო ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისარიატში

საქ. კომპარტიის (ბ) ა.-კ. საოლქო საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე და ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი ამხ. ა. ნაზარეტიანი მთხოვნელებს ღებულობს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარის მოადგილე ამხ. ი. ვარძიელი ღებულობს—ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით იმავე საათებში (12-დან 2-დან).

ყოველდღე საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე, კომისარიატის შენობაში (რუსთაველის პრ. 24, მე-2 სართული) შემოღებულია ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრების, საქ. კომპარტიის (ბ) ა.-კ. საოლქო საკონტროლო კომისიის და საჩივართა ბიუროს წევრთა მორიგეობა.

კვირა-უქმე და დასასვენებელ დღეებში შემოღებულია მორიგეობა დილის 10-დან 12 საათამდე.

სტუდენტთა კვირეული

საქ. ცაკის პრეზიდიუმმა ნება დართო პროლეტარულ სტუდენტთა ბიუროს 17—23 მაისამდე მთელ საქართველოში ჩაატაროს პროლეტარულ სტუდენტთა დახმარების კვირეული.

კურორტების მომარაგება

ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს ცნობით, საქართველოს კურორტების მომარაგება ზაფხულის განმავლობაში დავალებული აქვს ცეკავშირს. კურორტების უზრუნველყოფის მიზნით ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულმა გამოყო 13 ვაგონი შაქარი. რწმუნებულის სამმართველო შეუდგა კურორტებისათვის პურის წიგნაკების სისტემის შემუშავებას. კურორტზე მიმავალ მუშა - მოსამსახურეს აქედან მიეცემა მოწმობა, ხოლო პურის წიგნაკი დარჩება ოჯახს, კურორტზე კი მუშა - მოსამსახურე პურს მიიღებს ამ მოწმობით.

მოგების განაღდება

7 და 8 მაისს სახელმწიფო ბანკის ამიერ-კავკასიის საოლქო კანტორაში კოლექტიურ ხელისმომწერლების მიერ წარდგენილი იქნა 800 მეტი ტალონი, რომლებმაც მოიგეს ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მეორე ტირაჟში.

მოგების გაცემა თბილისში დაიწყება ამ დღეებში.

ცხენები მებამბეობის რაიონებისათვის

„სოფლის კავშირმა" საქართველოს მებამბეობის რაიონებისათვის (ყარაია და ბორჩალოს მაზრა) ჩრდილოეთ კავკასიაში შეიძინა და მებამბე გლეხებს გაუნაწილა 95 ცხენი. თვითეული ცხენი დაჯდა საშუალოთ 230-240 მანეთი.

მეფუტკრეობის განსავითარებლად

„სოფლის კავშირმა" დაამზადა 1000 ჩარჩოიანი სკა, რომლისთვისაც ხელოვნურ ფიჭას ამზადებს მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი.

სკა და ფიჭა ამ დღეებში დაეგზავნება საკრედიტო ამხანაგობებს გლეხებისათვის ნისიათ დასარიგებლად.

ფეიქართა კლუბი ოზურგეთში

საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ გადასწყვიტა ოზურგეთში აგოს ფეიქართა კლუბი.

კულტგანყოფილებამ კლუბის პროექტის შესადგენად გამოაცხადა კონკურსი. საუკეთესო პროექტების ავტორს ჯილდოთ მიეცემა 500 და 300 მანეთი.

თბილისის აღმასკომში

◆ **საბინაო მშენებლობისათვის** თბ. აღმასკომმა სესხად მიიღო 400.000 მ.

◆ **ლომბარდი** განთავისუფლებული იქნა საშემოსავლო გადასახადისაგან, იმ მიზნით, რომ მშრომელ მოსახლეობას ნივთების დაგირავების დროს მიეცეს შეღავათი.

◆ **ქუჩების შესაკეთებლად და გარეუბნებში** ახალი ქუჩების გასაყვანად გადადებულია 90.000 მანეთი.

სხვადასხვა

◆ **ა.-კავკასიაში სამთომადნო** მრეწველობის დარგში საცდელ-გამოკვლევითი მუშაობის ჩასატარებლად წელს დაიხარჯება 110.000 მან.

◆ **რემედასის სამაზრო კონფერენცია.** რემედასის ზუგდიდის სამაზრო კონფერენცია მოწვეულია ქ. ზუგდიდში 11 მაისისათვის.

◆ **სამეცნიერო კონფერენცია.** 10 მაისს, საღ. 8 საათზე, ვენეროლოგიისა და დერმატოლოგიის ინსტიტუტის აუდიტორიაში შესდგება სამეცნიერო კონფერენციის სხდომა.

◆ **კლუბის პროექტების გამოფენა.** შაბათს 11 და კვირას 12 მაისს პროფსაბჭოს დიდი დარბაზის ფოიეში გამოფენილი იქნება ოზურგეთის ფეიქართა კლუბის პროექტები, რომლებიც საუკეთესოდ იქნა ცნობილი ჟიურის მიერ.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** აშხაბადიდან—რობაქიძეს, ლაბინსკიდან — პორამლიძეს, ბათომიდან—სონიას, კოკანდიდან — კალანდაძეს, მესტიიდან—ჟ. გელოვანს და ონიდან — ერაძეს.

საექსტერნო გამოცდები

მშრომელ ახალგაზრდობის ნაწილი ან სრულიად ვერ ახერხებს საშუალო სასწავლებელში შესვლას ან ხშირად იძულებული ხდება ოჯახური პირობების და სხვა მიზეზების გამო შეწყვიტოს მეცადინეობა.

რათა ასეთებს საშუალება მიეცეთ მიიღონ საშუალო სასწავლებლის კურსის მოწმობა, განათლების კომისარიატმა საჭიროდ სცნო საექსტერნო გამოცდების შემოღება.

საექსტერნო გამოცდები წელს იწარმოებს გამონაკლისის სახით.

განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილებით, იმ პირთა გამოსაცდელათ რომელთაც სურთ მიიღონ საშუალო სასწავლებლის კურსის ცოდნის მოწმობა, განათლების სახ. კომისარიატთან არსდება სპეციალური საგამოცდო კომისია.

გამოცდებზე დაშვებულნი იქნებიან მხოლოდ მუშები, წითელ-არმიელები, საბჭოთა მოსამსახურეები, ღარიბესი გლეხები და მათი შვილები არა ნაკლებ 18 წლისა.

გამოცდების ჩაბარების მსურველმა საგამოცდო კომისიის სახელზე უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: 1) წლოვანების მოწმობა, 2) განათლების მოწმობა, 3) მოწმობა სოციალური მდგომარეობის შესახებ, 4) მოკლე ავტობიოგრაფია, 5) 2 ფოტოგრაფიული სურათი, და 10 მანეთი გამოცდისათვის. განცხადება აღნიშნულ საბუთებით წარდგენილი უნდა იქნეს მესამე საცდელ-საჩვენებელი შრომის სკოლის კანცელარიაში (კამოს ქ. № 59).

განცხადებების მიღება იწარმოებს 10—30 მაისამდე, ხოლო გამოცდები—2 ივნისიდან 10 ივნისამდე.

გამოცდებზე დაშვებული იქნებიან მხოლოდ ის პირნი, რომლებიც წარმოადგენენ შრომის სკოლის მე-2 საფეხურის პირველი კონცენტრის (7 წლედის) დამთავრების მოწმობას, ან რომელთაც ექნებათ ამის მაგიერი შესაფერი მოწმობა.

გამოცდები უნდა ჩააბარონ 9 წლედის (მე-8 და მე-9 ჯგუფების) პროგრამების მიხედვით შემდეგ საგნებში: 1) ქართულში (წერითი და ზეპირი), 2) რუსულში (წერითი და ზეპირი), 3) მათემატიკაში (წერითი და ზეპირი), 4) საზოგადოებათ მეცნიერებაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში, ფიზიკურსა და ეკონომიურ გეოგრაფიაში.

იმ პირებმა, რომლებიც ვერ წარმოადგენენ 7 წლედის დამთავრების მოწმობას, გამოცდები უნდა ჩააბარონ მე-5 ჯგუფიდან მე-9 ჯგუფის პროგრამების ფარგლებში.

სასამართლო

პურის გაფუჭებისათვის

თბილისის მაზრა - ქალაქის სასამართლომ ამხ. ბურკაძის თავმჯდომარეობით გაასამართლა მუშკოოპის № 335 პურის საცხობის გამგე ალფეს მოსეს ძე მოშაძე.

აღნიშნულ საცხობიდან შეძენილ პურში მუშებმა აღმოაჩინეს კანაფი.

პურის საცხობის გამგეს თავისი მოვალეობის დაუდევრად შესრულებისათვის მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 თვით.

ღირსეული სასჯელი გოროტ - გამფლანგველს

ნესტორ სიმონის ძე ხოშტარია მანგლისის კოოპერატივის „გმირია", რომელიც ჩვენ ამას წინად გავაცანით მკითხველებს.

ხოშტარიამ სულ 6 თვე დაჰყო მანგლისის ერთიან სამომხმარებლო საზოგადოების გამგეობის წევრად და ამ ხნის განმავლობაში 4700 მანეთის გაფლანგვა მოასწრო.

თბილისის მაზრა - ქალაქის სასამართლომ ამხ. რ. კალანდაძის თავმჯდომარეობით **ხოშტარიას მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით სასტიკი იზოლიაციით და სამოქალაქო უფლებების აყრა 5 წლის ვადით.**

უზენაეს სასამართლოს სესიები

გუშინ თბილისიდან გაემგზავრა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ორი სესია: ერთი — ქ. ფოთში ამხ. **ტალახაძის** თავმჯდომარეობით, მეორე — ს. ტირძნისში (გორის მაზრა) ამხ. **ბერბერაშვილის** თავმჯდომარეობით.

ფოთში უზენაეს სასამართლოს სესია გაასამართლებს ადგილობრივ დამზღვევ სალაროს ირგვლივ შემოკრებილ ბოროტგამფლანგველთა და ყალბი საბუთების მკეთებელთა ფარულ ორგანიზაციის წევრებს დუნდუას, წულაიას და სხვებს.

სოფელ ტირძნისში გასამართლებული იქნება შავრაზმელი, ყოფილი მემამულე **სულხანიშვილი**, რომელმაც 1905 წლის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ შური იძია ადგილობრივ გლეხებზე, მიუსია მათ ყაზახებს რაზმი, რომელსაც თვითონ მეთაურობდა და გაულიტა უიარაღო გლეხები.

ამ დღეებში უზენაეს სასამართლოს სესია მიემგზავრება აგრეთვე კახეთის მაზრაში. სესიას თავმჯდომარეობს ამხ. **ლაშხი**.

სესია ადგილობრივ გაასამართლებს **კოტე მართაშვილს**, რომლის „საქმენი საგმირონი" ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში იყო აღწერილი.

გერ.

ხელოვნება

თეატრალური მუშაობა პროფკავშირებში

თვითმოქმედ თეატრალურ მუშაობის დარგში საქართველოს პროფკავშირებს დიდი მიღწევები აქვთ. კლუბების და კავშირების დრამატიული წრეები ერთი წლის განმავლობაში იმდენად გაიზარდნენ, რომ ზოგიერთი მათი დადგმები ბევრით არ ჩამოუვარდება პროფესიონალურ თეატრების წარმოდგენებს. წრეების მიერ დადგმული იყო ისეთი პიესები, როგორიც არის „ლიანდაგი გუგუნებს", „იღრიალე ჩინეთო", „როვავა", „ბორა", „კონსტანტინე ტერიოხინი" და სხვები.

დრამატიული წრეების მუშაობის გაუმჯობესებას დიდათ შეუწყვეს ხელი ახალგაზრდა ნიჭიერმა რეჟისორებმა, რომლებმაც სტუდია დაამთავრეს მოსკოვში და პროფკავშირებში გადავიდნენ სამუშაოდ. მიღებულია ზომები ქართული თანამედროვე რეპერტუარის შესაქმნელად, რომელიც აქამდი თითქმის სრულებით არ იყო. შექმნილია 7 ორიგინალური და ნათარგმნი პიესა.

ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილებასთან დაარსებულია თვითმოქმედი თეატრი, რომლის მუშაობა მომავალში სანიმუშოდ გახდება დრამატიული წრეებისათვის, რომლებიც ამ თეატრის საუკეთესო ცდებს და გამოცდილებას გადაიტანენ კლუბებში. თეატრმა ჯერჯერობით დადგა ორი პიესა.

აქამდი მოგვარებული არ არის წრეების ხელმძღვანელების საკითხი. ზოგიერთ წითელ კუთხეების და წარმოებების წრეებში აქამდი ადგილი აქვს ხალტურას, რაც აიხსნება კვალიფიციური ხელმძღვანელების უყოლობით, რეპერტუარის უქონლობით და სხვა ტეხნიკური პირობებით. უმეტეს შემთხვევაში კლუბების და წითელ კუთხეების სცენა მოუწყობელია — არ არის განათების მოწყობილობა, დეკორაციები და სხვა. ქართულ და სომხურ წრეებში მუშაობის ერთერთი ძირითადი შემაფერხებელი გარემოებაა ქალების უყოლობა.

ამჟამად საქართველოს პროფკავშირებს აქვთ 236 დრამატიული წრე, რომლებშიაც მუშაობს 3.965 კაცი. დრამატიული წრეების მუშაობის გეგმიან კალაპოტში ჩაყენების მიზნით, წელს გადადგმულია პირველი ნაბიჯი წრეების წინასწარი საწარმოო გეგმების შესადგენად.

საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებასთან დაარსებულია სამხატვრო საბჭო, რომელსაც აქვს თეატრალური სექცია; მიმდინარე თეატრალური მუშაობის ყველა საკითხები მუშავდება ამ სექციაში.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **კონცერტის გადადება.** ქართული მუსიკის საღამო, რომელიც დანიშნული იყო 8 მაისისათვის რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში, გადატანილია 15 მაისისთვის. შეძენილი ბილეთები გამოდგება.

◆ **საზაფხულო სეზონი მუშათა კლუბებში.** შაბათს, 11 მაისს, იხსნება საზაფხულო სეზონი მუშათა ახალ კლუბში, ტრამვაელთა და მეტყავეთა კლუბებში.

◆ **„როგორ" მეტყავეთა კლუბში.** შაბათს, 11 მაისს, ქუთაისის—ბათომის სახ. დრამის მიერ მეტყავეთა კლუბში წარმოდგენილი იქნება კ. კალაძის რევოლიუციონური პიესა „როგორ".

ფიზკულტურა და სპორტი

ინსტრუქტორთა გადასამზადებელი კურსების გახსნა

11 მაისს, საღამოს 5 საათზე, პროფსაბჭოს მცირე დარბაზში მოხდება ფიზკულტურის ინსტრუქტორთა გადასამზადებელი კურსების ოფიციალური გახსნა. მეცადინეობა კურსებზე დაიწყება 13 მაისს დილის 7 საათიდან.

კურსების მიზანია მოამზადოს ინსტრუქტორები პროვინციისათვის და გადაამზადოს ის ინსტრუქტორები, რომელთაც არ აქვთ სათანადო ცოდნა.

კურსებზე მეცადინეობა იწარმოებს დილის 7 საათიდან 12-მდი და საღამოს 5—8. დილის მეცადინეობა იწარმოებს ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში და სტადიონზე, საღამოს კი—მუშათა სასახლეში.

ერთდაიმავე დროს კურსანტი გაივლის ორ პროგრამას. თუ ორივეს დაასრულებს, მიიღებს ფიზკულტურის წრის წურთნელის სახელწოდებას. თუ ივლის მხოლოდ საღამოს მეცადინეობაზე—მიიღებს მასიურ მოქმედების ხელმძღვანელის წოდებას (ექსკურსიები, საკლუბო თამაშობანი, საკონსულტაციო მუშაობა, მასიური გართობა და სხვა).

კურსები გაგრძელდება 2 თვეს. კურსებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად პროფსაბჭოს პრეზიდიუმის მიერ გამოყოფილია კომისია, რომელშიაც შედიან კულტგანყოფილების წარმომადგენელი, კურსების გამგე, ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს, კურსანტების და ლექტორების წარმომადგენლები.

ლექტორებად მოწვეულნი არიან ამხ. **ქშონძერი** (კულტგანყოფილებიდან), **გიორგაძე** (ტურისტული საზ-ბა), ექ. **მღებრიშვილი** (ფიზკულტურის უმაღლესი საბჭო), **ეგნატაშვილი, ჩიკვაიძე, ცეცხლაძე** (სახ. უნივერსიტეტიდან), **ვერულაშვილი** (სამხედრო უწყებიდან) და სხვები.

კურსებზე მიღებული იქნება სულ 50-დე კაცი. განცხადებების მიღების ვადა გაგრძელებულია მაისამდე.

ფ.-კ. წრეების ბიუროების სხდომა

11 მაისს, საღამოს 5 საათზე, მუშათა სასახლის მცირე დარბაზში შესდგება ფიზკულტურის წრეების ბიუროების მესამე სხდომა. დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: ფიზკულტურის ინსტრუქტორების გადასამზადებელი კურსების გახსნა, ამხ. **ბარქაიას** მოხსენება რუსეთის ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს პლენუმის შედეგების შესახებ და გ. **მერკვილაძის** მოხსენება პროფკავშირთა ფიზკულტურის საკავშირო თათბირის შესახებ.

გოროტმოქმედება

გორელოვს სას.-სამ. ამხ-ბაში

„სოფლის კავშირმა" და საქართველოს სას.-სამ. ბანკმა რამდენიმე დღის წინეთ დაამთავრეს გორელოვს (ახალქალაქის მაზრა) სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის საქმიანობის გამოკვლევა და აღმოაჩინეს, რომ ხსენებული ამხანაგობის გამგეობა სისტემატიურად ფლანგავდა ამხანაგობის ფულსა და ქონებას: მაგ. გამგეობამ საქართველოს სასოფლო - სამეურნეო ბანკიდან მიიღო სესხი 523 მანეთი. ამ თანხიდან ამხანაგობის სალაროში შეიტანეს მხოლოდ 300 მანეთი, ხოლო დანარჩენი თანხა მიითვისეს და გაფლანგეს. მეზობელ საკრედიტო ამხანაგობისაგან გამგეობამ მიიღო 230 მანეთის საქონელი; ეს საქონელი გამგეობამ გაყიდა და ფული მიითვისა.

საკრედიტო ამხანაგობას მოწყობილი ჰქონდა საკუთარი სამჭედლო; გამგეობამ ამ სამჭედლოში დამზადებული სხვადასხვა საქონელი გაათამაშა ლატარიაში და აღებული ფული მთლიანად მიითვისა. ამრიგად, გამგეობას გაფლანგული აღმოაჩნდა ნაღდი ფული 1940 მანეთი და სამჭედლოს მთელი შემოსავალი, რომელიც უდრიდა 2.068 მანეთს. რევიზიის დამთავრებისთანავე საქმე გადაეცა პროკურატურას. გამგეობის წევრები დაპატიმრებული არიან.

შემთხვევები

6100 მან. მოპარვა

7 მაისს სახელმწიფო ბანკში გრიგოლ ალექსანდრეს ძე გეგეჭკორს მოპარეს 6100 მანეთი სახაზინო ფული.

ქურდობა

7 მაისს გაქურდეს კოოპერატიულ არტელის „იმერი"-ს არაყის საწყობი (გოგოლის ქ. № 77);—სოფიო შელაშვილის ბინიდან (კრამიტის ქ. 11) მოიპარეს 150 მ. ნივთები.—იმავე სახლში გაქურდეს მარიამ ცხვედიანის სამზარეულო;—გაქურდეს გიორგი რიაზანცევის ბინა (კლ. ცეტკინის ქ. № 90);გაქურდეს სამხედრო გზაზე მდებარე მუშკოოპის მაღაზია № 49;—წაღებულ საქონლის ღირებულება გამოურკვეველია;— ალექსი კანიელს ტრამვაის ვაგონში ამოაცალეს ოქროს საათი.

რკინის გზეზე

გამოწვევა სოციალისტურ შეჯიბრებაში

ამ.-კავკასიის რკინის გზის გამგეობის საანგარიშო - საფინანსო განყოფილებამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზის საანგარიშო განყოფილება.

შეჯიბრების თემაა გზის 1929-30 წლის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა და წარდგენა ცენტრში ათი დღით ადრე, ვინემ ეს დაწესებულია გზათა კომისარიატის მიერ.

მატარებლების მოძრაობის საზაფხულო ცხრილი

15 მაისიდან ა.-კ. რკინის გზაზე შემოღებული იქნება სახალხო მატარებლების მოძრაობის ახალი ცხრილი.

ლიბანის სანატორიუმში

ლიბანის სანატორიუმში ავადმყოფების გაგზავნა იწყება 16 მაისიდან.

სანატორიუმში იმუშავებს ყველა 150 საწოლი.

ზვავი

ძლიერმა წვიმამ კალაგერან - სანაინის გადასარბენზე წალეკა რკინის გზის ხაზი. ამას გარდა ლიანდაგზე ჩამოწვა 10 კუბიკური მეტრის მოცულობის მიწის ზვავი.

ხაზი დაკეტილი იყო 5 საათის განმავლობაში.

გზის გასაწმენდათ გამოიწვიეს ხაზის შემკეთებელი მუშები.

რადიო-გადაცემა

ხუთშაბათი, 9 მაისი

საღ. 5 საათიდან დაიწყება ა.-კ. საბჭოთა ყრილობის სხდომის ტრანსლიაცია. გადაცემული იქნება ამხ. გუსეინოვის მოხსენება ა.-კ. სასოფლო მეურნეობის განვითარების შესახებ.

პარასკევი, 10 მაისი

თბილისის რადიო-გადამცემი სექტორი, 4 კილოვატიანი რადიო-სადგურის საშუალებით გადასცემს შემდეგ პროგრამას:

საღამოს 5 საათიდან—პიონერისა და მოსწავლის საათი სომხურ ენაზე; რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; გაზ. „ენი კენდი" რადიოთი, თურქულ ენაზე; საუბარი სანიტარიისა და ჰიგიენის შესახებ, ქართულ ენაზე; დროს შემოწმება და ამინდის ბიულეტენი; კომკავშირელების რადიო გაზეთი, რუსულ ენაზე; რადიოს მეგობართა საათი (ტეხნიკური კონსულტაცია); კონცერტი ისტორიული ციკლიდან: მოცარტი; უკანასკნელი ამბები ქართულ და რუსულ ენაზე; მორზეს ანბანი, ქართულ ენაზე.

ჭადრაკი

მაესტრო ნენაროკოვის და საროკინის შეჯიბრება

სამშაბათს, 7 მაისს, ცენტრალ. საჭადრაკო კლუბში დაიწყო საროკინის და მაესტრო ნენაროკოვის საკვალიფიკაციო შეჯიბრება (მაესტროს სახელწოდებაზე). შეჯიბრება განსაზღვრულია 10 პარტიით. კენჭის ყრით პირველ პარტიაში საროკინს წილად ჰხვდა თამაში თეთრებით, რომლის საწინააღმდეგოდ ლაზიერის პაიკთა დებიუტში ნენაროკოვმა ორტოდოქსალური დაცვა აირჩია, რაზედაც საროკინმა ლაზიერის პაიკთა დებიუტის გაცვლითი ვარიანტით უპასუხა. დებიუტით მდგომარეობა ორივემ რამოდენიმედ თანასწორი მიიღო. შემდეგში მაესტრომ რამოდენიმე აქტიურ სვლით, რაზედაც საროკინმა შედარებით პასიურ სვლებით უპასუხა, ხელთ იგდო ინიციატივა, რომელიც პარტიის ბოლომდე ხელიდან არ გაუშვია; მან მძლავრი იერიში მიიტანა საროკინის მეფეზე. აქ საროკინმა შესძლო მსუბუქი ფიგურების გაცვლით მეფისაგან პირდაპირი საშიშროება აეცილებია, მაგრამ ამით მან მაინც ვერ შესძლო ინიციატივის ჩაგდება ხელში. ნენაროკოვმა მეფის ფრთის პაიკების მიწევით გაარღვია საროკინის მეფის ფრთა და დაემუქრა საროკინს. უკანასკნელს შესაძლებლობა ეძლეოდა დარჩენილ ფიგურების გაცვლით თამაში თავისთვის რამოდენიმედ სუსტ ენდშპილში გადაეყვანა, მან ეს არ მოისურვა, გააკეთა სუსტი სვლა, რის შემდეგ პარტია უნდა წაეგო, ამ დროს ნენაროკოვმა შეცდომა გააკეთა (სვლა მეფით), რის შემდეგ პარტია უნდა ყაიმით დამთავრებულიყო, მაგრამ მან განაგრძო თამაში მოგებაზე, თვითონ ჩავარდა საშამათო არეში და რამდენიმე სვლის შემდეგ უნდა დანებებულიყო. მაგრამ საროკინმა სწორედ ამ დროს წინადადება მისცა ნენაროკოვს დასთანხმებულიყო ყაიმზე, რაზედაც უკანასკნელი დასთანხმდა.

ვ. გოგლიძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

„ნარკოტიულ ნივთიერებათა წარმ.ებისა და ვაჭრობის მოწესრიგებისათვის" გამოცემული ა.კ. სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ნოემბრის 10-ს დადგენილების შეფარდების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

„ნარკოტიულ ნივთიერებათა წარმოება-ვაჭრობის მოწესრიგებისათვის" გამოცემული ა.-კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ნოემბრის 10-ს დადგენილების მე-7 მუხ. შესასრულებლად (ა.-კფსრ კან. კრ. 1928 წ. 21 №-რი მუხ. 244) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს: დამტკიცებულ და სამოქმედოთ შემოღებულ იქნეს შემდეგ ინსტრუქცია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
გ. მგალობლიშვილი.
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
ვ. მეგრელიშვილი.

1929 წ. აპრილის 2
თბილისი—სასახლე.

ინსტრუქცია

„ნარკოტიულ ნივთიერებათა წარმოება-ვაჭრობის მოწესრიგებისათვის" გამოცემული ა.-კ. სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ნოემბრის 10-ს დადგენილების შესაფარდებლად (ა.-კსფსრ კან. კრ. 1928 წ. 21 №-რი, მუხ. 244).

1. წარმოებით საწარმოსა, სააფთიაქო საწყობსა, მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის საბეითლო საწყობსა და მის ფილიალებში ნარკოტიული პრეპარატები უნდა ინახებოდეს მხოლოდ ისეთ კარადებში, სადაც დაცულია ძლიერად მომქმედი ნივთიერებანი, ფარმაკოპეის პირობების შესაფერისად.

2. წარმოებითი საწარმო, სააფთიაქო საწყობი, აფთიაქი და საბეითლო საწყობი ვალდებულ არიან აწარმოონ შემოსული და გასული ნარკოტიული პრეპარატების საგნობრივ-ამორჩევითი აღნუსხვა.

3. საზღვარგარეთიდან შემოტანილი ნარკოტიული პრეპარატები მიეცემა ადრესატებს საბაჟოდან მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ისინი, სხვა სათანადო დოკუმენტებთან ერთად, წარუდგენენ საბაჟოს, აგრეთვე ჯანსახკომის ნებართვას.

4. ნარკოტიული პრეპარატი, როგორც თავისთავად, ისე სხვა მედიკამენტებთან შერეული, გაიცემა აფთიაქიდან ექიმის რეცეპტით, რომელზედაც ექიმს უნდა ეწეროს ხელი და დასმული უნდა იყოს ექიმის პირადი ბეჭედი ან იმ დაწესებულების ბეჭედი, სადაც ეს ექიმი მუშაობს.

5. სამკურნალო დაწესებულების აფთიაქიდან, ამ დაწესებულებაში მომუშავე ექიმების რეცეპტით ისეთი წამლის გაცემისათვის, რომელიც ნარკოტიულ ნივთიერებას შეიცავს, ბეჭედი საჭირო არ არის.

6. ექიმის რეცეპტს, რომლითაც ნარკოტიული პრეპარატია გამოწერილი, ძალა აქვს შვიდი დღე და ღამის განმავლობაში მისი გამოწერის დღიდან.

7. ნარკოტიული პრეპარატის განმეორებით გაცემის დროს რეცეპტი ხელმეორედ შემოწმებულ უნდა იქნეს ექიმის მიერ ამა ინსტრუქციის მე-10 და მე-11 მუხლებში გათვალისწინებული წესის დაცვით.

8. ექიმის თვითეული რეცეპტით აფთიაქებიდან შეიძლება გაიცეს როგორც მაქსიმუმი: ოპიუმი ნახევარი გრამი (0,5) მორფინი, ღეროინი, დიონინი, პანტოპინი და კოკაინი სამადეციგრამი (0,3), ბეითალის რეცეპტით კი—პირუტყვების საექიმოდ—ოპიუმი ათი გრამი (10,0) მორფინი, ღეროინი, დიონინი, პანტოპინი და კოკაინი ერთ გრამამდე (1,0).

9. სამკურნალო დაწესებულებას და მის განყოფილებას ნარკოტიული პრეპარატები აფთიაქებიდან მიეცემა ისეთი რაოდენობით, რაც მას სჭირდება, დაწესებულების მთავარი ექიმის მიერ შემოწმებული და ამავე დაწესებულების ბეჭედ დასმული მოთხოვნით.

10. ზედამხედველობა იმისათვის, რომ ამა ინსტრუქციით გათვალისწინებული წესი ნარკოტიული პრეპარატ. წარმოებისა, მიღებისა, შენახვისა, გაცემისა და აღნუსხვისა სისწორით იქნეს აღსრულებული წარმოებით საწარმოში, სააფთიაქო საწყობში, აფთიაქში, მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის საბეითლო საწყობისა და მის ფილიალებში, სამკურნალო და საბეითლო დაწესებულებაში, დაეკისრება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, მის ადგილობრივ ორგანოებს და მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის საბეითლო სამმართველოს—კუთვნილებისამებრ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 9 მაისს, დღის 10 საათზე, საქ. კომპარტიის (ბ) ცკას აგიტპროპ-ბეჭდვითი განყოფილებაში მოწვეულია თათბირი, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები:

კანდელაკი (განათლების სახ. კომისარიატი), ტოროშელიძე (სახელმწ. უნივერსიტეტი), სალუქვაძე (სახ. უნივერსიტეტი), ჩანკვეტაძე (პოლიტეხნიკ. ინსტიტუტი), მიქაძე (პროფსაბჭო), გეგენავა (პროლეტარული სტუდენტობა), ასრიბეკოვი (თბილისის კომიტეტი) და ბუჯიაშვილი (ს. ა. ლ. კ. კ. ცკა)..

სახელმწიფო უნივერსიტეტის ა. ლ. კ. კ. გაერთიანებულ უჯრედთა ბიურო-კოლექტივი წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდნენ ქალაქის რაიკომში დღეს, 9 მაისს, საღამოს 5 საათზე საკონფლიქტო კომისიის სხდომაზე: მხეიძე, მარგოშვილი, ბრინი, ულენტი, ჭრელაშვილი, კარანაძე, ბარამიძე და ბენდიაშვილი.

ს. ა. ლ. კ. კ. ცკას საკონფლიქტო კომისია აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 9 მაისს, საღამოს სრულ 6 საათზე ცკას შენობაში (რუსთაველს პრ. 20) შესდგება საკონფლიქტო კომისიის სხდომა, რომელსაც უნდა დაესწრონ საკონფლიქტო კომისიის ყველა წევრები და წარმოებებში მომუშავეები.

გამოცხადება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს, დღის სრულ 12 საათზე მოწვეულია საორგანიზაციო თათბირი, რომელსაც უნდა დაესწრონ უჯრედების პასუხისმგებელი და ტეხნიკური მდივნები. თათბირზე სავალდებულოა აგრეთვე შემდეგ ამხანაგების გამოცხადება:

ტ. აბაშიძე, მ. მაღლაკელიძე, ერ. ენუქიძე, ტ. აფაქიძე, ხ. გუნია, მარ. დგებუაძე, თ. გეგელია, ლ. ჯაში, მ. ჭეიშვილი, ი. გრიგოლია, დ. თავდიშვილი, ზაქარიაძე, ნ. მურღულია, რ. არუთინოვი, ალ. ყუფარაძე, ლიუდ. სტურუა, ს. ნარიკაშვილი, ის. ჯანუაშვილი, ლიუბა სტურუა, გრ. კუჭუხიძე, ლ. ქაჯაია, თ. ჯახუა და შ. ასათიანი.

თათბირზე დასწრება შეუძლიანთ სხვა დაინტერესებულ ამხანაგებსაც.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს, 9 მაისს, საღამოს 7 საათზე შესდგება პოლიტწრეების მეცადინეობა.

პარტიის წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტის მე-3 და მე-4 კურსის (მე-4 უჯრედი) ბიუროს სხდომა შესდგება დღეს, საღ. 5 საათზე.

ბიუროს წევრებისა და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

ნარევი

იშვიათი ნაყოფიერება

მეკლენბურგში (გერმანია) ერთმა ქალმა მეოთხეჯერ შვა ერთბაშად ოთხი ბავშვი. ექვსი წელიწადია, რაც ეს ქალი ქმარს გაჰყვა და უკვე 18 ბავშვი ჰყავს. გერმანიის თითქმის ყველა გაზეთებმა აღნიშნეს ეს ამბავი, მაგრამ იგი არ შეადგენს გამონაკლისს. კიდევ უფრო საინტერესო ცნობა მოჰყავს „ვენის საექიმო გაზეთს". ლაპარაკია ქალზე, რომელმაც 27-ჯერ შვა სამოცდა ცხრა ბავშვი: 4-ჯერ—ოთხ-ოთხი, 7-ჯერ—სამ-სამი და 16-ჯერ—ორ-ორი. ერთხელ მრავალი ბავშვის შობის რეკორდი აიღო გამელინის ქალმა (განოვერში, გერმანია), რომელმაც ერთბაშად შვა 7 ბავშვი. ეს იმდენად იშვიათი შემთხვევაა, რომ სახლზე, სადაც ეს შემთხვევა მოხდა, მიკრულია სპეციალური დაფა.

ყველაზე მრავალრიცხოვანად შვილიანში ჩაითვლება ერთი ამერიკელი ფერმერის ოჯახი. ამ ფერმერს ჰყავს (ერთი ცოლისაგან) 44 ბავშვი. მის ხუთ ქალიშვილს ჰყავს ოც-ოცი ბავშვი.

უვიცობის რეკორდი

„ჟურნალისტი"-ს № 7 მოთავსებულია შემდეგი ცნობა: „გაზ. „ნოიე-ციურიხერ ცეიტუნგში" (შვეიცარიაში გამოდის) კინოს განყოფილებაში ამ რამდენიმე ხნის წინად მოთავსებული იყო სენსაციური ცნობა, რომ შვეიცარიის ერთი კომპანია ნიკოლოზ ვასილის ძე გოგოლთან მოლაპარაკებას აწარმოებს ყველა მისი რომანებისა და პიესების დადგმის მონოპოლიური უფლების მისაღებათ". (როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან—გოგოლი წარსულ საუკუნეში გარდაიცვალა).

მირიან გრიგოლის ძე ბურჭულაძე დედ-მამით, დით და ნინო სამსონის ასული ფალავანდიშვილი გულითად მადლობას უძღვნიან ამხანაგებს, მეგობრებს და ნაცნობებს რომელთაც თანაგრძნობა გამოუცხადეს

დოდო ფალავანდიშვილი-ბურჭულაძის

დაკარგვის გამო ნ. 2655

სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიო-ფარმაცევტიულ დარგის კურს დამთავრებული ამხანაგები ღრმა მწუხარებით აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობებს. რომ 7 მაისს მოულოდნელად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი ამხანაგი და მეგობარი

ფარმაკო-ქიმიკოსი

მათე მიხეილის ძე ღლონტი

გამოსვენება ყოფ. ალექსანდრეს საავადმყ. 9 მაისს 3 საათზე. 1691

თბილისის სანიტარულ ჰიგიენის ინსტიტუტის თანამშრომელნი აუწყებენ საზოგადოებას მათთვის ძვირფას თანამოსამსახურის ქიმიკოს

მათე მიხეილის ძე ღლონტი

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 9 მაისს 3 საათზე 1686

თავზარდაცემული ძმა ბარნაბ ჯაყელი მეუღლით როზათი, შვილებით: ელენე, ვენერა და დათიკო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ 5 მაისს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი

ნიკო (თეოფანე) ვახტანგის ძე ჯაყელი

დაკრძალვა 9 მაისს, 4 საათზე ქ. ბათომში 1666—2—2

თავზარდაცემულნი: მეუღლე, ქალიშვილი, დედა, დები, ძმები და სიძეები იუწყებიან რომ 2 მაისს ბაქოში ტრაღიკულად გარდაიცვალა

ივანე (ვანიჩკა) ალექსანდრეს ძე იშხნელი

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1677

შვილი ნიკო დიმიტრის ძე სრესელი ცოლით ნინოთი, შვილებით: პირველი მაისით და რუსუდანით, ქალიშვილი ელენე ნიორაძისა, სიძე იოკიმე ეროსტის ძე ნიორაძე შვილებით ოლიათი, თამარით და ოთარით, აუწყებენ საზოგადოებას, რომ 7 მაისს გარდაიცვალა მათი საყვარელი

ეფემია ივანეს ასული (ნათაძის) სრესელისა

დაკრძალვა დღეს, 9 მაისს, 4 საათზე კამოს სახელობის საავადმყოფოდან კუკიის სასაფლაოზე. 1680

თავზარდაცემული მშობლები: მინორა და ზაქარია შვილებით იუწყებიან დაუვიწყარ

დოდო (ზინა) ზაქარიას ასული ცინცაძის

უდროოდ გარდაცვალებას სამოქალაქო პანაშვიდი 7 საათზე. გამოსვენება 10 მაისს (ბინა—კამოს ქ. № 40) 4 საათზე, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

დამწუხრებული ბიძები: ივანე, გიორგი, აფთონი და პავლე, ბიცოლები: ეპრაქსი, ლიდა ფლორენცია, ბიძაშვილები: პოლიხრონ, ფელიქსი, ვანანა, ასმათ, ლილი, ნატალია, ციცუ, თინა, თედორე, საბა და გიზო ცინცაძეები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს საყვარელ დადაუვიწყარ

დოდო (ზინა) ზაქარიას ასული ცინცაძის

უდროოდ გარდაცვალებას გამოსვენება საკუთარ ბინიდან (კამოს ქ. № 40) პარასკევს 10 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. (ე)

ტატიანა (თიკო) სტეფანეს ასულის ისაევას

ხსოვნის აღსანიშნავად 12 მაისს, 1 საათ. ქ. ჭიათურაში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი, რასაც აუწყებს ნათესავთ და მეგობართ მწუხარებით აღსავსე სარგო ზაქარიას ძე ისაევი ნ. 2654

ნინა და დათიკო ვაჩაძეები უსაზღვრო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის დაუვიწყარ ბიძაშვილის, სახ. უნივერსიტეტის სტუდენტის

აკაკი დიმიტრის ძე ვაჩაძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ქუთაისში დღეს 9 მაისს დღის 4 საათზე ზდანოვიჩის ქ. № 15 1690

ღრმად დამწუხრებულნი ძმა მირიანი ცოლით მარიამით და შვილებით. დები: ვერა, პეპელა ჯინჭარაძე შვილებით, ნიფო და ერმილე ჯინჭარაძენი შვილებით აუწყებენ ნათესავ მეგობართ, რომ სამშაბათს, 7 მაისს გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი

ნატაშა ანტონის ასული თედორაძე

სამოქ. პანაშვიდი 9 მაისს საღამოს 7 საათზე, ყ. მიხეილის საავადმყოფოს პროზექტურაში. გამოსვენება აქედანვე 10 მაისს ნაშ. 3 ნახ. საათზე კუკიის სასაფლაოზე. (შ)

რუსთაველის თეატრი
2—2 ნ. 2634

ხუთშაბათს, 9 მაისს ღია წარმოდგენა საზოგადოებისათვის
„საქმის კაცი"?! ვ. ჰაზენკლევერის
კომ. 8 სურათად თარგ. ტიც. ტაბიძისა
დადგმა: შ. ალსაბაძის, მხატვარი: ირ. გამრეკელი
მთავ. რეჟისორი და სამხატვ. ნაწილის დირექტორი ალ. ახმეტელი
დასაწყისი სრულ 8 ნახ. საათზე
ბილეთები იყიდება თეატრის და მუშ. ზოლის სალაროებში

დღეს 9 მაისიდან

კინო-მინიონში
კინო მოთხრობა
ღვიძლი ძმა
მ. ჩუმარდინის მოთხრობის „ნათესავები"-ს მიხედვით რეჟისორი —გ. კროლი მონაწ. ვ. სოშალსკაია, ვ. გეკევიჩი, ნ. სიმონოვი, პ. კუზნეცოვი.
„ქალი, რომელშიაც შენ უკვე აღარ ხედავ ადამიანს, შენთან არასოდეს აღარ დაბრუნდება".

კინო-აპოლოში
მსოფლიო ფილმი
ახალი ბაბილონი
რეჟისორი გ. კოზინცევი და ლ. ტრაუბერგ.
ოპერატორი ა. მოსკვინი
მთავარ როლებში
ე. კუზმინა, ს. მაგარილ, დ. მუტმანი, პ. სობოლევსკი.

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველობის ტრესტი
აცხადებს
საჯარო ვაჭრობას

დახურულ პაკეტებში განცხადების შემოტანის წესით ჭიათურის მაღაროების რაიონებში მუშების საცხოვრებელი რვა ქვის სახლის და სადგურ შორაპანში ერთი სახლის აშენებაზე.

საჯარო ვაჭრობა შესდგება ა. წ. 17 მაისს დღის 1 საათზე, შავი-ქვის ტრესტის თბილისის კანტორის შენობაში (რუსთაველის გამზ., № 22).

დახურული პაკეტები წარმოდგენილი უნდა იქნეს 17 მაისს, დღის 12 საათამდე.

საჯარო ვაჭრობის ყველა პირობების და ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე შავი-ქვის ტრესტის თბილისის კანტორაში სამუშაო დღის განმავლობაში. ნ. 2659

ექ. დ. ლ. თევზაძე
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოუშლილობანი ხმის და მეტყველებისა
აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა
ჰონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა)
მიღება: საღამოს 7—8 საათ. გარდა კვირა დღეებისა.
ტელ. №25—73 25—6 1240

ქ. ქუთაისი
ექიმი
თ. ვ. აპოფაშვილი
შინაგანი სნეულება — სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით).

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი	სამშაბათიდან 7 მაისიდან **ჩანგ**
არფასტო	პატი და პატაშონი სურათში **პატი ზღვაში**
სოლეი	მხატვრული სურათი **მთვარე მარცხნით** რეჟისორი ალ. ივანოვი
აპოლო	მსოფლიო ფილმი **ახალი ბაბილონი** რეჟისორები—გ. კოზინცევი და ლ. ტრაუბერგი
მინიონი	კინო მოთხრობა **ღვიძლი ძმა** რეჟისორი გ. კროლი
კალახი	გაროლდ ლოიდი ახალ კომედიაში **შვილის შვილი**
დარბაზი	რიჩარდ ტოლმეჯი სურათში **ცრუ ატორნეი**
პროლეტარი	სამშაბათიდან 7 მაისიდან **გრაფი მონტე-კრისტო** 3 და 4 სერია

დღეს, ხუთშაბათიდან 9 მაისიდან
კინო **სოლეიში**
მხატვრული სურათი
მთვარე მარცხნივ
ბილ ბელოცერკოვსკის პიესის მიხედვით
რეჟისორი ალ. ივანოვი
ოპერატორი—ვ. სიმბირცევი
მთავარ როლებში
ზოია ვალევსკაია, ელ. ეგოროვა, ვ. ჩუდაკოვი, ა. გრიგორიევი, ნ. ჩერკასოვი

„კომუნისტი"-ს
წლიური („კაპიტალი"-ს დამატებით)
ხელისმომწერლების
საყურადღებოდ
გაზეთ „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა აცხადებს, რომ ვისაც არ აქვს გადახდილი მორიგი (მაისის თვის) შემოსატანი თანხა, მათ ამ თვის 10-დან შეუწყდება გაზეთების გზავნა. 3—2

ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა
აცხადებს, რომ შაბათს 11 და კვირას 12 მაისს სასახლის ქ. № 3 დილის 10 საათზე
დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ფინსახკომისადმი დავალიანებათა ასანაზღაურებლად გაიყიდება შიფონერკები, ხალიჩები, ფარდაგები, სარკეები, კამოდები, ბუფეტები, მაგიდები, სკამები და სხვა მრავალი საოჯახო ნივთები. ნ. 2657

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)
საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება:
ყურის, ცხვირის, ყელის სნეულებანი და მათი ქირურგია
მიღება 5—7 საათ. საღამოს
მისამართი: ჯუღაშვილის ქუჩა (ყოფილი რტიშჩევის) № 14
ტელეფონი 20—10

ექიმი
გიორგი ნიკოლოზის-ძე
ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი. სქესობრივი უძლურების მკურნალობა.
ავადმყოფთა მიღება დილით 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათ.
კლარა ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ., № 3. 25—1

დაიკარგა
2 თვის ლეკვი პოინტერი, ყავისფერი, თეთრი ზოლით გულზე და წინა ფეხების თეთრი თმებით. მპოვნელს ვთხოვთ მოიყვანოს ბებუთოვის ქ. 34 ბინა № 5 მპოვნელი მიიღებს სათანადო ჯილდოს. ნ. 2654

თმის მკურნალობა
და
სამკურნალო კოსმეტიკა
ექიმ
ნ. გ. კონტოროვიჩისა
ფრეილინის ქ. № 1. სოლოლაკის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა
ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება
მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—11

ლოგოპედი
ა. ა. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ.
კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01.

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი (შემხ. „914" გერმანული პრეპ.) ვენერიული (მწვავე და ქრონიკ. ტრიპერი) და კანის ავადმყოფობანი
მიღება: დილ. 7—9 საათ. ნაშუადღ. 4—5 საათ. საღ. 7—8 ნახ. საათ.
კამოს ქ. № 72 (ყოფ. დიდი-მთავრის ქუჩა) ქალ. მეორე საავადმყოფოს მახლობლად
1274—25—1

დაიკარგა: პირადობის მოწმობა მოცემული ცხინვალის მილიციიდან ნამთარ იაკოფისძე ნავარაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2656

დაიკარგა: პირადობის წიგნაკი—უვადო პასპორტი № 1927 № 218/7023 ილარიონ ნიკოლოზისძე ზვიადაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2656

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.
მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—19.

ექიმი
ი. ტერ-ოვაკიმოვი
გადავიდა
სოლოლაკში
დუმბაძის ქ. № 22 (ყ. ველიამინოვის) სპეციალობა სქესობრივი ფუნქციების დარღვევა (სქესობრივი ნევრასტენია)
ფსიქოთერაპია
მიღება საღ. 6—8 საათ.
სიფილისით ავადმყოფთა მიღება დილით 11 საათიდან 1 საათამდე 25—5

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების დ პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტელ. 10—14 412 25—1

ექიმი
ა. დ. პეპელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღ.: დღის 9—12, საღ. 7—8 საათამდე
ტელეფ.—12—67. ნ. 20 25—1

დაიკარგა: ქუთაისის სამხედრო გოსპიტალისაგან მოცემული სამსახურიდან განთავისუფლების მოწმობა და ქუთაისის მაზრა-ქალაქის მილიციიდან მიღებული სოციალური მდგომარეობის მოწმობა ვარლამ სტეფანეს ძე რევიშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2659

დაიკარგა: ანასტასი ლალიაშვილის დაბადების მოწმობა, გაცემული ქოლობანის თემამასკომისაგან, ვარლამ ლალიაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2656

დაიკარგა: განათლების კავშირის წიგნაკი № 31813, გაცემული ქუთაისის განათლების კავშირის მიერ, ბიქტორ იასების ძე ფუტკარაძის სახელზე ჩ. გ. ნ. 2656

დაიკარგა: პროფ-კავშირის წიგნაკი № 8051 ლიუბა თავაძის ასულის რამიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1682

დაიკარგა: პროფკავშირის წიგნაკი № 124 მილოს ჩხიკვიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1685

დაიკარგა: კ. პ. (ბ) პარტიული ბილეთი № 0861478 და მეტყევეთა კავშირიდან გაცემული პროფწიგნაკი № 173510 მოცემული იაკინთე ბარნაბისძე ხომერიკის სახელზე, ჩ. გ. 1683

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 25—5 ჯრუსიაკა ბახიას სახელზე, ჩ. გ. 1681

დაიკარგა: პურის წიგნაკი № 2397 ეკატერინე ელიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1678

დაიკარგა: მეტრიკული ამონაწერი თამარა მათიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1689

დაიკარგა: საბჭოთა სავაჭრო პროფ-კავშირის წიგნაკი № 3456 სარდიონ კერესელიძის სახელზე, ჩ. გ. 168

ვიპოვნე: მონადირე ძაღლი პატრონს შეუძლია მოიკითხოს კონდრის ქ. № 3 მე-11 კომისარიატი, [illegible] სამი დღის შემდეგ ძაღლი გაიყიდება 167